

5-24

ნანაქვემოცემული

ქვეყნის ფსიქოლოგიები



მეორე გამოცემა


612.821+159.943

6-24

თემურ ნანეიშვილი

ქვეყნის უსიქოფიზიოლოგია

მეორე გამოცემა



თბილისი
2003

სახელმძღვანელოში გაშუქებულია ადამიანისა და ცხოველთა ქცევის განმსაზღვრელი ნერვული მექანიზმების კვლევის თანამედროვე მეთოდოლოგია, სინაფსის მამდინარე ბიოქიმიური და ფიზიოლოგიური პროცესები, მოტივაციური ქცევების (კვებითი, სასახის მიღების, სექსუალური, აგრესიული და ძილის) მოტივაციურ-ემოციური ასპექტები და ნერვული მექანიზმები, ტკივილისა და მესხიერების ნეირობიოლოგიური საფუძვლები. განხილულია როგორც ცალკეული სახის ქცევითი დარღვევის ეტიოლოგია და პათოგენეზი, ასევე ფსიქიკურს დარღვევებისა და „ნარკომანიის“ ნეირობიოლოგიური ასპექტები. განზოგადებულია აღნიშნული საკითხებისადმი მიძღვნილი, თანამედროვე უცხოურ და სამამულო ლიტერატურაში არსებული ფაქტობრივი მასალა და თეორიული დებულებანი.

გათვალისწინებულია სამედიცინო, ბიოლოგიის, ვეტერინარიისა და ფსიქოლოგიის პროფილის ინსტიტუტების სტუდენტებისათვის, ასპირანტებისა და რეზიდენტებისათვის, ექიმთა ფართო წრისა და ნეირობიოლოგიის ფუნდამენტური პრობლემების კვლევით დაინტერესებული სპეციალისტებისათვის.

რედაქტორები:


საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის
აკადემიკოსი, პროფესორი *ა.ონანია*

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის
წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი *თ.დვ.კანოსიძე*

რეკონსტრუქტორები:

მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი *რ.შაქარიშვილი*

ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი *დ.მიქელაძე*



ISBN 99928-0-661-3

დამტკიცებულია საქართველოს განათლების სამინისტროს მიერ
თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს
გადაწყვეტილების საფუძველზე

ქართველი მედიკოსებისათვის განკუთვნილი წიგნი „ქვეყნის ფსიქო-ფიზიოლოგია“ სამეცნიერო ლიტერატურის სახელმძღვანელოთა ყანრს განეკუთნება. წიგნში განხილული მასალა განვითარებული ქვეყნების უმაღლესი სამედიცინო სასწავლებლების პროგრამით გათვალისწინებული „საბაზისო“ საგნის – „ქვეყნათმეცნიერება“ („Behavioral Science“) – მნიშვნელოვან ნაწილს მოიცავს. მასში განზოგადებულია ადამიანისა და ცხოველთა ქვეყნის ნერვული მექანიზმების ორგანიზაციის კანონზომიერებათა შეცნობისათვის საჭირო უახლესი მონაცემები და შეხედულებანი. ისევე როგორც „ქვეყნათმეცნიერება“, „ქვეყნის ფსიქოფიზიოლოგიის“ მოცემული სახელმძღვანელო, „ნეირომეცნიერებათა“ (ნეიროანატომია, ნეირომორფოლოგია, ნეიროფიზიოლოგია, ნეიროქიმია, ნეიროფარმაკოლოგია, ნეიროფსიქოლოგია, ფსიქიატრია) მიერ დაგროვილ ცოდნას აერთიანებს და შესაძლებელს ხდის, მთელი ორგანიზმის ფუნქციონისა და ქვეყნის ნერვული მექანიზმების კანონზომიერებათა შეცნობას. შესაბამისად, „ქვეყნის ფსიქოფიზიოლოგიის“ კურსი, მნიშვნელოვნად უწყობს ხელს, ქვეყნის ნერვული მექანიზმებისა და ფსიქიკური თუ სხვა სახის ქვეყნით დარღვევათა პათოგენეზში გარკვევისათვის, „ტრადიციული“ საბაზისო დისციპლინების სწავლებით მიღებული ცოდნის გამოყენებას.

„ქვეყნათმეცნიერება“ ჩვენს ქვეყანაში, „ქვეყნის ფსიქოფიზიოლოგიის“ სახელმძღვანელოს პირველი გამოცემის გამოქვეყნებამდე, არ ისწავლებოდა. ამჟამად, ეს საგანი თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში, თბილისის ი.ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და მრავალ წამყვან „საერო“ უმაღლეს სამედიცინო სკოლაში ისწავლება. ეჭვგარეშეა, რომ მეორე, დასურათებული, მნიშვნელოვნად შეესებოდა და განახლებული „ქვეყნის ფსიქოფიზიოლოგიის“ სახელმძღვანელო, ბიოლოგიისა და სამედიცინო პროფილის კვალიფიციური კადრების მომზადების საქმეში მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს; იგი დაეხმარება, აგრეთვე, ნეირობიოლოგიის საკითხების შესწავლით დაინტერესებულ ახალგაზრდა მეცნიერებს, რათა ექსპერიმენტული მუშაობა და აზროვნება, პრაქტიკული მედიცინის ინტერესების შესაბამისად წარმართონ.

წიგნის ავტორი, პროფესორი თეიმურ ნანეიშვილი, დიდი ქართველი მეცნიერის ივანე ბერიტაშვილის მიერ შექმნილი ფიზიოლოგიის სკოლის წარმომადგენელია და, ამიტომ, სრულიად კანონზომიერად მიგვაჩნია, რომ „*ქვეის ფსიქოფიზიოლოგიის*“ სახელმძღვანელოს შექმნა, ჩვენში პირველად მან ითავა. სასიამოვნო მოვალეობად მიგვაჩნია ამ უაღრესად დროული, სასარგებლო ინიციატივის მხარდაჭერა და გვინდა, სამომავლო გეგმების განხორციელებაში ავტორს წარმატებები ეუსურეთ.

აკადემიკოსი
თენგიზ ონიანი

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის
წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი
თამარ დეკანოზიძე

„ქვევის ფსიქოფიზიოლოგიის“ მოცემული სახელმძღვანელო, და სავლესას ეკვენიუმის უმაღლეს სამედიცინო სასწავლებლების სტუდენტებისათვის გათვალისწინებული „საბაზისო“ დისციპლინის – „ქვევათმეცნიერება“ („Behavioral Science“) – პროგრამის მიხედვით არის შედგენილი. აღნიშნულ სასწავლებლებში „ქვევათმეცნიერება“ ისეთ „საბაზისო“ დისციპლინებთან ერთად ისწავლება, როგორცაა: ანატომია, ბიოქიმია, იმუნოლოგია, მიკრობიოლოგია, ნეიროანატომია, პათოლოგია, ფარმაკოლოგია, ფიზიოლოგია და პისტოლოგია. რადგან „ქვევათმეცნიერება“ ე.წ. „ტრადიციულ საბაზისო დისციპლინათა“ გამაერთიანებელი, მულტიდისციპლინური საგანია, მისი დაუფლები-სათვის ზემოწამოთვლილი საგნების ცოდნა აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს. შესაბამისად, „ქვევის ფსიქოფიზიოლოგიის“ სწავლება ჩვენი ქვეყნის უმაღლეს სასწავლებლებშიც, „საბაზისო“ საგნების მკოდნე სტუდენტებისათვის არის მიზანშეწონილი.

„ქვევათმეცნიერება“, როგორც სასწავლო დისციპლინა, ქვევის ნერვული მექანიზმების ორგანიზაციისა და ფუნქციების კანონზომიერებებს განიხილავს. ხშირ შემთხვევაში, ქვევის ნერვული მექანიზმების ნორმალური ფუნქციობა პერიფერიულ ორგანოებში მიმდინარე პროცესებით განისაზღვრება. რადგან პერიფერიულ ორგანოებსა და ვისცერალურ სისტემებში მიმდინარე პროცესებს, ცენტრალური ნერვული სისტემისათვის და შესაბამისად, ქვევის ორგანიზაციისათვის, სასიგნალო მნიშვნელობა აქვს, ეს პროცესები მოცემული საგნის ინტერესების სფეროში შედის. იმის გათვალისწინებით, რომ სტუდენტებს, აღნიშნულ სისტემებში მიმდინარე პროცესების შესახებ ცოდნა, ბიოქიმიის, ფიზიოლოგიის და სხვა სახელმძღვანელობიდან აქვთ მიღებული, „ქვევათმეცნიერების“ ერთ-ერთ მიზანს, ამ ცოდნის იმგვარად გაერთიანება წარმოადგენს, რომ მისი გამოყენება ქვევის ნერვული მექანიზმების ორგანიზაციის კანონზომიერებათა და ფსიქიკური თუ სხვა სახის ქვევით დარღვევათა პათოგენეზთან დაკავშირებულ საკითხებში გარკვევისათვის გახდეს შესაძლებელი. შესაბამისად, „ქვევათმეცნიერების“ სწავლება, ქვევის ნერვული მექანიზმების წეცნობისა და ქვევით დარღვევათა პათოგენეზში გარკვევისათვის, „საბაზისო

დისციპლინების“ შესწავლის შედეგად დაგროვილი ცოდნის ეფექტურად გამოყენებას უწყობს ხელს. ამდენად, „ქვევითმეცნიერება“, თავისი არსითა და მიზნებით, „საბაზისო“ და „კლინიკურ“ დისციპლინათა დამაკავშირებელი სასწავლო საგნის ფუნქციას ასრულებს.

რადგან ქცევის მარკანიზებულ და მაკონტროლებულ ორგანოს თავის ტყინი წარმოადგენს, „ქვევითმეცნიერება“, ძირითადად, ამ ორგანოს ფუნქციობისა და მისი მოქმედების გამოვლენათა კანონზომიერებებს განიხილავს. იგი ეყრდნობა „ფსიქოფიზიოლოგიაში“, კერძოდ, „ნეიროფსიქოლოგიაში“ დამკვიდრებულ კვლევის პრინციპებს, რაც ქცევის განმსაზღვრელი ნერვული მექანიზმების სისტემურ ორგანიზაციას გულისხმობს. აქედან გამომდინარე, სხვადასხვა სახის ქცევის ნერვული მექანიზმების ორგანიზაციის კანონზომიერებებში გარკვევისათვის აუცილებელია, თავის ტყინის ფუნქციური ორგანიზაციის კვლევის იმ ძირითადი პრინციპების ცოდნა, რომლითაც „ნეიროფსიქოლოგია“ ხელმძღვანელობს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სახელმძღვანელოს პირველ სამ თავში განხილულია, კლინიკურ და ექსპერიმენტულ „ნეიროფსიქოლოგიაში“ ქცევის ნერვული მექანიზმების შესწავლისათვის დამკვიდრებული მეთოდოლოგია, ამ მექანიზმების ორგანიზაციისა და ფუნქციობის ზოგადი კანონზომიერებანი, რაც მომდევნო ცხრა თავში წარმოდგენილი ცალკეული მოტივაციური ქცევებისა და ქცევითი დარღვევების ნერვულ მექანიზმებში გარკვევისათვის, მყარ თეორიულ საფუძვლს ქმნის. სახელმძღვანელოში თანმიმდევრულად არის გაშუქებული ქცევის ნერვული მექანიზმების სისტემური ორგანიზაციის კანონზომიერებანი და „ფუნქციური სისტემების“ შემადგენელი სტრუქტურების სპეციფიკური ფუნქციის გამოვლენის მეთოდოლოგია, ცალკეულ ნერვულ ელემენტებს შორის კომუნიკაციის მექანიზმები, ქცევის ორგანიზაციისათვის მოტივაციისა და ემოციის მნიშვნელობა, „მოტივაციის ოპტიმიზის“, „კონფლიქტის“, „ფრუსტრაციისა“ და „ზოგად-ადაპტაციური სინდრომი“ ფენომენები; აღწერილია ქცევითი დარღვევების ზოგიერთი ექსპერიმენტული მოდელი, განხილულია ტკივილის ნერვული მექანიზმები, კვებითი, სიასის მიღებასთან დაკავშირებული, სექსუალური, აგრესიული და ძილთან დაკავშირებული ქცევის, აგრეთვე, მესხიერების ფენომენის ორგანიზაციის კანონზომიერებანი და

ნეირობიოლოგიური საფუძვლები. დასასრულს, ბოლო ორ თავში დაწვრილებით არის წარმოდგენილი ზოგიერთ ქცევით და ფსიქიკურ დარღვევათა ნეირობიოლოგიური ასპექტების შესახებ არსებული უახლესი ექსპერიმენტული მონაცემები და თეორიული დებულებები.

მოცემული სახელმძღვანელოს პირველი გამოცემის გამოქვეყნებიდან შეიძინა წელი გავიდა. ამ პერიოდში ჩვენი ქვეყნის რიგი წამყვანი, სახელმწიფო და საერო სამედიცინო სასწავლებლის სტუდენტებთან, ასპირანტებსა და რეზიდენტებთან საღიქვიო და სემინარული მუშაობის საფუძველზე მიღებული გამოცდილების გათვალისწინებით, მეორე, უკვე დასურათებულმა გამოცემამ საგრძნობი ცვლილებები განიცადა; სინაფსის ნეირობიოლოგიის, ძილისა და მეხსიერების ნერვული მექანიზმების კვლევის შედეგები და მათ საფუძველზე შექმნილი თეორიული დებულებები, უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში მიღებული შედეგების გათვალისწინებით არის განსილული, განსახილველ თემებზე სამეცნიერო ლიტერატურაში არსებულ ფაქტიურ მასალასა და თეორიულ დებულებებს, შეძლებისდაგვარად ადვილად აღსაქმელი განმარტებები ახლავს, შრავალმხრივად არის წარმოდგენილი უმაღლესი სამედიცინო სკოლის სტუდენტებისათვის აუცილებელი თემა — „ტკივილის ფსიქოფიზიოლოგია“.

ავტორი დიდ მადლობას მიახსენებს წიგნის რედაქტორებს, აკადემიკოს თენჯიშ ონიანს და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს, პროფესორ თამარ დეკანოზიძეს, რეცენზენტებს, პროფესორ რომან შაქარიძეებს და პროფესორ დავით მიქელაძეს, წიგნზე მუშაობის პროცესში მოწოდებული შენიშვნებისა და სურვილებისათვის.

სახელმძღვანელოს მომზადებაში გაწეული დახმარებისათვის ავტორი განსაკუთრებულ მადლობას უხდის საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის იბერიტაშვილის სახელობის ფიზიოლოგიის ინსტიტუტის მეხსიერებას ნეიროფიზიოლოგიის ლაბორატორიის თანამშრომელს, ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატს მათა ბურჯანაძეს, აგრეთვე, ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატებს როდამ არაგველსა და მანანა დაშნიანს.

მოცემული სახელმძღვანელო ქართულ ენაზე „ქცევის ფსიქოფიზიოლოგიის“ მეორე გამოცემას წარმოადგენს და მასში შექ-

ლებისდაგვარად არის აღმოფხვრილი პირველ გამოცემაში (1996 წელი) არსებული ტერმინოლოგიური თუ სხვა ხასიათის უზუსტობანი. რადგან მოცემულ სახელმძღვანელოში, ქართულ ენაზე, *„პლევრის ფსიქოფიზიოლოგიის“* ზოგიერთი საკითხი, ფართოდ პირველად განიხილება, მოსალოდნელია, რომ ამ სახის უზუსტობებისაგან არც ეს გამოცემა იყოს დაზღვეული. ავტორი მაღლობელს იქნება, თუ ამ დარგში მოღვაწე სპეციალისტები კვლავაც მიაწვდიან შენიშვნებს და მოსაზრებებს, რომელთაც სახელმძღვანელოს სამომავლო გამოცემის მომზადებისას გაითვალისწინებს.

შენიშვნები და სურვალეები ავტორს შეიძლება მიეწოდოს შემდეგ მისამართზე: 380060 თბილისი, ლ. გოთუას ქ. 14, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის იბერიტაშვილის სახელობის ფიზიოლოგიის ინსტიტუტი, მეხსიერების ნეიროფიზიოლოგიის ლაბორატორია.

ავტორი უკრძებს მაღლობას მოახსენებს ჩვენს ქვეყანაში მეცნიერებისა და განათლების განვითარებაზე მზრუნველ ცენტრალურ ქველმოქმედ ადამიანს, რომელმაც უანგაროდ ვაიღო წიგნის გამოცემა-დასტამვის ხარჯები და არ ისურვა საკუთარი ვინაობის აღნიშვნა.

შინაარსი

რედაქტორისაბან..... I

ავტორისაბან..... III

თავი I

კინის ნოქული მიძანიზმის კლემის მეთოდოლოგია..... 1

პრობლემის ზოგადი მიმოხილვა..... 1

ფსიქიკურ პროცესებთან მიმართებაში ცნების „ფუნქცია“ და „ლოკალიზაცია“ განსაზღვრა..... 7

მოდურება „ფუნქციური ხისტემების“ შესახებ..... 9

ფსიქიკური პროცესების მიმართებაში ცნება „ხისტემის“ განსაზღვრა..... 11

ზოგადი ცნობები ცნება „ხინდროზის“ შესახებ..... 14

ფსიქიკური პროცესების „ხისტემურს ორგანიზაცია“ და „ხინდროზული ანალიზი“..... 15

თავი II

ნეირონთაშორისი კომუნიკაციის საფუძვლები..... 21

პრობლემის ზოგადი მიმოხილვა..... 21

საკითხის შესწავლის ისტორია..... 22

ნეირონის აგებულება..... 24

სინაფსის აგებულება და მისი მოქმედების ზოგადი კანონზომიერებანი..... 26

სინაფსის ტიპები..... 28

ქიმიური სინაფსით

ნეირონთაშორისი კომუნიკაციის საფუძვლები..... 30

ნეირორეგულატორების კლასიფიკაცია და მოქმედების კანონზომიერებანი..... 31

პლაზმურ მემბრანაზე მიმდინარე იონური პროცესები..... 33

ნეირორეგულატორების მიმართ მგრძობიარე რეცეპტორების

კლასიფიკაცია და მათი მოქმედების კანონზომიერებანი..... 37

„იონორეგულატი“ რეცეპტორი..... 38

„მეტაბოტრიკული“ რეცეპტორი..... 39

„თირსინკინაზახიან და გუანილატციკლაზახიან დაკავშირებული“ რეცეპტორი.....	40
„უჯრედშიდა სტეროიდული / თიროიდულ-სტეროიდული“ რეცეპტორი.....	41
„ნეიროტრანსმიტორების“ კლასიფიკაცია და ფუნქციები.....	43
ნეირორეგულატორების განსაზღვრის კრიტერიუმები.....	44
ნეიროქიმიური გადაცემის საყუხურები.....	45
პრესინაფსურ ნეირონში მიმდინარე პროცესები.....	47
პოსტსინაფსურ ნეირონში მიმდინარე პროცესები.....	51
G-ცალის სტრუქტურა და მისი მოქმედების მექანიზმები.....	51
G-ცალის სამიზნეები.....	52
„რეტროგრადული მესენჯერი“.....	57
ნეირონული ინტეგრაცია.....	58
ცალკეული ნეირორეგულატორები.....	60
ბიოჯენური ამინები.....	61
დოფამინი.....	62
ნორეპინეფრინი (ნორადრენალინი).....	66
სერატონინი (5-ჰიდროქსიტრიფტამინი).....	68
ისტამინი.....	71
აცეტალქოლინი.....	72
ამინოჰეკები.....	75
გამა-ამინოჰერბოს მკაეა და გლიცინი.....	75
გლუტამატი და ასპარტატი.....	77
ნეირორეგულატორების არაჰეპტიდური კანდიდატები.....	80
პროსტაგლანდინები.....	80
პურინები.....	80
ნეიროჰეპტიდები.....	82
ოპიოიდური ჰეპტიდები.....	82

თაპი III

მრტიპაცია და ემრცია.....	89
პრობლემის ზოგადი მიმოხილვა.....	89
ღრმობური სისტემის ანატომიისა და ფუნქციის ზოგადი მიმოხილვა.....	93
„მოტივაციისა“ და „ემოციის“ მნიშვნელობა ქცევის ორგანიზაციისათვის.....	96

„მოტივაციის ოპტიმუმის“ ფენომენი.....	101
„მოტივაცია“ და „კონსულტურ სიტუაციაში“ ქცევა.....	103
„ფსიქონალიზის“ თეორია.....	107
„ფსიქონალიზი“, როგორც ფსიქოთერაპიული მკურნალობის ნეოსფი.....	109
„სტრესი“ და „ზოგადდაპტაციური“ სინდრომი.....	110
თავი IV	
ტკივილის ფსიქოფიზიოლოგია	117
პრობლემის ზოგადი მიმოხილვა.....	117
გაუტკივარების ბიოლოგიური მნიშვნელობა.....	119
ტკივილის სახეები.....	121
ტკივილის ნეირობიოლოგიური საფუძელები.....	124
ზოგადი ცნობები ტკივილის მექანიზმების შესახებ.....	124
ტკივილის პერიფერიული მექანიზმები.....	126
ტკივილის ცენტრალური მექანიზმები.....	130
ტკივილის სპინალური მექანიზმები.....	130
ტკივილის მექანიზმები თავის ტვინის დონეზე.....	133
ენდოგენური ოპიატები (ოპიოიდები).....	134
ოპიოიდებით გამოსწვეული ანალგეზიის ნეიროფიზიოლოგიური მექანიზმები.....	136
თავი V	
კვებითი ქცევა	141
პრობლემის ზოგადი მიმოხილვა.....	141
კვებითი ქცევის ზოგადი კანონზომიერებანი.....	142
კვებით ქცევასთან დაკავშირებული მეტაბოლური პროცესები.....	145
კვებითი ქცევის აღძვრის მექანიზმები.....	150
კვებითი ქცევის აღძვრის ფიზიოლოგიური ფაქტორები.....	151
გარეგანი ფაქტორებით აღძრული კვებითი ქცევის მექანიზმები.....	156
კვებითი ქცევის შეკავების მექანიზმები.....	158
ფიზიოლოგიური ფაქტორების მნიშვნელობა კვებითი ქცევის შეკავებაში.....	158

თავის ფაქტორების მნიშვნელობა კვებითი ქცევის შეკავებაში.....	163
კვებითი ქცევის ნერვული მექანიზმები.....	163
ტვინის დერო.....	164
ჰიპოთალამუსი.....	165
თავი VI	
სითხის მიღებასთან დაკავშირებული ძველი ძველი	175
პრობლემის ზოგადი მიმოხილვა.....	175
„პირველადი სპა“.....	176
სითხის რეზერვუარების შორის წყლის ბალანსის განმსაზღვრელი მექანიზმები.....	177
თირკმელებში მიმდინარე პროცესები და მათი მნიშვნელობა წყლისა და მარილების ბალანსში.....	179
დეჰიდრატაციით ახუ „ოსმომეტრული წვერედილით“ განპირობებული სითხის მიღებასთან დაკავშირებული ძველის აღმკვრის მექანიზმი.....	181
დეჰიდრატაციით ახუ „ოსმომეტრული წვერედილით“ განპირობებული სითხის მიღებასთან დაკავშირებული ძველის ცენტრალური მექანიზმები.....	184
სისხლის რაოდენობის შემცირებით განპირობებული სითხის მიღებასთან დაკავშირებული ძველის აღმკვრის მექანიზმები.....	187
წყლითა და მარილებით დანაკრების მექანიზმები.....	191
„მეორადი სპა“.....	195
თავი VII	
სმსსზაღვრი ძველი	197
პრობლემის ზოგადი მიმოხილვა.....	197
„გამეტების“ წარმოქმნა და განაცოფიერება.....	197
„კონალებსა“ და შინაგანი სასქესო ორგანოების განვითარება.....	198
„გენიტალიების“ განვითარება.....	201
ანდროგენების მათრგანიზებული გავლენა ძველზე: „მასკულინიზაცია“ და „დეფემინიზაცია“.....	202
აღამიანის სექსუალური ძველი.....	204
პრინციპალური ანდროგენისაქციის მათრგანიზებული გავლენები.....	204

ხასკესო მორმონების შაკონტროლებული გაყიდვა ადამიანის ხელსაღიერ ქვეყანაზე.....	209
ხასკესო მორმონების გამააქტივებელი გაყიდვა მამაკაცის ხელსაღიერ ქვეყანაზე.....	209
ხასკესო მორმონების გამააქტივებელი გაყიდვა ქალის ხელსაღიერ ქვეყანაზე.....	211
ხელსაღიერი ორთქტაცია.....	212
ხელსაღიერი ქვეყის ნერვული საფუძვლები.....	214
ხელსაღიერი ქვეყის სპინალური მექანიზმები.....	215
ხელსაღიერი ქვეყის მექანიზმები თავის ტვინის დონეზე.....	217
თავი VIII	
აბრმისიული მცნება.....	223
პრობლემის ზოგადი მიმოხილვა.....	223
„აგრესიული“ ქვეყის ბუნება და მნიშვნელობა.....	223
„აგრესიული“ ქვეყის ნერვული საფუძვლები.....	224
ტვინის ელექტრული გაღიზიანებით გამოწვეული „შეჯდვის რეაქცია“.....	225
შუა ტვინი და „აგრესიული“ ქვეყი.....	227
პრობლემის მნიშვნელობა „აგრესიული“ ქვეყის ორგანიზაციაში.....	232
თავი IX	
ძილი.....	235
პრობლემის ზოგადი მიმოხილვა.....	235
ბიოლოგიური საათები.....	236
ცირკადული რიტმები და „zeitgeber“-ი.....	236
ბიოლოგიური რიტმების ნერვული საფუძვლები.....	237
ბიოლოგიური საათის ფუნქციონირის საყარაულო მექანიზმი.....	241
ძილისა და ღვიძლის აღმკერელი ფაქტორები.....	242
ძილისა და ღვიძლის ნერვული მექანიზმების შესახებ არსებულ შეხედულებათა ევოლუცია.....	245
ბადებრივი ფორმაციის ფუნქციები.....	245
თანამედროვე შეხედულებანი ძილისა და ღვიძლის განმსაზღვრელი მექანიზმების შესახებ.....	249

კოყეუნი და ნიკოტინი.....	379
აღკომიფლი.....	380
ოპიატები.....	382
კოკაინი და ამფეტამინი.....	384
ბარბიტურატები.....	384
მარიხუანა.....	385
ჰალუცინოგენები.....	385

თავი I
პირობის ნორმული მქანის მქანის
კვლევის მეთოდოლოგია

პრობლემის სოციალური მნიშვნელობა

„სოციალისტური მეთოდოლოგია“ შესწავლის ნორმული მქანის განმარტებული პროცესებისა (მოტივაცია, ემოცია, შესხერება, აღქმა და სხვა) და მქანით დარღვევათა ნეოროფისიოლოგიურ საფუძვლებს. აღნიშნული საკითხები შესწავლება ფსიქიკური პროცესების განმარტებული ნეოროფისიოლოგიური მექანიზმების მოქმედების თანხლებს, ობიექტურ მანკებლებზე – კორელატებზე (ქცევა, ემპირიული რეაქციები, ტინის ბიოელექტრული აქტივობა და სხვა) დაკვირვების გზით. მისი ინტერესების სფერო მოიცავს, აგრეთვე, შედარებით სარტავი – „ეკოლოგიური“ (პირობითი რეაქციების) რეაქციების ნერვულ საფუძვლებს, რაც აბიოლოგიის მოძღვრების ტერმინებით – „ეკოლოგიური რეაქციების“ შესწავლის საგანს წარმოადგენს.

ფსიქიკის ნეოროფისიოლოგიური კვლევა სათავეს იღებს უძველესი დროიდან, თუნდაც იქიდან, როდესაც ემპირიულად კაცმა შეამჩნია, რომ მახთან შეხვედრისას ნაცნობი ვიკონა წითლდებოდა. ეს ფენომენი განიხილება, როგორც ფსიქიკური პროცესის განმარტებული ფისიოლოგიური მექანიზმების მოქმედების ამსახველი კორელატი. შემდგომში შესაძლებელი გახდა ფსიქიკის ნეოროფისიოლოგიური მეთოდების საფუძვლებზე მიღებული ცოდნის პრაქტიკული გამოყენება. მაგალითად, სოციალური სახელმწიფოში იყენებდნენ ე.წ. „სიტუაციის დეტექციის“ პრაქტიკულ მეთოდებს. წინეთში დანაშაულში ეკვიპირების პირის დროში ათავსებდნენ შშრალი ბრინჯის მახს და თუ იგი შეძლებდა ამ მახს მთლიანად გადმოცემას, მას უდანიშაულოდ თელიდნენ. ანგლოსაქსებიც იყენებდნენ მსგავს პროცედურას: თუ დანიშაულში ეკვიპირებული ავილიად შეძლებდა პურის დიდკვებას და მთლიანად გადაცემას, მას უდანიშაულოდ თელიდნენ და ათავისუფლებდნენ. დღესათვის არსებული ცოდნის გათვალისწინებით, ორივე სრული ეფუძნება ამ მოვლენას, რომ სტრესის დროს აქტივდება სიმპათიკური ნერვული ხსტემა, რის შედეგად მქეორად მცირდება ნერვების გამოყოფა. ძველ დროში ამ მეთოდების გამოყენებისას ადამიანები გრდნობოდნენ საკუთარ გამოცდილებას, რომ დანიშაულში ავლენების გამო პირი უნდა გაეშრეს და, შესაბამისად, უნდა გაეჭრდეს მშრალი საკვების დაღვტვა ან პირის დრუდის მისი გამოდუნა. ხაშუხაროც, ასეთ შემთხვევაში არ ითვალისწინებდნენ, რომ უდანიშაული ადამიანსაც, შშრის გამო, შეიძლება აღდროს პირის დრუდის სიმშრალე. „სიტუაციის დეტექციის“ მეთოდებს დღესაც იყენებენ პრაქტიკაში, მაგრამ დაკვირვებას ახდენენ ემპირიული განცდის თანხლებს ობიექტურ ემპირიულ კორელატებზე. მაგალითად, ადამიანის ემო-

ცოური განცდის ინტენსიუობაზე მსჯელობენ ქანის გაღიანური რეაქციის აღიერის. გულსისცემის ხისზარის, ხისხდის წხეკის ცვლილებებისა და სხვა ობიექტური კორელატების გაზომვის შედეგების საფუძველზე.

გმოსცოური განცდის კორელატებზე ერთ-ერთი პირველი სისტემური დაკვრ- ეება მოახდინა გამომჩინილმა რომაელმა ექიმმა კლავდიუს ჰალენიუსმა. ერთ- ხელ ამ ცნობილ ექიმთან მივიდა ქალბატონი, რომელსაც გმოსცოურ სყვრონში დარღვევები და ფიზიკური ხისხსტე აწუხებდა. გამოკვლევის პროცესში იქ მყოფმა პირმა ახსენა, რომ იგი რამდენიმე დღის წინ დაესწრო ახალგაზრდა მხახიობის - პილადის ცეკვას. ჰალენიუსმა შეამჩნია, რომ პილადის ხსენებაზე პაციენტის გულსისცემის სისწორე მკვეთრად გაიზარდა, რაც მისი აზრით პაციენტის „სულეორ ძროზზე“ მოუთითებდა. შემდგომში ჰალენიუსი ახსენებდა სხვა ახალგაზრდა მოცეკვეყეთა გვარებს, მაგრამ პაციენტს მხოლოდ პილადის ხსენებაზე ეცვლებოდა პულსი. ექიმის ხაბილთა დოაგნოზით მიიხ პაციენტი „*უძმელთა სუყვარულთა*“ იყო დაიყადებულა.

სემოთქმელადან არ უნდა შეიქმნას იხეთა შაბბეკდილება, თითქოს ფსიქო- ფიზიოლოგია ფსიქიკური პროცესების ნეოროფიზიოლოგიურ საფუძველებს, მხოლოდ ნერვეული მექანიზმების მოქმედების ამსახველ ფიზიოლოგიურ კორე- ლატებზე დაკვირვების გზით შეისწავლის. ფსიქოფიზიოლოგიის ერთ-ერთ უმთავრეს ამოცანას ფსიქიკური პროცესების რეალისზაციაში ჩართული სტრუქტურების სპეციფიკური ფუნქციის გამოვლენა და ამის შემდეგ, ამა თუ იმ სტრუქტურაში მიმჩინარე ნეოროფიზიოლოგიური თუ ნეოროქიმიურ- მოლეკულური მექანიზმების შესწავლა წარმოადგენს. ამ მიზნის მიღწევა სწავის ეტაპზე ფსიქიკური ფენომენის სტრუქტურის შეცნობისა და მის რეალისზაციაში ჩართული ნერვეული სტრუქტურების გამოვლენის გარეშე შეუძლებელია. სწორედ ახეთ მიზნებს ისახავს ფსიქოფიზიოლოგიური დის- ციპლინა - ნეოროფსიქოლოგია.

ნეოროფსიქოლოგია ნეორომეცინერებათა შედარებით ახალი დისციპლინაა. მის მიზანს ტენის ლოკალური დაზიანების მეთოდების გამოყენებით ფსიქიკური მოქმედების ცენტრალურ მექანიზმებში ჩართული სტრუქტურების განსახდერა და მათი სპეციფიკური ფუნქციის გამოვლენა წარმოადგენს.

ნეოროფსიქოლოგია თავის ტენიში „*ფუნქციათა ტომოგრაფიული განაწილე- ბის*“ (ლოკალიზაციის“) პრინციპის ძირითად დებულებას ეფდნობა, რაც თავის ტენის ამ თუ იმ მიდამოხათის დამახახათებელი - სპეციფიკური ფუნქციის არსებობას გულისხმობს. ფსიქოლოგიურ ნაწილში ნეოროფსიქო- ლოგია დაფუნებელია კოგნიტიური ფსიქოლოგიის პრინციპებზე. კოგნიტიური ფსიქოლოგია ფსიქიკურ პროცესს განსიხლავს როგორც როულ, აქტიურ მოვლენას, რომელიც, მაგალითად, ინფორმაციის გადასწვლეებისას, მრავალ, ერთმანეთისაგან განსხიეებულ, თანმმდევრულ ეტაპს მოიცავს. მაგალითად, მეხსიერების ფენომენის რეალისზაციისათვის სპიტირთა ინფორმაციის აღქმა,


მისი „ხანმოკლე“ და შემდეგ „ხანგრძლივ“ მეხსიერებაში შენახვა, საჭირო მიმდინარეობის მექანიზმებში არსებული ინფორმაციის გახსენება და ბოლოს, ადეკვატური ქცევითი რეაქციის განხორციელება. ამ შემთხვევაში, ნეიროფსიქოლოგიური მიდევნება გულისხმობს მეხსიერების ფერმინის რეალისტურად წარმოდგენის ცალკეული ეტაპების განსაზღვრას და თავის ტყეში მათ რეალისტურად მასშტაბირებადი წერტილის ხუბსტრატის გამოვლენას.

თავის ტყეში „ფუნქციონალური ტრანსფორმაციული დოკუმენტაცია“ შესწავლის დიდი ხნის ისტორია აქვს. ყოფილიყოფილები და ნაგურაღმსტრები ჯერ კიდევ შუა საუკუნეებში ცდილობდნენ რთული ფსიქიკური პროცესები განეხილათ როგორც თავის ტყის შესწავლის უბნების ფუნქცია. XIX საუკუნის დასაწყისში ცნობილი ანატომი ურანც გადამ, რომელმაც პირველად აღწერა თავის ტყის რუბ და თვით ნეოლოგიისაა მისი განსხვავება, გამოიყენა მისაზრება, რომ აღიზინის „რთული ნივთი – განსაკუთრებული უნარები“ – დაკავშირებულია თავის ტყის მკაცრად შესწავლად უბნებით, რომლებიც განეხილავს თავის ქალასე შესწავლებებს ქმის, რის მიხედვითაც შესაძლებელია ინდივიდის ნივთების განსაზღვრა. ასეთ შესწავლებაზე დაფუძნებით გადამი შექმნა მიმდინარეობა – „ნივთებისა ფიქციონალი“, დაამუშავა ე.წ. „ფუნქციონალური რუბები“, რაც მალე იქნა დაფუძნებული. გადამის ეს შესწავლება განიხილება, როგორც თავის ტყეში რთული ფსიქიკური „ფუნქციების ტრანსფორმაციული დოკუმენტაცია“ პირველი ცდა ამ შესწავლების უარყოფის შემდეგ, ტყის მკაცრი უბნების დაზიანებათა შედეგად ქვეყნში აღძრულ ცვლილებებზე დაკვირვების გზით თავის ტყის ქვეყნული უბნების ფუნქციების განსაზღვრა დაიწყო, რითაც უაქტიურად ნეოლოგიის საყვარა საფუძველი.

ფსიქიკური პროცესების დარღვევის მიზეზების კვშიარტი შეცნობა 1861 წლიდან დაიწყო, როდესაც ახალგაზრდა ურანცმა ანატომის პოლ ბროკამ გამოიკვლია პაციენტი, რომელსაც მრავალი წლის განმავლობაში ადენომიხეზი მარტორული (ქმსტრესიული) მეტეფილების დრმა დარღვევა ბროკამ დაადგინა, რომ ამ პაციენტს დაზიანებული პქინდა მარტორული პქინსიერის შუბლის ქვემო ხეულის უკანა შესამედი. მოგვიანებით, მანვე აქვინა, რომ „მარტორული მეტეფილება“ თავის ტყის სწორედ ამ უბნებით არის დაკავშირებული რამდენადაც ეხლა ასეთ პაციენტს, შენარბუნებული პქინდა როგორც ხევისი მეტეფილების აღქმის, ასევე ტყეებისა და ქმის მოძრობის უნარი, ბროკამ იყარაუდა, რომ მარტორული პქინსიერის შუბლის ქვემო ხეულის უკანა შესამედი (ხერ. L1) „სეტეფების მარტორული ხარის ცერტრს“ წარმოადგენს და, რომ ამ უბნის დაზიანებას თან ხდევს მარტორული მეტეფილების თავისებური ამოვარდნა, რაცაც მან „აფიზია“ უწოდა.

ბროკამ აღნიშნის ორმაგი მნიშვნელობა პქინდა, ერთი მხრით, პირველად მიხერხდა რთული ფსიქიკური ფუნქციის „დოკუმენტაცია“ თავის ტყის ქვეყნის განსაზღვრულ მიდამოში. ამასთან, ამცარი „დოკუმენტაცია“, გადამის ფანტასტიკური შესწავლებისაგან განსხვავებით, კლნიკურად დახატულებულ

ხასიათს ატარებდა. მეორე მხრივ, ამ აღმოჩენით პირველად იქნა გამოვლენილი განსხვავება მარცხენა და მარჯვენა პემისფეროს შორის და მარცხენა პემისფერო (მეზარჯენერეში) განსასაზღვრულ იქნა როგორც წამყვანი, მეტყველების უროსულესი ფუნქციისათვის დომინანტური. ფაქტიურად, ამ აღმოჩენამ ხავეუძეველი წაუკარა ცნებას პემისფეროთა „*ეერქციური ასიმეტრიის*“ შესახებ.



სურათი I. ბროკას და ეერნიკეს მდგანოების დოკალიზაცია თავის ტვინის მარცხენა პემისფეროში.

შემდეგ, 1873 წელს, გერმანელმა ფსიქიატრმა კარლ ეერნიკემ აღწერა კლინიკური სურათი, როდესაც მარცხენა პემისფეროს საფეთქლის ზედა ხევეულის უკანა შესამედის დაზიანებისას პაციენტს დარღვეული ქონდა მოსმენილი, ტექსტის შეცნობის უნარი. ამასთან, მოტორული მეტყველება ასეთ პაციენტებს ნაწილობრივ შენარჩუნებული ქონდათ. ბროკას მზავსად, ეერნიკემ იფარაუდა, რომ მარცხენა პემისფეროს საფეთქლის ზედა ხევეულის უკანა შესამედი (ხურ. I.I) „*ხიტყვის სენსორული ხატის ცენტრს*“ ან, როგორც ის აღნიშნავდა, „*ხიტყვების გაგების*“ ცენტრს წარმოადგენს.

ბროკასა და ეერნიკეს აღმოჩენებმა, რომ ფსიქიკური მოქმედების რთული ფორმა შეიძლება განხილულ იქნას როგორც ტვინის განსასაზღვრული უბნის ფუნქცია, ან სხვა სიტყვებით, როგორც რთული, ისე შედარებით მარტივი ფუნქციების (მოძრაობა, მგრძობელობა) დოკალიზაციის შესაძლებლობამ ტვინის მცირე უბნებში, არნახული გამოცოცხლება გამოიწვია ნევროლოგიურ მეცნიერებაში. ნევროპათოლოგებმა დაიწყეს ფაქტების შეგროვება იმის საჩვენებლად, რომ სხვა რთული ფსიქიკური პროცესების რეალიზაციაც ტვინის ქერქის ცალკეული უბნის ფუნქციას წარმოადგენს.

ტვინის ქერქის ცალკეულ უბანში რთული ფუნქციების „*პირდაპირი დოკალიზაციის*“ შესაძლებლობისადმი დრმა ინტერესმა ეწ. „*ბრწყინვალე 70-იან წლებში*“ მრავალ „აღმოჩენას“ შეუწყო ხელი. კრძიოდ, დადგენილ იქნა „*გაგების*“ ან „*მეცნობის ცენტრი*“, „*წერის ცენტრი*“, „*თედის ცენტრი*“,

„კათიკის ცენტრი“, „სოურცეში ორენტაციის უნარის ცენტრი“ და ა.შ. ასეთი მონაცემების საფუძველზე ფხიჭილოვები და ნეეროლოვები გასული საუკუნის 70-იან წლებში ქმნიდნენ ტუისის ქერქის „ფუნქციურ რეკებს“ (სურ. 12), რამაც, მათი აზრით, საბოლოოდ გადაწყვიტა ტუისის, როვარც ფსიქიკური მოქმედების ორგანოს ფუნქციური ორგანიზაციის საკითხი. ასეთი შეხედულებანი თითქმის ნახევარი საუკუნის განმავლობაში იყო გაზიარებული. მიმდინარეობას, რომელიც ტუისის რომელიმე შემოსახვედრულ უბანში რთული ფსიქიკური ფუნქციის დოკალიზაციის შესაძლებლობას აღიარებს, დღეს „ეიწრო დოკალიზაციონიზმის“ ტერმინით აღნიშნავენ.



სურათი 12. ფუნქციონის განაწილება თვის ტუისის ქერქის „ფუნქციურ რეკებზე“

„ეიწრო დოკალიზაციონიზმის“ მიმდევრების შეხედულებას ყველა მდროსნადელი ნეეროლოგი არ იზიარებდა. „ბრწინვადლე 70-იან წლებშიც“ კი ბროკასი და მის მიმდევრებს, ინგლისელი ნეეროლოგის ჯონ პიულისნე ჯიკსონის სახით, ძლიერი ოპონენტები შედგნოთ. ტყუის ცენტრალური მექანიზმების ორგანიზაციის „ეიწრო დოკალიზაციონიზმის“ პრინციპის წინააღმდეგ იღაშქრებდა, აგრეთვე, ცნობილი ავსტრული ნეეროლოგი და ფსიქიატრი ზიგმუნდ ფროიდი. ჯიკსონმა წამოაყენა დებულება, რომ ფსიქიკური პროცესების ცენტრალური ორგანიზაციის შეცნობა საჭიროებს ისეთ მიდგომას, რომელიც პირველ რიგში გაითვალისწინებს ფსიქიკური პროცესის ერაპობრივ შენებას.

ჯიკსონის შეხედულება ძალზე რთული აღმოჩნდა მისი თანამედროვები-სათვის და მხოლოდ XX საუკუნის პირველ ნახევარში იქნა გაზიარებული იბურატაშვილის, კომნაკოვის, აპუდის, კვოლდშტეინის და სხვთა მიერ. ეს მიკვლევარები არ უარყოფდნენ, რომ იდეენტარული ფიზიოლოგიური „ფუნქციების“ (კანის მგრძობილება, შეხედულება, სუნა, მძიარობა) რეალიზაცია,

თავის ტვინის ქერქის მკვეთრად შენოსასღვრული უბნის მოქმედებით ხდება, მაგრამ ამავე დროს, ეპო შუიტიანეს ფსიქიკური პროცესების სუბსტრატის განსასაზღვრავად „ეიწრო ლოკალიზაციონისმის“ პრინციპის მართებულობაში. მათი აზრით, როელი ფსიქიკური პროცესების რეალიზაციით დაკავებული უხდა იყოს მოელი ტვინი და არა ტვინის რამელიმე განსასღვრული უბანი. როელი ფსიქიკური პროცესების „ეიწრო ლოკალიზაციონისმის“ მოწინააღმდეგეთა ექვმა ზოგიერთი მკვლელი მოიქანა იმ მოსაზრებამდე, რომ ფსიქიკური პროცესები მოწვევტილი უნდა იყოს ტვინის სუბსტრატისაგან და აღიარეს ამ პროცესების განსაკუთრებული, „სელური ბუნება“ (კმანაკოვი, ჩმურანტკანი).

ზოგიერთი ცნობილი მეცნიერი კი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მიზანდასახული ქვევა მოქმედებაში ჩართული ტვინის ქსოვილის მახით ვანიხაზდურება და არა ამ პროცესში ტვინის ამა თუ იმ განსასღვრული მიდამოს მონაწილეობით („ნოეტრიკური თეორია“ – კლემლი, გოლდშტიინი). ადელი შუხანშევი, რომ როელი ფსიქიკური პროცესების სუბსტრატის მეცნობისადმი, როგორც „ეიწრო ლოკალიზაციონისტურ“, იხე „ნოეტრიკურ“ მიდგომას ფსიქოფიზიოლოგიური მეცნიერება ჩიხისკენ მიპკავდა. ირთეე შეხედულებაში დომინირებს მკვეთრად პოლარისებული – ურთიერთგამსმრიცხავი შეხედულება. პირველი გულისხმობს როელი ფსიქიკური პროცესის ლოკალიზაციის ტვინის შემოსასღვრულ უბნებში, ხოდო მეორე, მთლიანად უარყოფს თავის ტვინში „ფუნქციითა ტომოგრაფიული ლოკალიზაციის“ შესაძლებლობას.

ამგვარად, ფსიქიკური პროცესების ცენტრალური საფუძვლების მიების საქმეში და, შესაბამისად, ნეგროპათოლოგიისა და საერთოდ „ფსიქოფიზიოლოგიურ მეცნიერებათა“ განვითარებისათვის კრიზისული სიტუაცია შეიქმნა. ამიტომ, სავსებით ბუნებრივია, რომ კრიზისის დაძლევისათვის აუცილებელი იყო კვლევის ისეთი, მეცნიერულ პრინციპებზე დაფუძნებული მეთოდოლოგიის შექმნა, რომლის საშუალებითაც ფსიქოფიზიოლოგიური პროცესების წარმატებით შესწავლა ვახებოდა შესაძლებელი. ამ მიზნის მისაღწევად, ნეიროფსიქიოლოგიის ერთ-ერთმა ფუძემდებელმა ალექსანდრე დურიამ (სურ. 13) ისეთი ძირითად ცნებათა, როგორცაა: „ფუნქცია“, „ლოკალიზაცია“, „სიმკვამი“, ვადახსნჯვის აუცილებლობის შესახებ დააყენა საკითხი.



სურათი 13.

ალექსანდრე დურია (1902-1977).

ფსიქიოლოგიის ერთ-ერთმა ფუძემდებელმა ალექსანდრე დურია (სურ. 13) ისეთი ძირითად ცნებათა, როგორცაა: „ფუნქცია“, „ლოკალიზაცია“, „სიმკვამი“, ვადახსნჯვის აუცილებლობის შესახებ დააყენა საკითხი.

ფსიქიკურ პროცესებთან მიმართებაში ცნების „ფუნქცია“ და „ლოკალიზაცია“ განსაზღვრა

მკვლევარები, რომლებიც თავის ტექნიკაში „ფუნქციათა ლოკალიზაციის“ ხიკოთხის შეისწავლიდნენ, „ფუნქციის“ ცნებას განიხილავდნენ, როგორც ამა თუ ამ ქსოვილის უშუალო „გზავნილებას“, მარტივი „ფუნქციის“ შემთხვევაში ამგვარი ინტერპრეტაცია საკლებით მართებულია. ჩაუყვლია, რომ ღვიძლის „ფუნქციას“ ჩაღვლის გამოყოფა, ხოლო კვლკვეშა ჯირკვლის – პანკრეატის „ფუნქციას“ ინსულინის გათავისუფლება წარმოადგენს. ასევე, თვალის ზადერის ხინათღისადმი მგრძობობარე ელემენტებისა და მათთან დაკავშირებული მხედველობითი ქერქის სპეციალიზებული ნეორნების „ფუნქციას“ ხინათღის აღქმა წარმოადგენს, ხოლო მობრობობათა აღმძვრელი იმპულსების ვერერაცია, თავის ტეინის ქერქის მოტორულ უბანში განთავებებული, მწ. ბეციის – გოგანტური პირამიდული უჯრედების „ფუნქციაა“. ასეთი მიდგომა როდელ „ფუნქციათა“ მიმართებაში არ არის მართებული. საგალითად, ისეთი შედარებით რთული „ფუნქცია“, როგორცაა საჭმლის მოხენება ან სუნთქვა, არ შეიძლება განისაზღვრებოდეს რომელიმე შემთხავზღვრული ნერეული ქსოვილის ან თუნდაც, ცალკეული ნერეული სტრუქტურის მოქმედებით. საჭმლის მოხენების აქტის რეალიზაციისათვის საჭიროა მთელი რივი თანმიმდევრული პროცესების განვითარება, რომლებიც მოიცავს საკვების როგორც მექანიკურ და ფერმენტულ გადამუშავებას, ასევე საჭმლის მოხენლებელი ტრაქტის სისტემაში საკვების გადაადგილებას და საკვების დაშლილი ელემენტების შეწოვას. წვრილ ნაწლავებში. ნათელია, რომ საჭმლის მოხენებისათვის საჭირო ცალკეული პროცესის რეალიზაციას ნერეული სისტემის განსხვავებული უბნების შემთხავზღვრული მოქმედება განსაზღვრავს. ასეთივე ხიტუაცია იქმნება „სუნთქვის ფუნქციასთან“ დაკავშირებით. სუნთქვის საბოლოო მიზანია ფილტვების აღფეთვლებასდე კანზებადის მიწოდება და აღეულის კედლებიდან სისხლში მისი დიფუზია. ამ საბოლოო მიზნის რეალიზაციისათვის აუცილებელია რთული კუჩითოვანი აპარატის მოქმედება. ამ აპარატის შემადგენლობაში შედის დიაფრაგმისა და ხეხიათშორისი კუნთები, რომელთა მეშვეობით ხორციელდება გულმკერდის დრუხ მოცულობის გაზრდა-შემცირება. აღნიშნული კუჩითოვანი აპარატი თავის ტეინის ღეროში და თავის ტეინის ზედა სართულებში განლაგებული უროთელესი ნერეული მექანიზმებით მართება. ნათელია, რომ მიდლიანად ამ პროცესების ერთმანებობა არ შეიძლება წარმოადგინდეს ერთ – გარეუთოველ „ფუნქციას“ და ერთი ორგანოს „გზავნილებას“. ამიტომ, რთული „ფუნქციის“ ნერეული მექანიზმების „ლოკალიზაციის“ დადგენის შემთხვევაში, მიზანშეწონილია ნერეულ სისტემაში ფსიქიკური, მოძრობობითი თუ სეკრეტორული, ან სხვა პროცესების განსაზღვრულ მიუღ სისტემაზე ჩაუბარი. ასეთი სისტემა, თავის მხრივ, შედგება რთული „ფუნქციის“ შემადგენელი პროცესების განსაზ-

დგრელი, ერთმანეთისაგან განმსოფლებული ხერხული სუბსტრატებისაგან („*რკო-
ლებისაგან*“), რომლებიც ცენტრალური ნერეული სისტემის სხვადასხვა დონეზეა
განთავსებული.

როული ფსიქიკური პროცესების ორგანიზაციის ზემოთ განხილული
პრინციპების გათვალისწინებით, ნეიროფსიქოლოგები იძუდებულნი გახდნენ
ძირეულად შეცვალათ თავის ტვინში ფსიქიკურ ფუნქციათა დოკალიზაციის
შეხახებ არსებული კლასიკური შეხედულებანი. აღნიშნულ შენიშვნათა გა-
თვალისწინებით, თანამედროვე ნეიროფსიქოლოგები თვლიან, რომ ელემენ-
ტარულ „*ფუნქციას*“ ცალკეული სპეციაფიკური უჯრედები განახორციელებს,
ხოლო როული „*ფუნქციის*“ რეალიზაციას ტვინის სხვადასხვა უბნებში
განთავსებული, განსხვავებული მარტივი „*ფუნქციის*“ რეალიზაციაში წარ-
თული, სპეციფიკური უჯრედების ერთობლივი მოქმედება უდევს საფუძვლად.
შესაბამისად, ფსიქიკური პროცესების რეალიზაციაზე პასუხისმგებელი სუბ-
სტრატის „*დოკალიზაცია*“ ტვინის ერთ, რომელიმე შემოხაზულ უბანში
წარმოუდგენელია. ისეთი შედარებით მარტივი „*ფუნქციური სისტემა*“ ეი,
როგორც არის ხუნთქვა, თავის შემადგენლობაში მრავალ ელემენტს წარ-
თავს და შესაბამისად, „*ხუნთქვის ცენტრი*“ თითქმის მთელ ტვინშია
გაფანტული. თავდაპირველად ეი თვლიდნენ, რომ ეს „*ცენტრი*“ განთავ-
სებულია მოგრო ტვინში და ტვინის ქსოვილის მხოლოდ ქინძისათვის თავის
ტოლ ფართობს მოიცავს.

ივალისწინებენ რა ფსიქიკური ფენომენის სირთულესა და ამ პროცესების
რეალიზაციაში წართული ნერეული სუბსტრატის „*სისტემური ორგანიზაციის*“
პრინციპებს, თანამედროვე ნეიროფსიქოლოგები თავიანთ ძირითად ამოცანას
ხედავენ იმაში, რომ გამოავლინონ ურთობლივად მოქმედი ტვინის ის
მდამოებნი, რომლებიც მოცემული „*ფუნქციის*“ რეალიზაციისათვის შექმნილ
სისტემაში* არის გაერთიანებული და გაარკვეონ სისტემის მოქმედებისათვის
თითოეული მათგანის სპეციფიკური „*ფუნქცია*“. ნათელია, რომ ფსიქიკური
პროცესების ნერეული მექანიზმების კვლევისას ამგვარი მიდგომის შემთხვე-
ვაში, ძირეულად უნდა შეიცვალოს ნეიროფსიქოლოგისა, თუ სოციალად,
ნეუროლოგის პრაქტიკული საქმიანობა. იმის დახადგენად, თუ აღმოაჩინოს ამა
თუ იმ ფსიქიკურ ფენომენს თავის ტვინის რომელი სტრუქტურების მოქმედება
უდევს საფუძვლად, აუცილებელია, პირველ რიგში, იმ ფსიქიკური პროცესის
შენების ნატიყი ანალიზი, რომლის ნერეული ორგანიზაციის დადგენაც გაქმის
გამისწეული და, არსებული ცოდნის საფუძველზე, თავის ტვინში მოცემული
ფსიქიკური პროცესის შემადგენელი ცალკეული ეტაპის რეალიზაციაზე პა-
სუხისმგებელი ნერეული სუბსტრატის განსაზღვრა.

* ასეი სისტემის „*ფუნქციური სისტემების*“ ხსენებით აღნიშნავენ.

ამრიგად, ნეიროფსიქოლოგიაში აღიარებული მეთოდოლოგიის მიხედვით, უპირველეს ყოვლისა უნდა განისაზღვროს შესასწაველი ფაქტორური ფენომენის სტრუქტურა. ანუ აუცილებელია მისი შემადგენელ კომპონენტებად დაშლა, ხოლო შემდეგ, თითოეული კომპონენტის რეალიზაციაზე პასუხისმგებელი ტენიის სტრუქტურის განსაზღვრა. ასეთი მიდგომა თავის ტერმში ფსიქიკურ „ფუნქციონალურ კალაზაჟის“ უძველესი საკითხის ახლებურად გადაწყვეტის საშუალებას იძლევა. პრობლემისადმი ასეთი მიდგომის დამკვიდრებისათვის იღწვოდნენ ალექსანდრე ლურია, კარლ პირბრაინი, ივანე პერიტაშვილი და სხვა გამოჩენილი მეცნიერები, რომლებიც ნეიროფსიქოლოგიის ფუნქციონალურად სამართლიანად ითვლებიან.


იხილათვის, რომ უფრო ხაზლად წარმოვანიროთ ქვეყნის ორგანიზაციისა და რეალიზაციისას ტენიის ფუნქციური ორგანიზაციის კანონზომიერებანი, უნდა გავვიცნოთ, თუნდაც „ხოვადად, მოხდებებას“ „ფუნქციური სისტემების“ შესახებ.

მოხდებება „ფუნქციური სისტემების“ შესახებ

ტერმინი „ფუნქციური სისტემები“ ფიზიოლოგიაში დამკვიდრდა პეტრე ანოხინის შრომების წყალობით, თუმცა ამ მოძღვრების საფუძვლები მნიშვნელოვანწილად დამუშავებულია ნიკოლოზ ბერნშტეინის მიერ. იკვლისჩმება, რომ მიზანდასახული ქვეყნის რეალიზაციისათვის ცენტრალურ ნერვულ სისტემაში (ზსს) იქმნება ე.წ. „ფუნქციური სისტემები“, რომლებიც განსხვავებული სპეციფიკური „ფუნქციის“ მქონე ნერვული უჯრეტებისაგან (ან სტრუქტურებისაგან – „რგოლებიდან“) შედგება. კონკრეტული ქვეყნის რეალიზაციისათვის შექმნილ „ფუნქციურ სისტემაში“ გაერთიანებული განსხვავებული „ფუნქციის“ გენერატორი სტრუქტურები ერთიერთშეთანხმებულად – „თანამოქმედების“ პრინციპით მოქმედებს. ასეთი სისტემები ხასიათდება არა მარტო სართულით, არამედ დაბილიობითაც. ეს უკანასკნელი გულისხმობს „ფუნქციური სისტემის“ შემადგენელი რომელიმე ცალკეული მარტივი „ფუნქციის“ გენერატორი „რგოლი“ რაიმე მიზეზის (დაზიანება) გამო გამოთიშვის შემთხვევაში, მის შეცვლას ხევა „რგოლით“. „ფუნქციურ სისტემაში“ ასეთ შემთხვევაშიც აქვს იმ მიზნის მიღწევის უნარი, რომლის რეალიზაციისთვისაც იგი მოცემულ მომენტში შეიქმნა. „ფუნქციური სისტემების“ ასეთ თვისებათა დემონსტრაცია სუნთქვის მაგალითზე შეიძლება. თუ სუნთქვის პროცესში დიაფრაგმის კუნთები რაიმე მიზეზით შეწყვიტეს მოქმედებას, ამ პროცესში წარმოიქმნება ნეკროზირების კენთები, ხოლო თუ მათაც შეწყვიტეს მოქმედება, პროცესში წარმოიქმნება სორხის კენთები და პერეოთითოსის წაიყვანება ცხოველის მიერ. შესაბამისად, სუნთქვის საბოლოო „ფუნქცია“ (მიზანი) – განზაადის მიწოდება უფრელებისათვის – შესრულდება, მაგრამ იგი შესრულდება „ფუნქციური სისტემის“ დაბილიობის გამო. „ფუნქციური სისტემების“ დაბილიობის წარმოსახინად შეიძლება განვიხილოთ ქვეყნის მაგალითიც. ჩვეულებრივ, დაბიბისთვის პირობებში ერთიანად დოკამიცით აღწევს მიზანს,

სიღლო თუ დაბირახიის ერთ განყოფილებას წყლის აქით შევიკვლით, ამგვარი ამოცანას იგი ცვრვის ხასხადობით შეხორულებს. ხაივლია, რომ დოკოპოციას და ცვრვის განხსავაგებელი ზრუვლი მეტახისმების მოქმედება განხსავლერავს.

ახსანიშნავია, რომ ერთი განხსავლერული მიზნის მისაღწევად შექმნილი „ფუნქციური ხისტემის“ შემადგენელი ცალკეული „რეალია“, შეხადლია, სხვა შემთხვევაში, განხსავაგებელი მიზნის მისაღწევად შექმნილი „ფუნქციური ხისტემის“ შემადგენლობაში იქის ჩართული. „ფუნქციური ხისტემების“ მონდერების ტერმინებით, ეს დებულება, შეიძლება შესდგენიორად ჩამოვავალოდით: ნებისმიერი ელემენტარული „ფუნქციის“ მქონე ტეინის სტრუქტურას ძალზე მადალი, ე.წ. „თავისუფლების ხარისხი“ აქვს, რაც გულისხმობს მოცემული სტრუქტურის შესაძლებლობას მისაწლიყობა მიიღოს სხვა მიზნის მისაღწევად შექმნილი „ფუნქციური ხისტემის“ მოქმედებაში. ახეთ შემთხვევაში, ამ რეალის „თავისუფლების ხარისხი“ შეიკვეცება და მისი მოქმედება მკაცრად დაექმმდებარება კონკრეტულ „ფუნქციურ ხისტემაში“ იორარციის მადალ ხაყუხურსუ მდგომის სტრუქტურის მოქმედებას. ამრიგად, ამ სტრუქტურის ელემენტარული „ფუნქცია“ უცდელელი დარნება, მაგრამ მოცემული „ფუნქციით“ იგი თავის წვლილს შეიტახს „ფუნქციური ხისტემათ“ შესრულებული ქვევის რეალიზაციით. მადალითად, ხელის თითების მოქმედება ერთხაორად აუცილებელია ისეთი განხსავაგებელი ქვევითი აქტის რეალიზაციისათვის შექმნილი „ფუნქციური ხისტემებისათვის“, როგორცაა წერა და ქოვა (სურ. 1.4).



სურათი 1.4. წერისა და ქოვის რეალიზაციისათვის ირცახისებელი „ფუნქციური ხისტემების“ სქესტური განხსავლდება. თითების ნაყოფი მოძრაობის განხსავლერული ზრუვლი სეხსტრატის ხაით ამ ორ, ერთმხეობისათვის განხსავლერულ „ფუნქციურ ხისტემას“ ხაერთი „რეალია“ აქვს.

სვენ განვიხილეთ შედარებით მარტივი ქვეითი აქტები და დაერწმუნდით, რომ იხილი „სისტემური“ შესწავლით ხასიათდება. ადვილი წარმოადგენია, თუ რაოდენი რთული „სისტემური“ შენებისაა ფსიქიკური ფუნქციები.

ცხადია, ისეთი რთული ფსიქიკური პროცესები, როგორცაა აღქმა და დამახსოვრება, გნოზისი და პრაქსისი, მეტყველება და აზროვნება, წერა და კითხვა, ანგარიში, მეხსიერება და სხვა, განუყოფელ (დაუნაწილებელ) ფუნქციებს არ წარმოადგენს. შესაბამისად, არ შეიძლება ახეთი ფუნქციები განიხილულ იქნას, როგორც შემოსაზღვრული უჯრედული ჯგუფების უშუალო „ფუნქციები“ და, შესაბამისად, შეუძლებელია, რომ მათი ნერვული სუბსტრატის ტვინის რომელიმე ერთ, შემოსაზღვრულ უბანში იყოს დოკალიზებული.

ამგვარად, ცნება „ფუნქციაზე“ და „ლოკალიზაციაზე“ მსჯელობის დასახრულს, ნეიროფსიქოლოგიაში დღეისათვის მიღებული შეხედულება შენდებნაირად შეიძლება ჩანოვაციადობით: ელემენტარული პროცესების შემთხვევაში „ფუნქცია“ წარმოადგენს ამა თუ იმ ქსოვილის ან ცალკეული ორგანოს „გზავნილებას“; ხოლო ფსიქიკურ ფუნქციონთან მიმართებაში, „ფუნქცია“ თანამოქმედების პრინციპით გაერთიანებული ტვინის სტრუქტურების („რგოლების“) ერთობლიობის ანუ „ფუნქციური სისტემის“ მოქმედების შედეგს წარმოადგენს.

ფსიქიკური პროცესების მიმართებაში ცნება „სიმპტომის“ განსაზღვრა

ფსიქიკურ ფუნქციათა დიფიციტი „ფუნქციური სისტემის“ სხვადასხვა „რგოლს“ ნორმალური მოქმედების მოშლით არის განპირობებული. ნორმალური ფუნქციიდან გადახრები პათოლოგიური მდგომარეობის მანიფესტაცია და სფეროლოგიურ ლიტერატურაში მოიხსენიება ტერმინით – „სიმპტომი“. მაგალითად, თავის ტკივილი შეიძლება იყოს ქალასშიდა წვევის მომატების „სიმპტომი“, ხელის ან ფეხის მოძრაობის უუნარობა – მათი დამშლის „სიმპტომი“. ერთი და იგივე „სიმპტომი“ სხვადასხვა დარღვევითა დროს შეიძლება აღიძრას. მაგალითად, თავის ტკივილი როგორც ტვინში სიმხვის არსებობის ან ქალასშიდა წვევის მომატებისას, ისე გროპის ან მენინგიტის დროს შეიძლება აღიძრას.

„სიმპტომის“ შესახებ ზემოთ მოტანილი ცნობები მართებულია, მაგრამ არასაკმარისია იმიტომ, რომ ამ ტერმინით ფსიქიკურ პროცესებთან მიმართებაში ვისარგებლოთ, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, თავის ტვინში ფსიქიკური „ფუნქციების ლოკალიზაციის“ შესწავლისადმი მიძღვნილი კლასიკური შრომები დაფუძნებული იყო გამართლებულ შეხედულებებზე, კერძოდ, ტვინის ლოკალური (მკირედი) დაზიანების შემთხვევაში შემსწავლელი ისეთი რთული ფსიქიკური „ფუნქციების“ მოშლა, როგორცაა მტკიცელება, წერა, კითხვა, პრაქსისი, გნოზისი, განიხილებოდა, როგორც პირდაპირი საბუთი იმისა, რომ მთლიანობაში, მოცემულ „ფუნქციაზე“ პასუხისმგებელია ტვინის დაზიანებული უბანი, ანუ მოცემული „ფუნქცია“ დაზიანებულ უბანში არის „ლოკალიზებული“.

ჩათვლია, რომ მხედველობითი „ფუნქციის“ ნაწილობრივი დევიაციტი ბავჯურის, მხედველობითი გზების ან მხედველობითი ქერქის დაზიანების შედეგად შეიძლება გამოვლინდეს, რაც მოკითხუებს, რომ თითოეული მათგანი მოცემული „ფუნქციური სისტემის“ ცალკეულ „რგოლს“ წარმოადგენს. შეხაბამისად, ნებისმიერი ცალკეული „რგოლის“ დაზიანება „ფუნქციური სისტემის“ დაშლას გამოიწვევს, რადგანაც მხედველობითი ველის ნაწილობრივი ამოვარდნა აღნიშნული „სიმპტომის“ სხვადასხვა ნერვული სუბსტრატის დაზიანებით შეიძლება იყოს განპირობებული. „სიმპტომის“ მიხედვით დაზიანების ადგილმდებარეობა ვერ განისაზღვრება.

იმისათვის, რომ შესაძლებელი გახდეს „სიმპტომის“ მიხედვით დაზიანებული სტრუქტურის „დოკალიზაციის“ განსაზღვრა, აუცილებელია აღნიშნული „სიმპტომის“ დეტალური ნეიროფსიქოლოგიური ანალიზი და იმ მიზეზების გამოვლენა, რის გამოც დაიშალა „ფუნქციური სისტემა“, ანუ რის გამოც ვერ ხერხდება მოცემული „ფუნქციის“ რეალიზაცია. შეხაბამისად, მოცემულ „სიმპტომს“ „ნატიფი კვალიფიკაცია“ უნდა მიეცეს.

ზემოთქმულის განმარტების მიზნით განვიხილავთ შემდეგ მაგალითს: ხეუროლოგიურ კლინიკაში ხშირია აპრაქსიის „სიმპტომის“ შემთხვევა, რომლის არსი იმაში მდგომარეობს, რომ პაციენტს უძნელდება ამა თუ იმ საგნობრივი მოქმედების შესრულება. კლასიკური ხეუროლოგიისათვის, რომელიც თხემის ქვემო უბანს „როული პრაქსიის ცენტრად“ განიხილავდა, ეს საკმარისი იქნებოდა, რომ დაზიანების ადგილად ტემის სწორედ ეს უბანი განესაზღვრა.

ბერნშტეინის მიერ ნატარებული კვლევის შედეგებით გაირკვა, რომ ყოველგვარ ნებით მოძრაობას – განსაკუთრებით საგნობრივ მოქმედებას, როული „ფუნქციური სისტემის“ მოქმედება უდევს საფუძვლად. ამ სისტემის ეფექტურად ფუნქციონირებისათვის აუცილებელია მთელი რიგი პროცესების რეალიზაცია, რომელთა შეფერხების შემთხვევაში ასეთი მოძრაობა ვერ შესრულდება. კერძოდ, გამოირკვა, რომ ნატიფი ნებითი მოძრაობის შესრულებისათვის, უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია კინესთეტიკური აფერენცაცია ანუ კინესთეტიკური იმპულსების სისტემა. ეს უკანასკნელი „ამცნობს“ ტემის, კერძოდ კი პოსტცენტრალური ქერქის მგრძობელობით უზნებს, დროის მოცემულ მონაკვეთში მოძრაობაში მყოფი კიდურისა და ხახსრების რეალურ მდგომარეობას. თუ ასეთი აფერენტული იმპულსაცია ამოყარდა, მოძრაობა დაკარგავს აფერენტულ (აღზავალ) საფუძველს და ამის გამო, ეფერენტული (დადამაჯალი) იმპულსაცია თავის ტემის ქერქიდან კუნთებისაკენ, პრაქტიკულად უმართავი გახდება. ამიტომ, პოსტცენტრალური ქერქის მცირედი დაზიანების დროსაც კი, თავისებურად „კინესთეტიკური აპრაქსია“ შეინიშნება, რაც ნატიფ, დოფერენტირებულ მოძრაობათა დარღვევაში ელისიდება. შედეგად, საგნობრივი მოქმედების ეფექტურად შესრულება შეუძლებელი ხდება. თქმვა, კინესთეტიკური აფერენტაციის არსებობა ნებითი მოძრაობის განხორციელებისათვის მნიშვნელოვანია, იგი მაინც არააქსიომისა.

ყოველგვარი მოძრაობა, იქნება ეს ორგანიზმის გარემოში გადაადგილება, ხანის მიზანში მოხვედრება თუ სივსიდან ურთიერთობა, სიერციით კორდინატების სისტემაში ხდება და აუცილებლად საჭიროებს მხედველობით - სიერციით აფერენტაციასა სინთეზს. ასეთი სინთეზის რეალიზაციაში თავის ტვინის ქერქის თხემეფის წილის მესამეული ზონები მონაწილეობს, სადაც მხედველობითი, ვიზუალური და კანკინესთეთიკური ანალიზატორიდან აღძრული იმპულსები იერის თავს. ქერქის ამ უბნის დაზიანების შემთხვევაში აღნიშნულ იმპულსაციასა სინთეზი ირდეეა და პაციენტს რთულ მოძრაობათა დარდეეა აღენიშნება. მაგრამ, ასეთ შემთხვევაში, არაქია სხვა თვისებებით ხასიათდება და ეს, უპირედეეს ყოველისა, ვლინდება იმაში, რომ პაციენტს არ შეუძლია მომქმედ ხელს დისახული ამოცანის შესრულებითის აღდეკატური მდგომარეობა მიანიჭოს. ასეთ პაციენტს უჭირს ლოგინის დაგება და ხშირად ხაბანს არა საწოდის გასწვროე, არამედ განიფად აგებს. მას არ შეუძლია შეინარსუნოს კოეხის საჭირო მიმართულება და ნაცელად კორიზონტალურისა, კერტიკადურ მიმართულებას აღდეეს მას, ნათელაა, რომ ასეთი „სიერციითი არაქია“, რეოტრე მოქმედების სტრუქტურით, ისე დაზიანებული უბნის „ლოკალიზაციით“, მვეთრად განსხეეადება ზემოთ აღწერილი „კინესთეთიკური არაქიისაგან“.

შეიძლებადა არაქიის სხვა სახეების განხილუაც, მაგრამ, რადგანაც მოცემული სახელმდგანელოს მიზანს წარმოადგენს ტვინის მოქმედების ყუნდამენტური პრინციპების გაშუქება და არა კონკრეტულ დარდეეათა ეტიოლოგიის გაცნობა, ხეენ მხოლოდ ამ მაგალითების განხილუით შემოიფარგლებით.

განხილული ფაქტიური მასალიდან შეიძლება დაეაცქნათ, რომ პრაქსიის დარდეეის „სიმტომში“ (არაქია) ტვინის დაზიანებაზე მიანიშნებს, მაგრამ თავისთავად, ამ „სიმტომის“ მიხედით, დასიიანების „ლოკალიზაცია“ ვერ განსახდერება. ნებითი მოძრაობა ურთულესი პროცესია, რომელიც თავის ტვინის ქერქის უბნებისა და ქერქქვეშა წარმონაქნების მთელი კომპლექსის ერთობლიე მოქმედებასეა დაფუძნებული და, რაც მთავარია, ყოველ ასეთ უბანს თავისი წვლილი შეაქებს ნებითი მოძრაობის ორგანიზაციაში. შეხაბამისად, რთული საგნობრივი მოქმედება შეიძლება დაიდდეეს ქერქია თუ ქერქქვეშა სტრუქტურების სხვადასხვა ნაწილის დაზიანების შემთხვევაში. მაგრამ ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ამ დარდეეებს განსხეეებულს ხასიათი ექნება. აქედან გამომდინარე, ტვინის ლოკალური დაზიანებით გამოწვეული დარდეეის შემთხვევაში აუცილებელია მოცემული დეფექტის სტრუქტურის შესწადეა, ანუ „სიმტომის კვლიფეკაცია“, მასში ძირითადი ფაქტორის გამოყოფა, რის შემდეგაც, არსებული ცოდნის ხეფუძელზე, შეხაძლებელია „დაზიანების კერის ლოკალიზაციით“ განსახდერა.

ამგვარად, ფსიქიკური პროცესების შემთხვევაში, „დაზიანების კერის ლოკალიზაცია“ და „უუნეციის ლოკალიზაცია“ ერთმანეთს არ თანხედება.

ამიტომ, ლოკალურ დაზიანებათა შეთოდით „ფუნქციის ლოკალიზაციისა“ და ტვინის მოცემული უბნის სპეციფიკური „ფუნქციის“ განსახდერისათვის, აუცილებელია „ხინდრომის“ სტრუქტურული ანალიზი.

ზოგადი ცნობები ცნება „ხინდრომის“ შესახებ

ნევროლოგიურ კლინიკაში აღწერილია უამრავი შემთხვევა, რადეხაც ჩერული სისტემის რომელიმე უბნის დაზიანება სიმპტომათა ერთობლიობის სახით გლინდება. მაგალითად, ნათხემის დაზიანებას თან ხდევს კუნთების ტონუსის დაქვეითება, მოძრაობათა კოორდინაციის, წონასწორობის დარღვევა და სხვა. პათოლოგიური მდგომარეობის თანხლები, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი რამდენიმე „სიმპტომის“ ერთობლიობას „სიმპტომოკომპლექსი“ ანუ „ხინდრომი“ ეწოდება. სერვული სისტემის რომელიმე უბნის დაზიანებას, როგორც წესი თან ხდევს განსაზღვრული, მისთვის დამახასიათებელი ნიშნები. ამასთან, ამ შემთხვევაში, „ხინდრომის“ ცნების ქვეშ დარღვევის ნიშნების არა შემთხვევითი ნაკრები, არამედ მდგრადი, მხოლოდ ამ დარღვევისათვის დამახასიათებელი „სიმპტომების“ კომპლექსი იგულისხმება. მაგალითად, მენინგიტისთვის (ტვინის გარსის ანთება) დამახასიათებელია შემდეგი „სიმპტომოკომპლექსი“ სხეულის ტემპერატურის აწევა, თავის ტკივილი, პირღებინება, პიპერსტეზია (ტაქტილური, მხედველობითი და სმენითი გამღიზიანებლებისადმი მგრძობადობის გაზრდა), მენინგიტის დროს, შეიძლება, სხვა „სიმპტომების“ აღიბრას, მაგრამ მხოლოდ ჩამოთვლილი „სიმპტომების“ ყველაზე მეტად მდგრადი და ამ დარღვევისათვის სპეციფიკური, „სიმპტომა“ ეს კომპლექსი ეწ. „მენინგიტურ ხინდრომს“ შეადგენს.

ასევე, როგორც „სიმპტომის“ განხილვისას აღვნიშნეთ, ავსც უნდა ითქვას, რომ სქმთ მოტანილი განმარტება მართებულია, მაგრამ არახაკარისია იმისათვის, რომ ამ ტერმინით ფსიქიკური პროცესის ნეიროფსიქოლოგიური ანალიზისას ეისარგებლოთ. ამ შემთხვევაში „ხინდრომული“ ანალიზის ცნება ფსიქიკური პროცესის სისტემური ორგანიზაციის შესახებ არსებულ შეხედულებათა გათვალისწინებით უნდა გაიხიხლოთ. აღნიშნულ შეხედულებათა მიხედვით, ქვევის რეალიზაციისათვის შექმნილი „ფუნქციური ხისტემის“ თითოეულ „რეალს“ მოცემული სისტემის მოქმედებაში თავისი ხაკუთარი წვლილი შეაკვს. პრაქტიკულად ეს ნიშნავს იმას, რომ მოცემული „ფუნქციური ხისტემა“ ტვინის სხვადასხვა უბნის დაზიანების შედეგად შეიძლება დაირღვეს, მაგრამ ტვინის განხიხევებული უბნების დაზიანება მხოლოდ თითოეული მათგანის სპეციფიკური „ფუნქციის“ ამოკარდნის შესატყის დარღვევას გამოიწვევს. ამასთან, თუ მოცემულ სტრუქტურას სხვა სახის ქვევის რეალიზაციისათვის ორგანიზებული „ფუნქციური ხისტემების“ ჩაირთავს, ეს ქვემოც მხეგავსად დაირღვევა. ასეთ შემთხვევაში, ერთი „რეალის“ გამოთიშვის გამო სხედასხევა ქვევების ერთმანეთის მხეგავსად დარღვევა განპირობებული იქნება

იმით, რომ ტვირის ცალკეული უბანი, რომელიც შეიძლება მონაწილეობას იღებდეს განსხვავებული ქვეყნების რეალიზაციისათვის შექმნილი „ფუნქციური სისტემის“ ორგანიზაციაში, პასუხისმგებელია მისი სპეციფიკური „ფუნქციის“ რეალიზაციაზე. შესაბამისად, მისი დაზიანება ყველა იმ ქვეყნის სპეციფიკურად დარღვევას გამოიწვევს, რომლის რეალიზაციაშიც იგი არის სარგებელი. ნათელია, რომ ქვეყნის ცენტრალური შექმნის შემთხვევების ფუნქციური ორგანიზაციის კანონზომიერებათა შეცნობისათვის აუცილებელია „ფუნქციური სისტემის“ შემადგენელი ცალკეული „რგოლის“ სპეციფიკური „ფუნქციის“ გამოკვლევა. აღნიშნულის მისაღწევად წერილობრილოგიაში მიზნშეწინილად მოხსენებს „სინდრომული ანალიზის“ სატარებას.

ფსიქიკური პროცესების „სისტემური ორგანიზაცია“ და „სინდრომული ანალიზი“

იმისათვის, რომ ტვირის ლოკალური დაზიანების შედეგად აღორულ ქვეყნით დარღვევათა მიხედვით, შესაძლებელი გახდეს სარწმუნო დასკვნების გაკეთება ფსიქიკური პროცესის შენებისა და თავის ტვირში მისი შემადგენელი კომპონენტების რეალიზაციის განმსაზღვრელი სუბსტრატის ლოკალიზაციის შესახებ, საჭიროა მთელი „სამპტომოკომპლექსის“ აღწერა, ან როგორც მიღებულია სამეცნიერო ლიტერატურაში, აუცილებელია ტვირის ლოკალურ დაზიანებათა შედეგად აღორულ ქვეყნით დარღვევათა „სინდრომული ანალიზი“.

უემოგანაიღუელი რეცეპტორებისაგან განსხვავებით, უჯრედშიდა სტეროიდულ-თიროიდულ-სტეროიდულ რეცეპტორებს (ცხრილი 2 - IV ტიპის რეცეპტორი) სტეროიდული და თიროიდული პორმონები, აგრეთვე, ვიტამინი D უკაქმირდება. ასეთი რეცეპტორები ლოკალიზებულია ციტოსოლში ან უჯრედის ბირთვში და მათი სტრუქტურის თავისებურებას წარმოადგენს ისეთი დომენის არსებობა, რომლის საშუალებით იგი ბირთვული ღნმ-ის უბნებს უკაქმირდება. ამ რეცეპტორებზე მოქმედი სტეროიდული წამლებსა და პორმონების მოქმედების ბაზისურ ფუნქციას გენების ტრანსკრიფციის მექანიზმზე უემოქმედებით ცალკეული ცილების სინთეზის სტიმულაცია და ამ გზით, უჯრედის პასუხის ჩამოკალიბება წარმოადგენს. სტეროიდული პორმონები (გონადებისა და თირემედულა ჯარკედის ქერქის პორმონები), წარმოადგენს რა ცხიმებში ადვილად ხხნად ჩაერთებს, უჯრედის მემბრანის გავლით თავისუფლად შეადწეეს უჯრედში და, სბოლოოდ, უემოქმედებს ბირთვული ღნმ-ის ე.წ. „პორმონზე მოპასუზე ელემენტებზე“. შედეგად იზრდება ფერმენტ ღნმ-პოლიმერაზას აქტიობა და წარმოქმნება სპეციალური მ-რნი, ანუ დასაბამი მიეცება ცილის სინთეზს. შესაბამისად, სტეროიდული პორმონების ან სხედასხვა თიროიდული პორმონების მიმართ მგრანობიარე რეცეპტორების ეფექტის რეალიზაცია ძალზე ხანგრძლივად, საათების ან დღეების განმავლობაში ხდება. სხედასხვა სტეროიდული პორმონი განსხეაეებულ გენებს ააქტიეებს და, შესაბამისად, ხრულიად განსხვავებული ცილების სინთეზსა და უჯრედის ფიზიოლოგიურ ეფექტებს აღძრავს.

ბირთვული სამი ტიპის რეცეპტორი მემბრანულ ცილებს წარმოადგენს და, შესაბამისად, ისინი უჯრედის პლასმურ მემბრანაში არის ლოკალიზებული. ზოგიერთი მათგანის ლიგანდისადმი მგრანობიარე უბანი მემბრანის გარეაა სედაპირზეა ლოკალიზებული, ხოლო მეოთხე - სტეროიდულ-თიროიდული რეცეპტორები ციტოსოლში ან ბირთვის შიგნით არსებულ ცილებს წარმოადგენს.

შეჯამებული სახით ქიმიურ ნეიროტრანსმიხიაში ჩართული რეცეპტორების ძირითადი მახასიათებლები წარმოადგენილია მე-2 ცხრილში.

იონურ არხებს, რომლებსაც ქიმიურ ნივთიერებათა მიღკუეულების მიმართ მგრანობიარე რეცეპტორული უბანი არ გაანია (ასეთებს წარმოადგენს ელექტრულ მემბრანებში არსებული იონური არხები), მაგრამ მონაწილეობს პორენციალის გაერცვლებაში, თითქმის ისეთივე აგებულება აქვს, როგორც ქიმიური სხეფისის მოსტინაფსურ მემბრანაში ლოკალიზებულ იონურ არხებს. ელექტრული მემბრანის იონური არხების უემქმედი ცილების რეცეპტორული

ამართლის ფუნქციას ტრანსმემბრანული პოტენციალის ცვლილების მიმართ მგრანობიარე ამინომჟავები ახრულებს. ამის გამო, ასეთი თირუნი არხები ჩხოდოვ შენბრანული პოტენციალის ცვლილებაზე რეაგირებს.

ცხრილი 2


ქიმიურ ნეიროტრანსმიხიაში ჩართული რეცეპტორების
ბირთვლი მახახიათუბლები

ტიპი	I ტიპი	II ტიპი	III ტიპი	IV ტიპი
დოკადონაცია	შემბრანა	შემბრანა	შემბრანა	ბირთვი
ეფექტორი	არხი	ფერმენტო	ფერმენტო	გენის ტრანს- კრიფცია ან არხი
დაკავშირება	უშუალოდ	G-ცილა	უშუალოდ	R68
მაგალითები	N-ბმმ, ბამმ-A რეცეპტორები	M-ბმმ და ადრ. რეცეპტორები	ინსუდინის, ნეიროტროფ. რეცეპტორები	სტეროიდ/ თირთოდული რეცეპტორები

ამგვარად, ქიმიური სინაფსის პოსტსინაფსურ შემბრანაში ან ბირთვიში არსებული რეცეპტორი აღჭურვილია „ნეიროტრანსმიტერის“, „ნეირომიოდულატორის“ ან „მორბინის“ მიმართ მგრანობიარე დიფანდური უბნით, ხოდო ნეირონის სოგიერთი სხვა ნაწილის (მაგალითად, აქსონის ბორცვი, აქსონი) შემბრანაში არსებული სოგიერთი რეცეპტორის აქტიური უბანი ტრანსმემბრანული პოტენციალის ცვლილების მიმართ არის მგრანობიარე.

პოსტსინაფსური რეცეპტორების ნაბლოკირებულ ქიმიურ ნეითიერებებს (ანუ წამლებს ან საწამლედებს) „ანტაგონისტებს“, ხოდო მათ გაშაქტივებულ ნეითიერებებს „აგონისტებს“ უწოდებენ. აგონისტების პოტენცია თორ პარამეტრზე დაბოკიდებული: 1. „აფინურობაზე“ (ამ ტერმინით ქიმიკში აღნიშნავენ ენერგიას, რომელიც ერთი ნეითიერების შემადგენელ ატომებს, აიძულებს შეუკავშირდეს სხვა ნეითიერების შემადგენელ მის მსგავს ატომებს); 2. „ეფექტურობაზე“, ანუ „ლიგანდის“ შესადლებლობაზე მისი რეცეპტორთან დაკავშირების შემდეგ აღბრას ის ცვლილებები, რომელიც საბახუხო რეაქციას განახლდრავს. ერთმანეთისაგან განახსეავენ „სრულ აგონისტებს“, რომლებიც მაქსიმალურ ეფექტს აღბრავს და „ნაწილობრივ აგონისტებს“, რომლებიც სუბმაქსიმალური ეფექტებით ხსითიდბა.

ანტაგონისტების ნაბლოკირებულნი გაფულენ რეცეპტორზე გამთხატება ინიში, რომ რეცეპტორის დიფანდურ უბანთან მათი დაკავშირების მიუხედავად, პოსტსინაფსურ ნეირონიში არავითარი ცვლილება არ აღინიშნება, ანუ მისი ეფექტურობა ნულის ტადია. თმ პერსოდში, რთდესაც რეცეპტორის დიფანდური უბანი ანტაგონისტით არის აკვირებულნი, აგონისტის მიდგეკული რეცეპტორის დიფანდურ უბანს ვერ უკავშირდება.



სურათი 11.15. ტრანსმიტერის სიჭარბისა და მისი ნაკლებობისას პოსტსინაფსური რეცეპტორების რაოდენობის ადაპტიური რეგულაციის სქემა. ასეთივე ცვლილება განვითარდება აგონისტებთან და ანტაგონისტებთან ხანგრძლივი უწყობქმედებისას.

სინაფსური გადაცემის ანტაგონისტებით ხანგრძლივად მკურნალობისას აღინიშნება პოსტსინაფსური რეცეპტორების რაოდენობის მატება („up regulation“), ხოლო აგონისტებით ხანგრძლივად მკურნალობისას – პოსტსინაფსური რეცეპტორების რაოდენობის შემცირება („down regulation“) (სურ. 11.15). ნათქვამია, რომ ამ ფენომენებს ზნმ-ის მონაწილეობით მიმდინარე ცილის სინთეზის მექანიზმის მოქმედება განაპირობებს.

„ნეიროტრანსმიტერების“ კლასიფიკაცია და ფუნქციები

პოსტსინაფსურ მემბრანაზე უწყობქმედების ეფექტის მიხედვით, „ნეიროტრანსმიტერებს“ ორ ჯგუფად ყოფენ – „ამაგზნებელად“ და „შემაკავებელად“. ნერვული დაბოლოებიდან გათავისუფლებული ამაგზნებელი „ნეიროტრანსმიტერის“ უწყობქმედებისას, პოსტსინაფსურ მემბრანაზე ხდება მემბრანული პოტენციალის იმპულსური ცვლილება („დეპოლარიზაცია“), რომ პოსტსინაფსური ნეირონი ამაგზნება, ხოლო შემაკავებელი „ნეიროტრანსმიტერის“ გათავისუფლების შემთხვევაში, პოსტსინაფსურ მემბრანაზე ადგილი აქვს ისეთ ცვლილებებს („ჰიპერპოლარიზაცია“), რომ ხდება ამ ნეირონის განმუხტვათა გაიშვითება ან ხრული უწყობქმედება მემბრანის „პოსტპოლარიზაციის“ შემთხვევაში, ამაგზნებელი სინაფსების გააქტივებით მიცემული ნეირონის აგზნება გაძეგლებულია.

ლიტერატურაში აღიარებული შეხედულებებით, სოფიერთი „ნეიროტრანსმიტერი“ პოსტსინაფსურ ნეირონში მხოლოდ ამაგზნებელ ან მხოლოდ შემაკავებელ პასუხებს აღძრავს. მაგალითად, გლუტამატი მხოლოდ ამაგზნებელი სინაფსური ტრანსმისის აღმასრულებელ „ნეიროტრანსმიტერად“, ხოლო გამა-ამინოურბოს მთეა და გლიცინი – მხოლოდ შემაკავებელ „ნეიროტრანსმიტერად“ აღიარებულია.

ტერად“ მოიაზრება. ამასთან, ცნობილია, რომ „ნეიროტრანსმიტერის“ პოსტსინაფსური ეფექტი განისაზღვრება იმით, თუ სამოსნე უჯრედის მემბრანაში განთავსებულ რომელ რეცეპტორს დაუკავშირდება იგი. მაგალითად, ზურგის ტვინის მოტონეირონის ნერვული დაბოლოებიდან ლინჩის (განუხილვადი) კენთოვან პოტაქსებზე მოქმედი აცეტილქოლინი უკავშირდება უშუალოდ ნატრიუმის იონური არხის მაკონტროლებელ, სწრაფად მოქმედ N „თანოტროპულ“ რეცეპტორებს, რასაც, ხაზსდევს, მიუღი რაცი პროცესების განვითარების შემდეგ, კუნთოვანი პოტაქსის შეკუმშვა მოხდება, ხოლო გულის კუნთის პეისმეკერულ წარმონაქმნე (სინოატრიული კვანძი) ცნობილი ნერვის დაბოლოებიდან გათავისუფლებული იგივე აცეტილქოლინი, უკავშირდება რა კალიუმის იონური არხების მაკონტროლებელ M₂-აცეტილქოლინურ „მეტაბოტროპულ“ რეცეპტორებს, კალიუმის იონების გამტარებლობის გაზრდის გამო, მემბრანის „პიერპოლარიზაცია“ ახდენს და, შესაბამისად, აკავებს ამ ორგანოს მოქმედებას.

უკანასკნელ კვლევითა შედეგებით გამოირკვა, რომ სხვადასხვა ნერვულ სინაფსიც, ზოგიერთი, ერთი და იგივე „ნეიროტრანსმიტერ“ შეიძლება იწვევდეს ერთი დაევი პოსტსინაფსური ერთეულების აგზნებას, ხოლო სხვათა – შეკავებას. მაგალითად, თუ მცხ-ში აცეტილქოლინი N-აცეტილქოლინურ რეცეპტორს დაუკავშირდება (მაგალითად, ვეგეტატიურ კვანძში ან მცხ-ის ზოგიერთ უბანში), იგი პოსტსინაფსურ ნეირონიში ამაგზნებულ ეფექტს აღძრავს, ხოლო, თუ იგივე აცეტილქოლინი მცხ-ში M₂, ანუ G-ცელახთან დაკავშირებულ „მეტაბოტროპულ“ რეცეპტორს დაუკავშირდება, შეეხრულებს რა „ნეირომოდულატორის“ ფუნქციას, პოსტსინაფსურ ნეირონზე შემაკავებლად იმოქმედებს. ასევე, გლუტამატი, რომელიც მცხ-ის ნიშართებაში მხოლოდ ამაგზნებულ „ნეიროტრანსმიტერად“ განიხილებოდა, სე ნათხემის ან ჰაიპოკამის ნეირონების mGlu რეცეპტორებს უკავშირდება, პოსტსინაფსური ნეირონის შეკავებას იწვევს.

ამრიგად, ირკვევა, რომ „ნეიროტრანსმიტერის“ მოქმედებაზე პოსტსინაფსური ნეირონის პასუხს (პოსტსინაფსური ნეირონის მემბრანის „დეპოლარიზაცია“ – აგზნება ან „პიერპოლარიზაცია“ – შეკავება) განსაზღვრავს არა „ნეიროტრანსმიტერის“ მოლეკულების ქიმიური, არამედ ის, თუ პოსტსინაფსური ნეირონის რომელი ტიპის რეცეპტორს დაუკავშირდება მოცემული მოლეკულა. აქედან გამომდინარე, „ნეიროტრანსმიტერების“ ამაგზნებლად და შემაკავებლად მკაცრად დაიყოფის შესაძლებლობა საუკეთესო ხდება.

ნეირორეგულატორების განსაზღვრის კრიტერიუმები

იმისათვის, რომ ქიმიური ნივთიერება განისაზღვროს როგორც „ნეიროტრანსმიტერი“ ან „ნეირომოდულატორი“, იგი უნდა პასუხობდეს შემდეგ კრიტერიუმებს: I. მოცემული ქიმიური ნივთიერება უნდა არსებობდეს აქსონის

ტერმინალურ ბუტონში (პრეხინაფსში), ან ნორეპინეფრინერგული ნეირონის შემთხვევაში – ვარიკოზულ შემსხვილებაში; 2. აქსონის ელექტრული ვალიზაციების საპასუხოდ პრესინაფსიდან უნდა თავისუფლდებოდეს პოსტსინაფსურ ნეირონში საპასუხო რეაქციის („დეპოლარიზაცია“ – აგზნება ან „პოსტდეპოლარიზაცია“ – შეკავება) აღმგზავნის საკმარისი რაოდენობის ნეიროტრანსმისორი; 3. პოსტსინაფსურ მემბრანაზე მოქმედ გამოსაკვლევ ქიმიურ ნივთიერებათა ეფექტი, აქსონის ვალიზაციების შედეგად ტერმინალის ბუტონიდან გათავისუფლებული ნივთიერების ეფექტის მსგავსი უნდა იყოს, ან სხვა სიტყვებით – „ნეოტრანსმიტერობის“ ან „ნეორომოდულატორობის“ კანდიდატი და კვლამარტად მოქმედი ნივთიერება პოსტსინაფსური პლასმური მემბრანის კრთხა და იმავე მგრანობელობით აპარატს (რეცეპტორს) უნდა უკავშირდებოდეს; 4. საკვლევო ქიმიური ნივთიერება, რომლის პოსტსინაფსურ მემბრანაზე მოქმედების ეფექტი შეისწავლება, ისევე უნდა ცვლიდეს დონაზე დამოკიდებული მრუდის სიდიდესა და მიმართულებას, როგორც ეს ბუნებრივად აღსრული პოსტსინაფსური პოტენციალის შემთხვევაში ხდება; 5. ნეიროტრანსმისორის ინაქტივაციის მქქანობი ხინაფსის მიდამოში უნდა იყოს დოკალიზებული.


ნივთიერება, რომელიც ამ კრიტერიუმებს პასუხობს, „დადგენილ“ ან „განსაზღვრულ ნეიროტრანსმისორად“ ითვლება. დღეისათვის ასეთ ნივთიერებებზე ითვლება: აცეტილქოლინი, ადენოზინი, ადენოზინტრიფოსფატი, დოფამინი, ნორეპინეფრინი (ნორადრენალინი), გამა-ამინოჰერბოს მჟავა, გლიცინი, გლუტამატი, სეროტონინი, პისტამინი, ადრენოკორტიკოტროპული ჰორმონი, ანგიოტენზინი, ნატრიურეზული პეპტიდი, ბრადიკინინი, ქოლერეცტოკინინი, კორტიკოტროპინ-რილიზინგ ჰორმონი, დინორფინები, ენკეფალინები, გალანინი, გონადოტროპინ-რილიზინგ ჰორმონი, სრდის ჰორმონი, ნეიროპეპტიდი Y, ნეიროტენზინი, ოქსიტოცინი, პროლაქტინი, სომატოსტატინი, სუბსტანცია P, თირეოტროპინ-რილიზინგ ჰორმონი, ეპიორექტიური ნაწლავისმიერი პეპტიდი (VIP), გაზოპრესინი ანუ ანტიდორეზული ჰორმონი.

ნეიროქიმიური გადაცემის საფეხურები

მოლიანობაში, ნეიროქიმიური გადაცემა წარმოადგენს პროცესს, რომელიც ხუთ საფეხურად შეიძლება დაიყოს. პირველ საფეხურს წარმოადგენს ნეიროტრანსმისორის სინთეზი, რაც სპეციალური ფერმენტების მონაწილეობით მიმდინარეობს. სინთეზის შემდეგ, გადაიტანი მოლეკულების საშუალებით, ნეიროტრანსმისორი თავს იყრის მიხთვის განკუთვნილ რეზერვუარში – „ვეზიკულებში“. არაპეპტიდური „ნეოტრანსმიტერებისა“ და „ნეორომოდულატორების“ შემცველი ვეზიკულები, რომლებიც მცირე სიმისაა (50 ნმ დიამეტრის), ნერულ დაბადობებში წარმოიქმნება. ვეზიკულები სომისაც წარმოიქმნება, რასეც მრუთაფების ის ფაქტი, რომ, თუ აქსონების კრთხა

დავით გადავკვიანბავთ, ვეზიკულები ამ ადგილიდან პროქსიმალურად მოივრის თავს აღსანიშნავია, რომ სიმაში წარმოქმნილი ვეზიკულები, რომლებიც შეესებულება ხორკლიან ენდოპლაზმურ რეტკულუმში წარმოქმნილი პეტაქური „ნიროსოფულატორების“ მოდუკულებით, შედარებით დიდი სიმახია. ნიროსინის სიმიდან პრესინაფსურ მიდამოში ასეთი ვეზიკულების გადატანა (მოორე საფეხური) აქსოპლაზმური ტრანსპორტით ხდება, რაც უფრედის ხინხის (ციტოსკელეტონის) შემაღვენელი სტრუქტურების (მიკროტუბულები, მიკროფილამენტები) საშუალებით რეალიზდება. ნერველ დაბოლოებათა აგზნების შემთხვევაში, ვეზიკულებში თავმოყრული „ნიროტრანსმიტერის“ მოდუკულები ევზოციტოსის საშუალებით გათავისუფლდება – ჩადიერება ხინაფსურ ნაპრალში (მესამე საფეხური). ტერმინალური ბუტონის აგზნების არაკეტიდური ნირორეგულატორებით შეესებული სინაფსური ვეზიკულები ხინაფსურ ნაპრალში თავისი შიგთავის მხოლოდ ნაწილს ათავისუფლებს. ამის შემდეგ ისინი ენდოციტოზით (სინაფსურ ნაპრალში არსებული ხითით) ხელახლა შეიხება და ხაჯის მდგომარეობას უბრუნდება (სურ. II.16).

ნერველი დაბოლოება



სურათი II.16. სინაფსური ვეზიკულის ევზოციტოზისა და ენდოციტოზის განსხვავებული საფეხურების სქემატური გამოსახულება. მარცხნიდან მარჯვნივ ნაჩვენებია სინაფსური ვეზიკულის „დაკავშირება“ პრესინაფსურ ტერმინალთან. ტერმინალთან დაკავშირებული ვეზიკულა „შეშინაფსურ“ ტერმინალთან შერწყმისათვის „შეშინაფსურ“ გულისხმობს ვეზიკულის მზადყოფნას უკანუხის Ca^{2+} -ის იონების „ხედავლენას. ნერველი დაბოლოებიდან ნირორეგულატორების გათავისუფლება ხდება სინაფსური ვეზიკულის ევზოციტოზით. ევზოციტოზის პროცესი ჩაირთება ნერველ დაბოლოებაში არსებული პოტენციალმგრძობითარე არხების საშუალებით შესული Ca^{2+} -ის იონების მოქმედებით. ეს არხები იხსნება მოქმედების პოტენციალის განსახლურრედი ტერმინალის დეპოლარიზაციის გავლენით, რაც 1 მსეკის განმავლობაში ხდება. ევზოციტოზის შემდეგ, დაუყოვნებლივ, სინაფსური დაკავშირებული ვეზიკულა შეიხება კლატრინით („კლატრინის ანსამბლი“) და შეიხება სინაფსურ ნაპრალში არსებული ხითით (რომელშიც ვარკვეული რაოდენობით არის წარმოდგენილი ასევე ვეზიკულიდან გათავისუფლებული ნირორეგულატორის მოდუკულები) ანუ იხსნება ენდოციტოზი.

სხვა სიტყვებით, არაპეტიდური „ნეიროტრანსმიტერებით“ შევსებული ენ-
 სიკულები შიგთავსის ენსოციტოზის შემდეგ რეციკლირდება, ხოლო ნეირო-
 პეტიდური „ნეირომოდულატორების“ შემცველი ენსიკულები თავისი შიგ-
 თავსის ენსოციტოზის შედეგ არ რეციკლირდება, ანუ ასეთი ენსიკულები
 გადაიყარება. სინაფსურ ნაპრალში მოხვედრილი ნეირორეგულატორის მო-
 დულეულები დიფუზიით ერცვლდება და მოსტსინაფსური მემბრანის რეციპ-
 ტორებს (მთოთხე საფეხური) უკავშირდება, რაც მოსტსინაფსურ ხეირონში
 ინტრანეირონული პროცესების განითარებას აძლევს დასაბამს. არაპეტ-
 ტიდური წარმოშობის ნეირორეგულატორების აქტივობა, უპირატესად, და-
 სრულდება მათი პრესინაფსურ ბუტონში ან გლარ უჯრედში (მხოლოდ
 გლარამატის შემთხვევაში) უკუმიტაცებით, ხოლო გამონაკლის შემთხვევაში
 (აკტილქოლინი ფერმენტ აცეტილქოლინესტერაზას გავლენით იშლება და
 ქოლინი ამ შემთხვევაშიც უკუმიტაცება ბუტონში) – ფერმენტული კატაბო-
 ლიზით (მეხუთე საფეხური). აღსანიშნავია, რომ პეტიდური წარმოშობის
 ნეირორეგულატორების აქტივობის დასრულება მათი პროტეოლიზით ან
 სინაფსური ნაპრალიდან მათი დიფუზიით ხდება.

ამგვარად, ნეიროქიმიური გადაცემისათვის აუცილებელია როგორც პრესი-
 ნაფსურ, ასევე მოსტსინაფსურ ნეირონებში მოვლი რიგი პროცესების რეა-
 ლიზება, რასაც უფრო დაწვრილებით ქვემოთ განვიხილავთ.

პრესინაფსურ ნეირონში მიმდინარე პროცესები

ქიმიური გზით ინტერნეირონული (ნეირონათამორასი) პროცესების რეალი-
 ზაციის წინაპირობას პრესინაფსურ ნეირონში ნეირორეგულატორის სინთეზი
 და მისი ენსიკულაში გადატანა წარმოადგენს. ამ ფუნქციაში ჩართული
 ფერმენტები უჯრედის სხუელში წარმოიქმნება. ამის შემდეგ, სინაში
 წარმოქმნილი პეტიდური „ნეირომოდულატორით“ შევსებული ენსიკულები
 აქსონური ტრანსპორტით ტერმინალურ ბუტონში გადაიტანება. ასე თუ იმ
 ნეირორეგულატორის სინთეზისათვის საჭირო პრეკურსორები, რომლებიც
 ნეირონის შიგნით – სხვა ორგანოში წარმოიქმნება, ნეირონში დიფუზიით ანუ
 პასიური ტრანსპორტით (თუ პრეკურსორი მემბრანის შემადგენელ ლიპიდებში
 ხსნადია) ან გადამტანი მოდულეულებით (თუ პრეკურსორი მემბრანის
 შემადგენელ ლიპიდებში უხსნადია) შეიტახება. მაგალითად, აცეტილქოლინის
 სინთეზისათვის აუცილებელი ქოლინი ლიმელში წარმოიქმნება, ხოლო უჯ-
 რედშირისი სინთიდან უჯრედში ნეირონის მემბრანაში არსებული გადამტანი
 მოდულეულებით მიიტაცება. თუმცა, ნეირორეგულატორების სინთეზის წარ-
 მმართველი ფერმენტები სინაში წარმოიქმნება, ხაკუთრიც ნეირორეგულატორების
 სინთეზი, შეიძლება, უჯრედის სხვადასხვა ნაწილში ხდებოდეს (მაგალითად,
 აცეტილქოლინის და სხვა არაპეტიდური ნეირორეგულატორების სინთეზი
 ნერველ დაბოლოებაში ხდება).

ნეორორეგულატორების სინოზისა და ვეზიკულუმში მათი გადატანის შედეგად მოცემული ნეირონის აგზნებისას, ნერვული დაბოლოებიდან ეს მოლეკულები სინაფსურ ხაზრალში გათავისუფლდება. პროცესი, რომელიც დაწვრილებით სერ ბერნარდ კატეკმა (სურ. II.17) შეისწავლა, შემდგომად წარმოადგინა: ნეირონის გააქტივების შემთხვევაში, აქსონის საწყის სეგმენტში აღბრული მოქმედების მოტეციალი (დეპოლარიზაციული ტალღა) მიადრეკ: ნერვულ დაბოლოებაზე შედგება იხსნება პრესინაფსური ტერმინალის „აქტიური ზონის“ მეშვენაში არსებული „პოტენციალმანობარე კალციუმის არხები“. ამ არხებით პრეინაფსში შეადრეკ უჯრედშირის სიხეში არსებული კალციუმის იონები, რომლებიც ენერგეტიკული პროცესების ჩაროვის გსით, პრეინაფსურ მადამოში არსებულ ნეორორეგულატორის შემცველ ვეზიკულებს ნერვული დაბოლოების მეშვენაის „აქტიური



სურათი II.17.


სერ ბერნარდ კატეკი (1911-)

„ხიხააკეზ“ გადაადგილებს, სადაც იხიხი შეერწყმება ამ მეშვენაის და ქიმიური ნიეთიერება (ნეორორეგულატორი) ეგზოციტოზით გადმოიდურება სინაფსურ ხაზრალში (სურ. II.18) კალციუმის იონების ასეთ მნიშვნელობაზე ნიეთიერების ეს ფაქტი, რომ თუ უჯრედგარეთა სიხესი ხელსეზურად მიუეკლებთ ამ იონებს, აქსონის გალიზინებისას ნერვული დაბოლოებანი ნეორორეგულატორის აღარ გათავისუფლებს. მოგვიანებით, ნატრიუმ-კალციუმის საქანის მსგავსად, ამ იონებს უჯრედიდან, ეწ. „კალციუმის ტუმბო“ გამოიდენის და ამ გსით, ახალი ემულსის ენერგეტიკული მოქმედებისათვის საჭირო წინახწირობას ადადეკს.

ამგვარად, ნერვული დაბოლოებიდან ნეორორეგულატორების გათავისუფლება „კალციუმისადამოკლებული ვეზიკულუმით“ ხდება.

სინაფსურ ხაზრალში ჩადერილი „ნეორორეგულატორის“ მოლეკულები დიფუზიის გსით მიადრეკს პოსტსინაფსური მეშვენაის ზედაპირამდე და მათდამი სპეციფიკურად მტრანსმობარე რეეპტორებს უეკშირდება. პოსტსინაფსური უჯრედის რეეპტორულ აპარატზე ნეორორეგულატორების შერწყით – სპეციფიკურ ზემოქმედებას განხაზდვრავს ნეორორეგულატორის ფუნქციის მქონე ნიეთიერებისა და რეეპტორის შემადგენელი ქიმიური სუბსტანციების აფინურობა.


პოსტსინაფსურ რეეპტორთან ლიგანდის დაეკშირების შედეგად, სინაფსურ ხაზრალში დასრინილი ნეორორეგულატორის მოლეკულები, ძირთადად, უკუმიოტეცება ტერმინალურ ბუტონში ან ზოგიერთ შემთხვევაში (ვლუტამინური სინაფსი) – გლოურ უჯრედშიც (სურ. II.19), რაც პრეინაფსის „აქტიური ზონის“ მეშვენაისა და გლოური უჯრედის მეშვენაისაში განთავსებული ტრანსპორტის მექანიზმის საშეალებით ხდება.



სურათი II.18. სინაფსური ექსიკულებიდან ნეირორეგულატორის ეგზოციტოზისათვის პოტენციალშერისიზიარე Ca²⁺-ის იონური არხების მნიშვნელობის ამსახველი სქემა. მას შემდეგ რაც მოქმედების პოტენციალი შიდავს პრესინაფსურ დაბოლოებას, ამ უკანასკნელის მემბრანის დეპოლარზაციის გამო, გაიხსნება პოტენციალშერისიზიარე Ca²⁺-ის იონური არხები, კალციუმის იონები უჯრედგარეთა სივრციდან უჯრედში გადინავენ. შედეგად, ნეირორეგულატორის შემცველი სინაფსური ექსიკულები ნერვული დაბოლოების „აქტიური ზონის“ მემბრანის შეერწყება და ნეირორეგულატორი ეგზოციტოზის შედეგად სინაფსურ ნაპრაღში გადმოიღებება.

რადგანაც უჯრედის მემბრანა დიამიდებისაგან შედგება, მასში ადვილად გაივლის ლიპოფილური – ცხიმებსი კარგად ხსნადი მოლეკულები, ხოლო ჰიდროფილური მოლეკულების (მცირე ზომის ორგანული მოლეკულები, ნეირორეგულატორების პრეკურსორები – მაგალითად, ქოლინი, ამინომჟავები, იხსულისი და ზოგიერთი ეგზოგენურად შეყვანილი წამალი) უჯრედის შიგნით შეღწევისათვის, ანუ მათი ნეირონის მემბრანაში ან თირკმლის მილაკებში, ენატიონცეფალურ ბარიერში, აგრეთვე, გასტროენტერალურ ეპითელიუმში გაფიხითვის, საჭიროა სპეციფიკური ცილები, რომლებსაც „გადამტან ცადებს“ ან „გადამტან მოლეკულებს“ („ტრანსპორტერის აპარატი“) უწოდებენ. ახლი ვადამტანი მოლეკულების საშუალებით სინაფსური ნაპრაღიდან პრესინაფსური ნეირონის ტერმინალურ ბუტონში არაპეტიდური „ნეიროტრანსპორტერები“ და „ნეირომილელატორები“ „უკუმიტაცება“, ან სოციერთი პირმონი (მაგალითად, იხსულისი) და, ზოგადად, ნეირორეგულატორების პრეკურსორები უჯრედგარეთა ხითხიდან მემბრანის გაელთ უჯრედში ვადიტანება. პრესინაფსური ბუტონის „აქტიური ზონის“ მემბრანაში არსე-

ბუნდი გადაიტანი ფუნქციის მქონე სწორედ ასეთი მოლეკულების ხაზშუალებით რეალიზდება სინაფსური ნაპრადაიდან არაპექტიდური ნეირორეგულატორების უკუმიტაცება. გადაიტანი ცილები მონაწილეობს, აგრეთვე, ნატრიუმის, კალციუმის იონების უჯრედშიდან გამოდევნასა და ნეიროპლაზმიდან ნეირორეგულატორების ვესიკულაში გადატანაში.



სურათი II.19. ნერვული დაბოლოებისა და ბუნური უჯრედის შერეულ გლუტამატის მოლეკულების მიტაცებისა და მათი ბაიქემიური გარდაქმნის სქესტური გომიხსენება.

უკუმიტაცების შემდეგ ტერმინალურ ბუტონში მოხვედრილი ზოგიერთი „ნეიროტრანსმიტერი“ (მაგალითად, გლუტამატი) პირდაპირ სინაფსურ ვესიკულაში გადაიტანება, ხოლო ზოგიერთი, მაგალითად, ქოლინის მოლეკულები, ვესიკულებში კი არ ბრუნდება, არამედ უჯრედის, კერძოდ კი ტერმინალური ბუტონის ციტოპლაზმაში განთავსდება და მონაწილეობს აცეტილქოლინის სინთეზში. ტერმინალური ბუტონის მემბრანის „დეპოლარიზაციის“ შემთხვევაში ბუტონი მცირე რაოდენობით ათავისუფლებს მოლეკულებს, რომლებიც სინაფსურ ნაპრადაში ხელახალი მოხვედრის შემდეგ, კვლავ უბრუნდება ბუტონის ციტოპლაზმას, ამ მექანიზმით პოსტსინაფსურ რეცეპტორზე ტრანსმიტერულ ხვეთიერებათა ხანმოკლე ექსპოზიცია ხდება. ვარაუდობენ, რომ აცეტილქოლინის მოდულაციური გაყვანა პოსტსინაფსურ სტრუქტურებზე ასეთი გზითაც ხდება.

პოსტსინაფსურ რეცეპტორებზე „ნეიროტრანსმიტერის“ ზემოქმედების შეწყვეტა ფერმენტული კატაბოლიზმით დადგენილია მხოლოდ აცეტილქოლინის მიმართ (ანუ ყველა, სხვა მედიატორის შემთხვევაში რეცეპტორზე ზემოქმედების შეწყვეტა უკუმიტაცების შედეგად ხდება). სინაფსებში, სადაც

„ნეიროტრანსპორტერს“ ან „ნეირომიდელატორს“ აცეტილქოლინი წარმოადგენს, ფუნქციონებს ფერმენტი აცეტილქოლინეზიურაზი, რომელიც მოსტინაფსურ „ბაზინურ“ მემბრანისთან არის დაკავშირებული და სინაფსურ ნაბრალში არსებულ აცეტილქოლინის ქოლინად (ქოლინი უკუმიიტაცება პრესინაფსურ ტერმინალში) და აცეტიტად შლის. საფულისხმოა, რომ აცეტილქოლინ-ესთერაზის ერთი მოლეკულა აცეტილქოლინის 5000 მოლეკულას შლის. რადგანაც ცალ-ცალკე ვერც ქოლინი და ვერც აცეტიტი ვერ ააქტივებს მოსტინაფსურ რეცეპტორს, ასეთ სინაფსში მოსტინაფსური პოტენციალის აღმერის პროცესები სწრაფად მთავრდება. აცეტილქოლინის და ქოლინ-ესთერაზის ურთიერთობათა ნიუანსებს გავეცნობით ქვეთავში: „აცეტილქოლინი“

მოსტინაფსურ ნეირონში მიმდინარე პროცესები


მნიშვნელოვანი ინტრანეირონული (მოსტინაფსურ ნეირონში მიმდინარე) პროცესები აღიწერება „რეტაპოტროპული“ რეცეპტორის დიფანდურ უბანთან „ნეირომიდელატორის“ დაკავშირების შემდეგ. აღსანიშნავია, რომ უშუალოდ იონურ არხთან დაკავშირებული რეცეპტორისაგან „სოროტროპული“ რეცეპტორი განსხვავებით, G-ცილასთან დაკავშირებული რეცეპტორის დიფანდური უბანი უშუალოდ იონური არხის ცილების შემადგენელს კი არ წარმოადგენს, არამედ მათგან განცალკევებული ცილოვანი სტრუქტურაა. რეცეპტორის დიფანდურ უბანთან „ნეირომიდელატორის“ დაკავშირებისას, სპეციფიკურად მგრანობიარე პლასმური მემბრანის ეს რეცეპტორული ცილოვანი კომპლექსი აქტივდება და უკავშირდება მოლეულატორ G-ცილას – „ტრანსდუცერს“. G-ცილა ხართულია რეცეპტორულ და ეფექტორულ ცილებს შორის და წარმოადგენს გუანინ-ნუკლეოტიდდაკავშირებულ პროტეინს.

G-ცილის სტრუქტურა და მისი მოქმედების მექანიზმი

ფუნქციური თვალსაზრისით, G-ცილები წარმოადგენს იმ რგოლს, რომელიც „რეტაპოტროპული“ რეცეპტორულ კომპლექსში უშუალოდ ფერმენტულ სისტემებზე (მაგალითად, მემბრანული ფერმენტი – ადენილატცაკლაზი), ეფექტორულ ცილებზე („ინაზები“) ან იონურ არხებზე სემოქმედებს. სახელწოდება G-ცილა, მათი გუანინ-ნუკლეოტიდებთან ურთიერთმოქმედებამ განსაზღვრა. G-ცილები ხაში სუბერთეულისაგან (α, β და γ) შედგება.

აღსანიშნავია, რომ „დიფანდის“ მოლეკულის სხვადასხვა რეცეპტორთან დაკავშირების შემდეგ უჯრედში ურთიერთსაპირისპირო ეფექტები აღიძვრება. ვარაუდობენ, რომ უჯრედის განსხვავებულ პახუხებს სხვადასხვა სახის G-ცილის (უფრო ზუსტად მისი შემადგენელი α-სუბერთეულის ვარაუდებლობა) არსებობა განაპირობებს. გამოვლენილია ხუთი სახის G-ცილა: G_α, G_β, G_γ, G_δ და G_ε ამასთან, G_ε-ცილა ააქტივებს ადენილატცაკლაზის, G-ცილა კი აკავებს ადენილატცაკლაზის, G_ε-ცილა თრგუნავს პოტენციალმგრანობიარე კალციუმის

არხებს და ააქტივებს კალციუმის არხებს, G_4 -ციფლა ააქტივებს კალციუმის არხებს და აკაფებს ადენილატციკლაზას, ხოლო G_7 -ციფლა ააქტივებს ფოსფოდილაზა C-ს, რეცეპტორთან (მაგალითად, D_1 რეცეპტორთან) აგონისტის დაკავშირებით, G_7 -ციფლის გააქტივების შემთხვევაში იქმნება α -გუანოსინსტრიფოსფატ-კომპლექსი, რომელიც ააქტივებს ადენილატციკლაზას, ხოლო სხვა რეცეპტორთან (მაგალითად, D_2 რეცეპტორი) იგივე აგონისტის დაკავშირებით G_7 -ციფლის გააქტივების შემთხვევაში იქმნება α -გუანოსინსტრიფოსფატ-კომპლექსი, რის გამოც არ ხდება ადენილატციკლაზას გააქტივება (ხურ. II.20).



სურათი II.20. ადენილატციკლაზას გააქტივებელი (G_1) და შემაკავებელი (G_5) G -ციფლების მოქმედების ამსახველი სქემა.


G -ციფლის საზოგადოებრივი

მოცემულ ქუთაუში გავუცნობით იმ პრაცეპტებს, რომლებიც უთარდება G -ციფლის გააქტივების შეჩვეუ.

ნახეჩებია, რომ შესაბამის რეცეპტორთან კატექოლამინების მიდგეკულების (მაგალითად, ნორადრენალინის β -ადრეხორეცეპტორთან დაკავშირების) დაკავშირების შედეგად გააქტივებული G -ციფლა ხაკვანით მემბრანული ფერმენტის - ადენილატციკლაზას მოქმედების რეგულაციას ახდენს. ამავამდ დადგენილია, რომ ადენილატციკლაზას გარდა, G -ციფლა ახდენს ისეთი მემბრანული ფერმენტების რეგულაციას, რეგულირება ფოსფოდილაზა C, ფოსფოდილაზა A, ან უშუალოდ იონურ არხებზე მოქმედებს. მილიანობაში, G -ციფლები ძირითადად აკონტროლებს: I. ადენილატციკლაზა / ციკლური ადენი-

სინთეზის ფოსფატის სისტემას, 2. ფოსფოდიპაზა-C / ინოზიტოლფოსფატურ სისტემას და 3. თინურ არხებს (სურ. II.21). ქვემოთ ცალ-ცალკე განვიხილავთ სამსხვერპსე G-ცილის მოქმედების მექანიზმებს.


აფნილატციკლაზ/ციკლური აფნოზინზინოფოსფატის სისტემა. რეცეპტორთან კონიპოლაზინების დაკავშირებით გააქტივებული G-ცილა მოქმედებს ფერმენტ აფნილატციკლაზზე და იწვევს აფნოზინტრიფოსფატიდან ციკლური აფნოზინსინოფოსფატის წარმოქმნას. ციკლური აფნოზინსინოფოსფატის ინაქტივაციას ასევეს ფერმენტი ფოსფოდიესთერაზა და მისი პოდროლიზის შედეგად წარმოიქმნება 5'-აფფ. ციკლური აფნოზინსინოფოსფატის ეფექტებს წარმოადგენს ჰოგადად უჯრედის მეტაბოლიზმი, უჯრედის დაყოფა და დიფერენციაციონი მინაწილეობა, თინურ ტრანსპორტზე და თინურ არხებზე მოქმედება.



სურათი II.21. G-ცილითა და მეორადი მესხეჯერებით კონტროლირებადი უჯრედშიდა უნიტორული სისტემების მოქმედების ამსახველი სქემა.

G-ცილებით რეალიზებული სინაპსური გადაცემისათვის უმნიშვნელოაჩეს ეფექტს წარმოადგენს „სეპრონათამოსხი“ საპასუხოდ უჯრედის შიგნით წარმოქმნილი დაბადისოდეკელური ნივთიერებებით (მაგალითად, ციკლური აფნოზინ მთიოფოსფატი) „ანოტეკანიკაზეზე“ ზემოქმედება. ამის ვაის დაბადისოდეკელურ ნივთიერებებს ინტრანეირონული გადაცემის რეალიზატორებს ანუ „ანტრანეირონულ მეხეჯერებს“ უწოდებენ. ვინაიდან მათი მოქმედება ხელს უწყობს უჯრედგარეთა მეხეჯერის (სეპრონათამოსხი-

რები) ეფექტის რეალიზაციას, მათ „მეორად შესუნჯერებას“ უწოდებენ. ხაზდასოვლად, „მეორადი შესუნჯერები“ ააქტივებს შესაბამის ეფექტორულ ცილებს – „პროტეინკინაზებს“*, რომლებიც პლასმური მემბრანის იონური არხების ფოსფორილების გზით ცილის მათ იონურ განვლადობას (სურ. II.22). იონური არხების განვლადობის შეცვლა კი მემბრანული პოტენციალის ცვლილებას განაპირობებს. ცილებსადაც ფოსფორის ფტუვის მოცილების ფუნქციას ანუ ცილების დეფოსფორილებას „პროტეინფოსფატაზები“ ასრულებს.



სურათი II.22. „შეტაბოტროპული“ რეცეპტორის მოქმედების ამსახველი სქემა.

ამგვარად, ეფექტორული ცილების ფოსფორილება პროტეინკინაზებისა და პროტეინფოსფატაზების აქტივობის თანაფარდობით განისაზღვრება. „შეტაბოტროპული“ რეცეპტორის გააქტივების თანმდევი უჯრედშიდა ხასივნადლო პროცესების განვითარების კანონზომიერებათა (განსაკუთრებით პროტეინკინაზების მოქმედების კანონზომიერებათა) შესწავლაში ფასდაუფებელი წვლილი შეიტანა ამერიკელმა მეცნიერმა პაულ გრინგარდმა (სურ. II.23), რისთვისაც მას 2000 წელს ნობელის პრემია მიენიჭა.

* „პროტეინკინაზები“ წარმოადგენს ენზიმებს, რომლებიც ცილების ფოსფორილებას ახდენს ანუ ცილებს უკაქტივებს ფოსფორის ფტუვის სიტყვა „კინაზა“ ხომაცის მისიობის აგმსხველ ენზიმებს.

ამრიგად, ზოგიერთი ნეოროგენუალატორი რეცეპტორთან დაკავშირების შემდეგ ადენილატციკლასის გააქტივებას საშუალებით, იწვევს ადენოზინტრიფოსფატიდან ციკლური ადენოზინმონოფოსფატის ფორმირებას. ციკლური ადენოზინმონოფოსფატის კონცენტრაციის ზრდა იწვევს მასზე დამოკიდებული პროტეინკინაზის გააქტივებას; ამ უკანასკნელის გააქტივება კი, თავის მხრივ, ითხების მიმართ პლასმური შემზრანის განვლადობის შეცვლას იწვევს.



სურათი 11.23.

პიულ გრინგარდი (1925-).

ითხური არხების განვლადობის შეცვლის გარდა, ციკლური ადენოზინმონოფოსფატის მიმართ მგრძობიარე პროტეინკინაზას (პროტეინკინაზა A) უჯრედში შრავალი სამიხზე აქვს. მაგალითად, დადგენილია, რომ პროტეინკინაზების გააქტივების შემდეგ, მისი (პროტეინკინაზა A-ს) ერთ-ერთი კომპონენტი, კერძოდ, კატალიზური ორი C კომპონენტი, რომელთა სამიხზე დოკალინგებულია ბირთვში, ურთიერთქმედებს გენის ტრანსკრიფციის გამააქტივებელ ფერმენტებთან და ამ გზით, მონაწილეობს რაცილის ხინოქსში, პოსტინაფხურ ნეოროსში გააქტივების საპასუხოდ აღორუდ პლასტიკურ ცვლილებათა განვითარებაში* არის ხაროუდი.

ფოსფოლიპაზა C/ინოზიტოლ ფოსფატების სისტემა განხილული მეხეჯერული სისტემის გარდა, არხების სხვა „მეორადმეხეჯერული“ სისტემა, კერძოდ, კი ფოსფოლიპაზა C/ინოზიტოლფოსფატების სისტემა, რომელიც C-ცილების სამხხეს წარმოადგენს. ნახევრებია, რომ ზოგიერთი პორმითი გამოწვეული თავისუფალი უჯრედშიდა კადციქმის ითხებს კონცენტრაციის გაზრდა მინარული შემზრანული ფოსფოლიპიდების კლასის - ფოსფატიდილინოსიტოლის დეგრადაციის ანქარების თანხლებით მიმდინარეობს. შემდგომში გამოუდინდა ფოსფატიდილინოსიტოლის ოჯახის წარმომადგენლის - ფოსფატიდილინოსიტოლ(4,5)-დიფოსფატის საკინაზო რალი. ეს ფოსფოლიპიდი წარმოადგენს შემზრანათან დაკავშირებული ფერმენტის - ფოსფოლიპაზა C-ს სამიხხეს. ამ ფერმენტის გოულენით ფოსფატიდილინოსიტოლ(4,5)-დიფოსფატი იშლება დააცილგლიცეროლად და ინოზიტოლ(1,4,5)-ტრიფოსფატი, ფოსფატიდილინოსიტოლ(4,5)დიფოსფატის დაშლის შედეგად მიღებული ორივე პროდუქტი (ანუ დიაცილგლიცეროლი და ინოზიტოლ(1,4,5)-ტრიფოსფატი) „მეორადი მეხეჯერების“ ფუნქციის ასრულებს. რეცეპტორთან სხვადასხვა აგონისტების დაკავშირების გამო ფოსფოლიპაზა C-ს

* ისევე თავი „მეხეჯერების ფუნქციის“.

გააქტიურების პროცესში G-ცილის გახსხვევებული ქვეტბი არის ჩართული და ამ შემთხვევაშიც ადენილატციკლაზის გააქტიურების იდენტური მექანიზმი მოქმედებს ფოსფოლაზისა C შეიძლება გააქტიურებულ იქნას, აგრეთვე უშუალოდ „თარსინ-ტინასერი“ რეცეპტორით, ანუ ამ პროცესში G-ცილის ჩართვის გარეშე. ფოსფოლაზის C-ს ფერმენტული აქტივობის შედეგად წარმოქმნილი დიაცილგლიცეროლი ააქტიურებს პროტეინკინაზა C-ს, ხოლო ინოზიტოლ(1,4,5)-ტრიფოსფატი უჯრედშიდა კალციუმის გათავისუფლებაში მონაწილეობს. ფოსფატდილინოსიტოლ(4,5)-დიფოსფატის დაშლის შემდეგ, ადენოზინტრიფოსფატის მონაწილეობით მიმდინარე კატალიზური რეაქციის შედეგად, იგი პირუხავედ მდგომარეობას აღიდგენს.

ინოზიტოლ ფოსფატები და უჯრედშიდა კალციუმი ინოზიტოლ(1,4,5)-ტრიფოსფატი, გლევი ენდოპლასმური რეტაკულუმის (კალციუმის იონების უჯრედშიდა რეზერვუარი) – მემბრანასე გახთავსებულ რეცეპტორებთან დაკავშირების გზით, უჯრედშიდა რეზერვუარიდან (გლევი ენდოპლასმური რეტაკულუმი) ათავისუფლებს კალციუმის იონებს. დადგენილია, რომ ინოზიტოლ(1,4,5)-ტრიფოსფატი ააქტიურებს გლევი ენდოპლასმური რეტაკულუმის მემბრანაში არსებულ კალციუმის იონების არხებს და ამ მექანიზმით აღიარეს ამ იონების ხაკადს რეზერვუარიდან უჯრედში. ამის გამო, უჯრედში კალციუმის იონების კონცენტრაციამ 10-100-ჯერ შეიძლება მოიმატოს. ანგვარად, ინოზიტოლ(1,4,5)-ტრიფოსფატი წარმოადგენს მთავარ კალციუმგამათავისუფლებელ მესერვერს*.

კალციუმის იონების აქტივობა გამოიხატება მათ უჩარში მოახდინონ სოციეტოი ფერმენტის, კუმშვადი ცილებისა და იონური არხების მოქმედების რეგულაცია. ფერმენტების და კუმშვადი ცილების მოქმედებას კალციუმის იონები თითქმის ექვედა უჯრედში არსებული ციტოსოლური კალციუმდაკავშირებული ცილის – კალმოდულინის შუამავლობით არეგულარებს. ამ მექანიზმიხვან განსხვევებით, კალციუმის იონების ზავდენა იონურ არხებსე პირდაპირი სემოქმედებით უნდა ხვებოდეს.

დიაცილგლიცეროლი და პროტეინკინაზა C. როგორც ზემოთ აღენიშნეთ, დიაცილგლიცეროლი და ინოზიტოლ(1,4,5)-ტრიფოსფატი წარმოქმნება ფოსფატდილინოსიტოლზე ფერმენტ ფოსფოლაზისა C-ს სემოქმედების შედეგად. ინოზიტოლ(1,4,5)-ტრიფოსფატიხვან განსხვევებით, რომელიც კალციუმის იონების მოქმედების რეგულაციის გზით ახდენს თავისი ეფექტების რეალიზაციას, დიაცილგლიცეროლი პირდაპირ სემოქმედებს მემბრანასთან დაკავშირებული პროტეინკინაზების (კერძოდ, პროტეინკინაზა C) აქტივობასე. ამ გზით დიაცილგლიცეროლი აკონტრავლებს სხვადახვა უჯრედშიდა ცილების, ხერინისა და თრეონინის ნარჩენების ფისფორილებას. ინოზიტოლფოს-

* უჯრედშიდა ეხსეულების სისტემა, რომელიც უჯრედის შუთავიდან განიცავლებს და ინახავს კალციუმის იონებს, და ამ გზით, უჯრედში ამ იონების დამიდ კონცენტრაციას უზრუნველყოფს.

ფაქტებისაგან განსხვავებით, დიაციდგლიცეროლი მნიშვნელოვნად ლიპოფილურია და შეუძლია შემზრანაში განთავსება. პროტეინკინაზა C-ს სპეციფიკურ სიბრტყეზე დაკავშირების შემდეგ, უჯრუდის ციტოსოლიდან ეს კომპლექსი გადაინაცვლებს შემზრანაში და იწყებს მოქმედებას. ამჟამად დადგენილია ექვსი სახის პროტეინკინაზა C-ს არსებობა. ეს მოლეკულები აქტივდება სოფიეროტ ნივთიერებაში წარმოქმნილი აეთიხებინი სიმსივნის მასტიმულატორული ფორმებით. სოლიანობაში პროტეინკინაზა C-ს გააქტივების ძირითად გეგმებებს წარმოადგენს ენდოკრინული ფორმებიდან პორმონების გათავისუფლება, ნეირორეგულატორების გათავისუფლების გაზრდა ან შეცოტება და ამ გზით, ნეირონული აგზნებადობის შეცვლა, გლეუვი კუნთების შეკუმშვა და მოდუნება, სიმსივნის ხტიმულატორია, აგონისტების მოქმედებაზე რეცეპტორების სენსიტიურობის შეცოტება და სხვა.


იოსური არხების რეგულაცია რამდენიმე წლის წინ დადასტურებულ იქნა, რომ G-ცილადაკავშირებულ რეცეპტორს ანუ „მეგაბოტროპულ“ რეცეპტორს შეუძლია განახორციელოს იონური არხის კონტროლი, ამ პროცესში მეროადი მესხეჯერების (მაგალითად, ციკლური ადენოზინმონოფოსფატი ან ინოზიტოლფოსფატი) ნართვის გარეშე, ანუ G-ცილის პირდაპირ იონურ არხზე შემოქმედებით. იონურ არხზე G-ცილის პირდაპირი მოქმედების მექანიზმი პირველად გულს კუნთზე იქნა აღწერილი. ამჟამად თელდან, რომ ასეთი მექანიზმი სხვა უჯრედებშიც ყუნძკოობს.

„რეტროგრადული მესხეჯერი“

უკანასკნელ წლებში აღმოჩენილია მოდულაციის ახალი სახე. კერძოდ, უახლესი მონაცემებით კალციუმის იონები კალციუმდამოკიდებული ფერმენტის (NO სინთაზა - NOS - კალციუმ-კალმოდულინდამოკიდებული ფერმენტი, რომელსაც აქტივებს არგინინის გარდაქმნას ციტრულინად და აზოტის ენგად) გააქტივების გზით ხელს უწყობს ენდოსთელურ უჯრედებსა და სოგაურთ ნეირონში აზოტის ენგის (NO) სინთეზს (ხურ. II.24).

ენდოსთელური უჯრედების შემთხვევაში NO მოქმედებს გათავისუფლების სახლოეგში არხებულ სისხლძარღვების გლეუ კუნთებზე და იწყებს სისხლძარღვების გაფართოებას - ეაზოდილატაციას. ნერვულ სინაფსში პოსტსინაფსური უჯრედის შემზრანიდან უჯრედგარეთ გამოსული აზოტის ენგი შეაწვეს რა პრესინაფსურ ტერმინალურ პეტონში, ახდენს სხნადი გუანილატცილაზას გააქტივებას და ამ გზით ზრდის ციკლური გუანილინოსინოფოსფატის კონცენტრაციას და, შესაბამისად, ციკლური გუანილინოსინოფოსფატდამოკიდებული პროტეინკინაზას გააქტივებას. ხაბოლოოდ, აზოტის ენგი ხელს უწყობს სამიზნე ნერვული დაბოლოებიდან მედიატორის გათავისუფლებას, პოსტსინაფსური ნეორონიდან გათავისუფლებული აზოტის ენგი უკუმშოქმედებს როგორც მოქმედ ნეირონზე პრეციტირებული პრესინაფსური ნეირონის ტერმინალებზე, ასევე მე

ზობლად განთავსებულ ნეირონებზე პროცეირებულ ტერმინალებში მისდინარე პროცესებზე და ე.წ. „რეტროგრადული მეხენჯერის“ ფუნქციას ასრულებს. უნდა აღინიშნოს, რომ კალციუმის იონების ჭარბი რაოდენობით უჯრედში შეღწევის შედეგად მოხდის დიდი რაოდენობით წარმოქმნილი აზოტის ჟანგი არღვევს მგმ-ის სტრუქტურას, რის გამოც, იგი დაზიანრეულად მოქმედებს ნეირონზე. აზოტის ჟანგის ამგვარი მოქმედება ხაზუგნობა გლუტამატურ ხინაფსში.




სურათი 11.24. აზოტის ჟანგის (NO) ხინაფ-ზის, უჯრედგარეო სივრცეში დიფუზიის და მისი, როგორც „რეტროგრადული მეხენჯერის“ მოქმედების საბაზნეუბი.

ამრიგად, კალციუმის იონები ენერგეტიკული პროცესების ჩართვის გზით არა მარტო ენსიკლებების შიგრაფიას აღმრავს ტერმინალურ პეტონში, არამედ პოსტსინაფსურ ნეირონში, სპეციალური ფერმენტების გააქტიფების გზით, „რეტროგრადული მეხენჯერის“ ხინაფისა და უჯრედის სტრუქტურის შეცვლისაგან მიმართულ პროცესებს ჩართავს.

ნეირონული ინტეგრაცია

ნეირონის სომახა და დენდრიტებზე არსებული შემაკავებელი და ამავსებელი სინაფსების აქტიუობის თანაფარდობა განსასაღერავს, აუ როგორ უპასუხებს მოცემულ მომენტში პოსტსინაფსური ნეირონი მასზე სემოქმედებას. ამავსებულ და შემაკავებულ გაელუნებზე ნეირონის საბასუხო რეაქციის ფორმირებას „ნეირონულ ინტეგრაციას“ უწოდებენ (სიტყვა – ინტეგრაცია ნიშნავს ცალკეული კომპონაციების დამუშაეებით ერთის – მთელის შექმნას). მაგალითად, თუ დავეუშეებთ, რომ პიპოთეტურ პოსტსინაფსურ ნეირონს მხოლოდ ორი შესაეადლი აქვს, რომელთაგან ერთი ამავსებელია, ხოლო მეორე შემაკავებელი, და გაეაქტიუებთ მხოლოდ ამავსებულ შესაეადლს, კათოდური ოსცილოგრაფის ეკრანზე პოსტსინაფსური ნეირონიდან მემბრანის „დგმობლარიზაციის“ მამეჩეებელი გადახრა აღირცხება, მხოლოდ შემაკავებელი შესაეადლის გააქტიფებისას პოსტსინაფსურ ნეირონში მემბრანული პოტენციალის „ამპერამობლარიზაცია“ აღირცხება, ხოლო თრეე შესაეადლის ერთ-ერთულად გააქტიფებისას, პოსტსინაფსური პოტენციალების აღგებრული სემაციის გამო, ამ ნეირონის მემბრანული პოტენციალი არ შეიცვლება (სურ. 11.25).




სურათი II.25. ნეირონის ინტეგრაციული მოქმედება. ამაგზნებელი გველენა იწვევს შემზანის „დეპოლარიზაციას“ და თანმდევ მოქმედების პოტენციალს. შემაკავებელი გველენა იწვევს შემზანის „მაკავებელი პოტენციალს“. ერთდროული ამაგზნებელი და შემაკავებელი გველენისას შემზანული პოტენციალი ცვლილებას არ განიცდის.

ნათელია, რომ ამ თეორიულ მაგალითში ამაგზნებელი და შემაკავებელი გველენების აბსოლუტური ტოლობა იგულისხმება. რეალობაში, მაგალითად, ზურგის ტვინის წინა რქაში განთავსებულ მოტონეირონებზე შექმნილია 10 000-ზე მეტი ხინაფის. მათგან 8 000 შექმნილია დენდრიტებზე, ხოლო 2 000-ზე მეტი – ხინაფზე. ზოგიერთი მათგანი ქმნის ამაგზნებელ შესავალს, რომელია გააქტყება პოსტსინაფსურ ნეირონში იწვევს დროებით „დეპოლარიზაციას“ („აბსპ“-ს). სხვა შესავლების გააქტყება იწვევს პოსტსინაფსური ნეირონის შემზანის დროებით „მაკავებელი პოტენციალს“ („შპპ“-ს). სიერციითი სუმიაციის ან (და) დროში სუმიაციის შედეგად ამაგზნებელი პოსტსინაფსური პოტენციალის გაზრდა (სურ. II.26) მოქმედების პოტენციალის აღქრისათვის აუცილებელ ზღურბლოვან სიდიდემდე ხდება, ხოლო შემაკავებელი პოსტსინაფსური პოტენციალები ამცირებს ამაგზნებელი პოსტსინაფსური პოტენციალის ამქლიტუდას და მას მოქმედების პოტენციალის აღქრისათვის საჭირო ზღურბლოვან სიდიდემდე მიღწევის საშუალებას არ აძლევს, რის გამოც პოსტსინაფსურ ნეირონში გაგრძელებადი აგზნების წარმოშობა უერხდება.


ერთ პოსტსინაფსურ ნეირონზე ამაგზნებელი და შემაკავებელი პროცესების ამგარი „ინტეგრაციის“ გარეშე ტვინი არასტაბილური თრგანთ იქნებოდა, რადგანაც მხოლოდ ამაგზნებელი პროცესების გველენით ხელ უერო და უერო მეტი ნეირონი აღმოინდებოდა არაკონტროლირებად მდგომარეობაში. სწორედ ასეთი უკონტროლობის მდგომარეობაში იყოფება თაის ტვინი კრუნსხეების – გულწრების განვითარებისას. ნათელია, რომ ასეთ პირაბებში ტვინი მისთვის სუელი, კოსტრინაციული-ინტეგრაციული ყუნქციის რეაღისაციას ვერ შეკლებს.

ამრიგად, სვენ ვავეცანით სხვაფერის აგებულებას და ქიმიურ სინაფსში ინფორმაციის გადაცემის კანონზომიერებებს. პრაქტიკისი ექიმისათვის უადრესად მნიშვნელოვანია იმის ცოდნა, რომ სპეციფიკურ ქიმიურ ნივთიერებათა (წამლების) შემოქმედებით შეხადლებულია როგორც „ინტერნე-რონული“, ისე „ინტრანეირონული“ პროცესების რეგულაცია. სრული ბელ-კობება ან გააქტილება და, შესაბამისად, ფუნქციური სისტემების შემაღლებულ „რეაქციებს“ შორის ურთიერთობის შეცვლის გზით, ქვემოთ შემოქმედება.


I შესავალი



ბ



გ



სურათი II.26. ერთ ნეირონზე ორი ამაყ-ნებელი შესავლის (ა-სე I და II) გააქტილების შემთხვევაში ამაყ-ნებელი პოსტ-სინაფსური პოტენციალების („აბს“) სიერ-ცითი (ბ) და დროში (გ) ზემაციის ამხას-ყული ხემა.

შემდეგ თავში მოტახილი მახალა შეუხება ზოგიერთი კარგად შესწავლილი ნეირორეგულატორის ხინაფსის გზებს, მათ შიძირთ სპეციფიკურად მგრანო-ბიარე რეცეპტორებს, სხვადასხვა ერგული სისტემების თავის ტერში გა-ნაწილებას, ქვეყის ორგანიზაციისათვის ამ ხისტემების მნიშვნელობასა და მათ კავშირს ქვეყის დარღვევებთან.


ცალკეული ნეირორეგულატორები

ცხს-ში განაწილების მხედეთ, აგრეთვე, ბიოქიმიური და ფიზიოლოგიური თვალახარისხთა და მოქმედების მექანიზმთა, ცალკეული ნეირორეგულატორი

ერთმანეთისაგან განსხვავდება. ამიტომ, მათი სინთეზის გზებს, აგრეთვე, თავის ტვინში მათი ფუნქციონის ღრუკალიზაციასთან დაკავშირებულ საკითხებს, თათოუელი მათგანისადმი მგრძობიარე რეკეპტორების შესახებ არსებულ ინფორმაციას, მათ მნიშვნელობას სხვადასხვა ქიმიკატის ორგანიზაციაში თუ ქიმიკატით დარღვევითა განვითარებაში და მათ ზოგიერთ სხვა მახასიათებელს, ცალ-ცალკე განვიხილავთ.

ბოიჯენური ამინები

ბოიჯენურ ამინებს განეკუთვნება: *კატეპოლამინები, ინდოლამინები, ეთილამინები, მეთილქელო ამინები.* კატეპოლამინების ხინაუებს ხეორიები ხეკების მი-



დების გსით ორგანიზმში შეტანილი ამინოშევა *თიროზინი*დან ახდენს, კატეპოლამინების *[დოფამინი, ნორეპინეფრინი (ნორადრენალინი), ეპინეფრინი (ადრენალინი)]* სინთეზის უნიშენელოაჩეეს ეტაას *თიროზინის ჰიდროქსილაზა* წარმოადგენს, რაც ფერმენტ *თიროზინ ჰიდროქსილაზას* საშუალებით ხდება. თიროზინის ჰიდროქსილაზის შედეგად წარმოიქმნება *L-DOPA*. ფერმენტ *დოფამინ დეკარბოქსილაზას* საშუალებით *L-DOPA*-ს დეკარბოქსილაზის შედეგად წარმოიქმნება დოფამინი. ამ უკანასკელის ფერმენტ *დოფამინ β-ჰიდროქსილაზით* ჰიდროქსილაზის შედეგად წარმოიქმნება ნორეპინეფრინი. კატეპოლამინების ბიოქიმიკის საბოლოო ეტაას წარმოადგენს ნორეპინეფრინის მეთილირება, რის შედეგადაც წარმოიქმნება ეპინეფრინი (ხერ, 1127).

ხერითი 1127. კატეპოლამინების ბიოსინთეზა.

ნორეპინეფრინიდან ეპინეფრინის წარმოქმნის პროცესი მიმდინარეობს ფერმენტ *ეპინეფრინილიზაზის N-მეთილტრანსფერაზას* მონაწილეობით. ეპინეფრინი ძირითადად ნაპოენია თირკელზედა ჯირკვალში, ხოლო ტვინში ამ ნივთიერების მახინთესებელი ხეორიების არსებობა, ამჟამად საეკოდ არის მისწეული. შესაბამისად, თავის ტვინის კატეპოლამინურეულ სისტემაში გავრთიანებულ ნეორეგულატორებს წარმოადგენს დოფამინი და ნორეპინეფრინი და არა ეპინეფრინი, როგორც ეს ადრე იყო მისწეული. კატეპოლამინების შესახებ ზოგად უბუქლებათა გაცნობის შემდეგ, დაწვრთლებით განვიხილავთ ტვინის სხვადასხვა

კატექოლამინერგული სისტემების ლოკალიზაციას, მათი სინთეზის გზებს, მეტაბოლიზმის კინოზომიერებებს, მათგანს მგრანობიარე რეცეპტორების ტიპებს, და მათ კავშირს ქვეყის ორგანიზაციასთან.

დოფამინი

როგორც აღეხსენეთ, დოფამინის უშუალო პრეკურსორს წარმოადგენს L-DOPA. ამ უკანასკნელის დეკარბოქსილების (კატალიზდება ფერმენტ დოფამინ დეკარბოქსილაზით) შედეგად წარმოიქმნება დოფამინი. დოფამინერგული ნეირონები მოკლებულია ფერმენტ დოფამინ β-ჰიდროქსილაზას და ამიტომ მათში არ ხდება ნორეპინეფრინის წარმოქმნა. ისევე როგორც სხვა კატექოლამინების, დოფამინის ინაქტივაცია ხორციელდება ორი ფერმენტის – *მონოამინოქსიდაზას (MAO)* და *კატექოლ-O-მეთილტრანსფერას (COMT)* საშუალებით. MAO განთავსებულია მიტოქონდრიის გარეთა მემბრანაზე და იგი უჯრედშიდა – ექსტრაცელულური კატექოლამინების ვანგიით დეამინირებას ასევეს არსებობს MAO-ს ორი ფორმა: MAO-A და MAO-B. დოფამინი მეტაბოლიზდება MAO-ს ორივე ფორმით, ხოლო ნორეპინეფრინი – მხოლოდ MAO-A-ით.

MAO-საგან განსხვავებით, COMT მოქმედებს არა უჯრედში არსებულ კატექოლამინებზე, არამედ უჯრედშირის (ცნს-ში) და ქსოვილოვან (პერიფერიაზე) ხითეში. პლანაში და შარდში არსებული დოფამინის საბოლოო მეტაბოლიტს *ჰომოვანილიის მეთა* წარმოადგენს. წამლები, რომლებიც ააფილებს დოფამინის გათავისუფლებას, ზრდის პომოვანილის მეთაჲს კონცენტრაციას შარდში. ეს უკანასკნელი როგორც MAO-ს, ასევე COMT-ის აქტივობის შედეგად წარმოიქმნება.

დღეისათვის განსაზღვრული, დოფამინის მიმართ სპეციფიკურად მგრანობიარე რეცეპტორების სუბტიპები იყოფა ორ ოჯახად: D₁-ის მსგავსი რეცეპტორების ოჯახი, რომელშიც აერთიანებენ ხაკუთრივ D₁ და D₂ სუბტიპებს (უპირატესად პრეინაფსური რეცეპტორები) და D₂-ის მსგავსი რეცეპტორების ოჯახი, რომელშიც აერთიანებენ ხაკუთრივ D₃, ასევე, D₃ და D₄ სუბტიპებს (როგორც პრეინაფსური, ასევე პოსტინაფსური). ვინაიდან D რეცეპტორები „მეტაბოტროპულია“, მათთან დოფამინის მოდუკულების დაკავშირებასი აქტუდება G_s ან G_i-ცილა, რომელიც, შესაბამისად, გაააქტივებს ან შეაქტივებს ადენილატციკლაზას. თუ დოფამინის მოდუკულა დაუკავშირდა D₁ რეცეპტორის რომელიმე სუბტიპს, ადენილატციკლაზა გააქტივდება, რასაც თან ხდევს „პეორადი მესენჯერის“ ამოქმედება და საბოლოოდ იონური არხის განუღადობის ცედილება. იმ შემთხვევაში, თუ დოფამინის მოდუკულა D₂ რეცეპტორების რომელიმე სუბტიპს დაუკავშირდა, ადენილატციკლაზა შეკავდება. რადგანაც დოფამინი „მეტაბოტროპულ“ რეცეპტორებს უკავშირდება, რომლებიც, „თანოტროპული“ რეცეპტორებისაგან განსხვავებით, იონური არხების განუღადობის არაპირდაპირი გზით ცედიის და ამიტომ, ვერც ააგსნებს

და ვერც შეკავებს სამისზე უფრედს. მას განიხილავენ, როგორც „ნეორომოდულატორს“. გრინგარდმა აჩვენა, რომ დოფამინით გააქტივებული „მუტაბიკრონული“ რეცეპტორი ადენილატციკლასას საშუალებით მოქმედებს ციკლურ ადენოზინმონოფოსფატზე, რომელიც კინაზების სუბსტრატ DARPP-32-ზე მოქმედების გზით სპეციფიკური პროტეინკინაზის რაოდენობას ზრდის. D₂ რეცეპტორის გააქტივების შემთხვევაში, ადენილატციკლასას შეკავების გამო, სამისზე უფრედის აგზნებადობა იცდება.

დოფამინის „მოდულატორი“ ეფექტი რეალიზდება დოფამინერგული აქსო-აქსონური სინაფსებით. ნაჩვენებია, რომ თუ ამჟამად აქსოაქსონურ სინაფსებში მონაწილეობს D₁ რეცეპტორი, აღინიშნება მედიატორის გათავისუფლების გაადვილება, ხოლო, თუ აქსოაქსონურ სინაფსში დოფამინი უკავშირდება D₂ რეცეპტორს – მედიატორის გათავისუფლება სთრუნება. დოფამინის ასეთი მოდულატორი ეფექტი ნაჩვენებია აქსოაქსონურ სინაფსებში, სადაც პოსტ-სინაფსურ ერთეულს წარმოადგენს ნერვული დაბოლოება, რომელიც აცეტილქოლინს, გლუტამატს ან გამა-ამინოერბოს შეკავის ათავისუფლებს.

D რეცეპტორების აგონისტებია: დოფამინი, ბრომკრიპტინი, ამომორფინი და ამფეტამინი. მათ ანტაგონისტებს წარმოადგენს ნეოროლეფსიური საშუალებანი: პალოპერიდოლი, ულუფენასინი, ინფლუპერასინი, თიოთიქსენი, თიორიდაზინი და მეზორიდაზინი. D₁ რეცეპტორების სელექციურ აგონისტს წარმოადგენს SKF 38393, ხოლო ანტაგონისტია SCH 23390. D₂ რეცეპტორების სელექციური აგონისტია ქუინიარინოლი, ხოლო ანტაგონისტებია სულპირიდი და ალკაპრიდი.

დოფამინერგული სისტემების ლოკალიზაცია თავის ტვინში. ქვევს ნერვული შეკანაშების ორგანიზაციის შეცნობისათვის აუცილებულ პირობას წარმოადგენს თავის ტვინში სხვადასხვა ერგული სისტემების ლოკალიზაციისა და მათგან აღმაკვლი ტრაქტების თავის ტვინის სხვადასხვა უბნებში გავრცელების ცოდნა. დღეისათვის აღწერილია რამდენიმე დოფამინერგული სისტემა:

1. **ნეოსტრიალური სისტემა.** ეს ნერვული ტრაქტი სათავეს იღებს შუა ტვინში განთავსებული შავი სუბსტანციიდან (ე.წ. A9 ნეირონები) და პროცედრდება კარსაღურ სტრიატუმში ეს უკანასკნელი წაერთავს კუდიან ბირთვსა და ნენოსს, რომლებიც მონაწილეობს გაანსრებული ბრძანებით წართულ, ავტომატურად შესრულებად, კომპლექსურ მოძრაობათა (მოვალთოდ, ავტო-მანქანის ტარება) დაწავლვაში. ამ სისტემის დაზიანება არღვევს ან თრგუნავს მოძრაობით ფუნქციებს, რაც *პარკინსონის დაავადების*ს აღინიშნება.

2. **მეზოლიმბური სისტემა** ამ სისტემის შემადგენელი დოფამინერგული ხეობების სხუელები განთავსებულია ე.წ. ვენტრალურ ტეგენტურ მუდაში (A10 და A9 ნეირონების ჯგუფის ნაწილი). ამ ნეირონების აქიონები პროჯერდება ვენტრალური სტრიატუმის სტრუქტურებზე: კამქვარეაღუ მუდაის ე.წ. მოძებარე ბირთვზე, სენოსაჟ მუდაქვზე ვარქვარეაღუ ბირთვზე, ვენტრალურ ამიგდალიასა და *area terminalis*-ის ბირთვზე. ვენტრალური სტრიატუმი წართულია დაწავლვაში და

მოტივაციური გამღიზიანებლების საპასუხოდ აღძრული ქცევის რეალიზაციაში.

3. *მეზოკორტიკალური სისტემა*. ამ სისტემის დოფამინერგული ნეირონების სხეულები განთავსებულია *ვენტრალურ ტეგმენტურ ლამბოზში* (A9 და A10 უჯრედების ჯგუფი). მოცემული ნეირონების აქსონები პროეცირდება ახალი ქერქის იმ უბნებზე, რომლებიც ჩართულია ყურადღებისა და ხანმოკლე მეხსიერების პროცესებში.

გარდა აღწერილისა, თავის ტვინში არსებობს სხვა დოფამინერგული სისტემებიც. მაგალითად, *ტუბეროსიპოფიზური სისტემა*, *მეგრძო ტვინის პერივენტრიკულური სისტემა* და *ინტერტროპოთალამური სისტემა*. დოფამინერგული ნეირონები დოკალიზებულია, აგრეთვე, *რეტინისა* და *საენსიზი ბოლქვების პერიგლომერულ უჯრედებში*. ეს უჯრედები მოკლებულია აქსონებს და კონტაქტებს დენდროდენდრიტული სინაფსების საშუალებით ამყარებს.

ტვინის უბნებს შორის, რომლებზეც პროეცირდება დოფამინერგული ნერვული დაბოლიებები, საკვანძოს წარმოადგენს *გაქვირთვადი ძვლის მიმდებარე ბირთვი* (შემდგომში მიმდებარე ბირთვი). ეს ბირთვი იყოფა ორ უბნად: „*ნაგარა*“ (*shell*) და „*გული*“ (*core*). ნაგარა წარმოადგენს ე.წ. *აგაართოებულ ამიგდალას* კომპლექსის შემადგენელს. ეს კომპლექსი ჩართულია ემოციათა შესატყვის მობრაობაში, ვისცერალური და ენდოკრინული პასუხების ინტეგრაციაში. მიმდებარე ბირთვის მეორე შემადგენელი – „*გული*“ განეკუთვნება ტვინის უბნების იმ ჯგუფს, რომელსაც „*სტრო-პალადურ სისტემა*“ უწოდებენ და რომელიც მნიშვნელოვან როლს ასრულებს მოტორული პასუხების ინტეგრაციაში. მიმდებარე ბირთვი ურთიერთქმედებს ტვინის სამ მნიშვნელოვან სისტემასთან. სეპტალიპოკამპური სისტემიდან (ეს სისტემა უმნიშვნელოვანესა და სწავლისა და მეხსიერების პროცესებისათვის) იგი მოტივაციურად მნიშვნელოვან ინფორმაციას მიმდებლობს. ამ ინფორმაციას მიმდებარე ბირთვი გაყარაობებული ამიგდალას სხვა ნაწილებისა და „*სტრო-პალადური სისტემისაკენ*“ ატარებს, რათა აღიძრას ნებთი მოძრაობანი, ვისცერალური მოტორული პასუხები და ენდოკრინული რეაქციები.

დოფამინერგული სისტემების მნიშვნელობა ქცევის ორგანიზაციისათვის. დოფამინი მნიშვნელოვან როლს ასრულებს მოტივაციური პროცესების განვითარებასა და ქცევის განმტკიცებაში. დოფამინის საკვანძო როლი ქცევის მექანიზმების ორგანიზაციაში განისაზღვრება სამი ფაქტორით: 1. გამღიზიანებლის ტიპი, რომელიც ააქტივებს დოფამინერგულ ნეირონებს; 2. ტვინის სპეციფიკური უბნები, რომლებზეც მოქმედებს დოფამინი; 3. სამიზნე ნეირონებზე დოფამინის მოდულაციური გავლენა.

დოფამინერგული ნეირონები აქტივდება ისეთი გამღიზიანებლებით ზემოქმედებისას, რომლებიც აღამაინისა და ცხოველთა მიერ ქცევის რეალიზაციას ან უკვე შესრულებული ქცევის ხშირად გამეორებას უსრულებელიყის. ასეთი გამღიზიანებლებით აღძრული აფერენტული მიქლსაცია პროეცირდება A8, A9

და A10 დოფამინერგულ ნეირონებსე, აქედან იმპულსაცია გადაეცემა ტვინის უბნებს, სადაც დოკადიზებულია მოტივაციური ქცევების განმსახდრელი შექანსმები. ამგვარად, მოტივაციის აღმქრელი გამლიზიანებლები დოფამინერგული ნეირონების გაქქელების გნით, სხვადასხვა სახის მოტივაციური ქცევის შექანსმების ორგანიზაციაში ჩართულ ნეირონებსე ზემოქმედებს.

დოფამინის მრავალფეროვანი როლი ირქვევა იმ ფაქტიდან, რომ სხვადასხვა სისტემებში ჩართული დოფამინერგული ნეირონები განსხვავებული სახის მოტივაციურ გამლიზიანებლებზე პახუხობს. არსებობს ქცევის ორი ფასის აღმქრელი გამლიზიანებელი: აქტიტური და კონსუმატორული. აქტიტური ფასის აღმქრელი გამლიზიანებლები ნიიზიდავს ინდივიდს ისეთ ბიოლოგიურად მნიშვნელოვან გამლიზიანებლებთან (ჯილდო, მავალითად, საკვები), რომელთა დაუფლება რეალურად, კონსუმატორული ფასის აღმქრელი გამლიზიანებლები უსრუნველყოყს ინდივიდის ჯილდოსთან კონტაქტს იმგვარად, რომ ინდივიდს შეუძლია მისი ბიოლოგიური თვისებების გამოყენება (მაგალითად, საკვების კალორიულობა). ზოგიერთი დოფამინერგული ნეირონი (მაგალითად, შესოკორტიკალური სისტემის ნეირონები) აქტიუდება როგორც აქტიტურ (მაგალითად, საკვების არომატი ან თუყუის დანახვა, რომლითაც მიერთმეყთ საკვებს), ახეყ კონსუმატორულ ფაზაში (მაგალითად, ძალზე ვყმრეელი საკვების გემო). სხვა დოფამინერგული ნეირონები (შესოლიმბურ სისტემებში ჩართული ნეირონები) მხოლოდ კონსუმატორულ ფაზაში აქტიუდება.

ნიგროსტრიალური სისტემის დაზიანებისას აღნიშნება *პარკინსონის დაავადება*. ეს დარქვევა ხახითადება აკინეზიის (მიძრაობათა დაყოვნებული დაწყება ან მოძრაობათა სრული შეზღუდვა) კლინიკური სურათით, ტრემორით (კანკალი), რიგიდულობით (გამშლელი კუნთის ტონუსის გაზრდა) და პოსტურალური რეყდაყქების (ხეყდლის მდგომარეობის განმსახდრელი ტონური რეყდლები) დათრგუნით.


აღნიშნული საკითხის განხილვისას გათვალისწინებული უნდა იქნას, რომ ნებითა მოძრაობათა კონტროლი, ნორმაში, დორხაღურა სტრიატუმის სტრუქტურებში დოფამინერგულ და ქოლინერგულ სისტემებს შორის პალანსით განისახდრება. მოძრაობათა ორგანიზაციითის დოფამინერგული სისტემების მნიშვნელობაზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ ნეიროდუფსურა ხაშუადებანი, რომლებიც პოსტსინაფსური დოფამინური რეცეპტორების ბლოკირებას ახდენს, პარკინსონის დაავადებისათყის დამახასიათებელ სიმპტომებს აღორაყს. ვარდა ამისა, რქურმინი, რომელიც პრესინაფსში დოფამინის მარაგის განდევას იწყებს, ასევე ამ პათოლოგიის განვითარებას უწყობს ხელს.

ვარაუდობენ, რომ შესოფრენიის სიმპტომები განპირობებულია შესოლიმბური და შესოკორტიკალური ტრექტუმის პიპრდოფამინური მდგომარეობით. ეს შეხედულება ცნობილია შესოფრენიის *„დოფამინური პიპოიხის“* სახელით და დაწვრილებით არის განხილული თავში *„ყხიქოყარმაკალითა და ქცევის*

თვალზე მისმართული მცირე ინტენსივობის პაერის ჭავლი თვალის დახუჭვის თავდაცვით რეაქციას იწვევს და, ამგვარად, იგი „უპირობო ვაშლიზიანებლის“ როლს ასრულებს. ნერეული წრის გამარტივების მიზნით, დავეუშვათ, რომ 1. პატენციური პირობითი გამლიზიანებლის როლს ბგერითი სტიმული ასრულებს, მაგალითად, ტონი - 1000 პერცი, ან ტონი - 500 პერცი; 2. სმენითი ხისტემა ორი ნეირონით არის წარმოდგენილი, რომელთაგანაც თითოეული სხედასხევა ხიხშირის ტონის წარდგენის საპასუხოდ აქტივდება; 3. სომატისენსორული ხისტემა მხოლოდ ერთი ნეირონით არის წარმოდგენილი, რომელიც თვალზე პაერის ჭავლით სემოქმედებისას ამოქმედდება; 4. მოტორული ხისტემა სამ ნეირონს შეიცავს, რომელთაგანაც ერთი - თვალის დახუჭვის, მეორე - ყურების მოპრაობისა და მესამე - ცხვირის ნესტოების მოპრაობათა კონტროლს ახდენს. სინამდვილეში, როგორც ხენსორული, ასევე მოტორული ხისტემები, ნეირონების ძალზე დიდ რაოდენობას შეიცავს.

* „ქცევის გამამტკიცებლის“ ხისტემა დაწერილებით არის განხილული XII თავში.



სურათი X5. „კლასიკური განპირობების“ გამართლებული ნერვული მოდელი.

განვიხილოთ როგორ ფუნქციონებს ეს მოდელი. 1000 პერცის ხახშირის ტონის წარდგენისას ცხოველი თვალის დახუჭვის საპასუხო რეაქციას არ განახორციელებს. რეაქცია არ აღიმურება იმიტომ, რომ სინაფსური კავშირი, რომელთაც ამ ხახშირის ტონისადმი მგრძმობიარე ნეირონი, თვალის ქუთუთოს მაინერვებულ მოტონეირონს უკავშირდება, „სუსტია“*. მაგრამ, თუ პაერის ჭავლით თვალზე ვიმოქმედებთ, ცხოველი თვალს დახუჭავს. ეს ხდება იმიტომ, რომ ევოლუციის პროცესში თვალზე შემოქმედების შემგრძნებ ხენსორულ ნეირონებსა და იმ მოტონეირონებს შორის, რომლებიც თვალების დახუჭვას გახანპირობებს, „ძლიერი“** სინაფსები ყალიბდება. ეს სინაფსები იმიტომ არის „ძლიერი“, რომ თვალზე შემოქმედებისას, ყველა შემთხვევაში აქტივდება და თვალების დახუჭვას იწვევს. „კლასიკური განპირობებისათვის“, ჯერ წარდგენილი უნდა იქნას ტონი და შემდეგ, ტონის მოქმედების პერიოდში – პაერის ჭავლი. მას შემდეგ, რაც რამდენჯერმე გავიმეორებთ ამ წველით

* პრესინაფსიდან არ თავისუფლდება პოსტსინაფსურ ნეირონში მოქმედების პოტენციალის აღსაყრისათვის საკმარისი რაოდენობის ტრანსმიტერი.

** პრესინაფსიდან თავისუფლდება პოსტსინაფსურ ნეირონში მოქმედების პოტენციალის აღსაყრისათვის საკმარისი რაოდენობის ტრანსმიტერი.

ზემოქმედებას, მხოლოდ ტონის საპასუხოდაც („პირობათი ხივანდაი“) აღი-
ყრება სიყალბის დიხეჭვის („განპირობებული რეაქცია“) რეაქცია, რაც „სუს-
ტი“ ხინაყების „ძლიერ“ ხინაყებად გარდაქმნის შედეგად ხდება.

„პროცედურული“ მეხსიერების ნეირობიოლოგიური მექანიზმები


„სუსტი“ ხინაყის „ძლიერ“ ხინაყად გარდაქმნას, ხინაყში მიმდინარე
„პლასტიკური ცვლილებები“ უდევს საფუძვლად.

„პლასტიკურ ცვლილებათა“ შესახებ პირველი პიპოთეზა ცნობილმა ნეი-
რობიოლოგმა ხანტიაგო რამონ-ოკახალმა წამოაყალიბა. თანამედროვე ლიტე-
რატურაში, ამ შეხედულებას, „ხინაყური პლასტიკურობის“ პიპოთეზას უწო-
დებენ. რამონ-ოკახალის მიხედვით, ხინაყური კავშირის „პლასტიკურ“ (ანუ ხი-
ნაყური გადაცემის ეფექტურობა), რაც მოცემულ უჯრედში წარმოქმნილი
მოქმედების პოტენციალით მისი ხამზნე უჯრედის აზნების (ან შეკავების)
შეხიდუბდლობას განაპირობებს, არ არის ფიქსირებული, პლასტიკურია და
მოდულიკაციას ექვემდებარება. ამასთან, ხინაყის „პლასტიკის“ მოდულიკაცია
ნეირონული აქტივობის გაყდენით ხდება. რამონ-ოკახალის მიხედვით, „და-
ხწავლის“ და, შეხადამისად, მეხსიერების საფუძვლად, ახალს, მდგრადი ხინაყ-
ური პროცესების განვითარება და მასთან დაკავშირებული ანატომური
ცვლილებები განაპირობებს.

„ხინაყური პლასტიკურობის“ მოდულიკურ მექანიზმებს „დახწავლის“
მარტივი ფორმების – „ხენხიტიზაცია“ და „პაბიტუაცია“ – მაგალითებზე განი-
ხიდავთ. მოდულიკურ დონეზე, ეს საკითხი, მარტივი ნერული სისტემის მქო-
ნე მოდულსებზე – კერძოდ, ავლიზიაზე (სდვის კერძილი) არის შესწავლილი.

თუ ავლიზიის სიფონს, ან მანტიას შეეხებთან (ხურ. X.6ა), მისი გარეგანი
ორგანოები (დაყენები და სიფონი) მანტიის ღრუში ხინაყდება (ხურ. X.6ბ).
გამლიზიანებელზე ახეთი საპასუხო რეაქცია თავდაცვითი ქვეყის გამო-
ხატულებას წარმოადგენს. როდესაც სუსტი გამლიზიანებლით სიფონი გან-
მეორებით დისიანდება, საპასუხო რეფლექსური რეაქციის ინტენსივობა თან-
დათანობით იყდებს (ხურ. X.6გ). რეფლექსური პასუხის შესუსტება „პაბიტუ-
აციის“ ფენომენის ვახეთარების შედეგად ხდება. „პაბიტუაციის“ ფენომენი,
პრეხინაყიდან გათავისუფლებული ხეორტრანსმიტერის რაოდენობის თან-
დათანობით შერცირებას გულისხმობს. „პაბიტუაციის“ ფენომენის განვითარ-
ების შქმდეგ, სხვა ორგანო, მაგალითად, ავლიზიის კუდი რომ ვაყდის-
თანოთ, სიფონის ვადისიანებაზე მადალი ინტენსივობის საპასუხო თავდაც-
ვით რეაქცია აღდგება („ხენხიტიზაცია“). ამრიგად, ავლიზიის კუდის ველიქ-
ტრული ვადისიანება (მტკივნეული გამლიზიანებელი), ორგანიზმის სხვა უბნის
სუსტი ვადისიანებით მიდებული საპასუხო რეაქციის ვადიურებას იწვევს. ამ
მოდულნას საფუძვლად „ხენხიტიზაციის“ ფენომენი უდევს. ვრიც კინადელის
(ხურ. X.7) მონაცემებით, „ხენხიტიზაციის“ შედეგად – გათავისუფლებული

ნეოარტრანსმიტერის რადიციზმის ზრდა, ხოლო „ამბიჯეკიის“ პროცესის შედეგად, ხეწისორკული ნეოონების ტერმინალურ ბუტონებში ტრანსმიტერული სემპტაციკოს გათავისუფლების დაბრკელება ხდება. რადგან ეს პროცესი მხოლოდ ხეწისორკული ნეოონების პრეხინაფებურ უბანში ვითარდება, იგი „მონოხინაფებურ“ ყენომებს წარმოადგენს.



სურათი X.6. აკლიზის ღაქენის თავდაცვითი რეაქციის „ამბიჯეკია“ და „მონოხინაფეკია“ (გ) ისრით მიხიშვებულია კულხე ელ. შოკის შედეგების მომენტო.




სურათი X.7.
ერაკ კინგელი (1929).

გამითრევა, რომ „ხეწისორკიის“ ყენომების განვითარებას სეროტონინერგული, ე.წ. „მდეუდლოერი“, შეამდებარე ნეოონები განსახლებრავს, აღსანიშნავია, რომ აკლიზის კულში განთავსებულ ხეწისორკულ დაბოლოებთა აქსონები მრედაპირ პროცეცირდება რეგორც ღაქენის მასხერეებულ ნეოონებზე, ასევე სეროტონინერგულ შეამდებარე ნეოონებზე, ამ უკანახეულთა აქსონები ვა, თავის მხრივ, აქსოაქსონურ ხინაფებს რეგორც იგივე მოტონეორინსე განთავსებულ, ასევე სხვა ხეწისორკული ნეოონის აქსონების სერვულ დაბოლოებებთან ქნის (სურ. X.8).

კულის მტკიცეული ვადიხაინების ხამსეხოდ განვითარებული „მონოხინაფეკია“, სწორედ


ამ „მოდელებთან“ – სეროტონინერგული შეამდებარე ნეირონთა „მკქნივლი აქსონალური სინაფსის პოსტსინაფსურ ნაწილში ხდება, რომელიც, თავის მხრივ, მოტონეირონსე პროექტირებული სენსორული ნეირონის აქსონის დაბოლოებას, ანუ მოტონეირონის მიმართებაში, პრეხინაფსურ უბანს წარმოადგენს. სხვა სიტუაციაში, სეროტონინერგული ნეირონის გააქტივება სენსორული ნეირონების პრეხინაფსურ გააფილტვებას იწვევს, რას შედეგადაც, ამ ნეირონის აქსონის დაბოლოებიდან მეტი რაოდენობით ნეიროტრანსმიტერის – გლუტამატის – გათავისუფლება ხდება. ადლისიის კუდიდან აღორულ სენსორულ უბანში წართული სეროტონინერგული შეამდებარე ნეირონის მოდულატორული გააფილტვით, ხეფონის მგრძობობაზე ნეირონის დაბოლოებიდან ნეიროტრანსმიტერის გათავისუფლების გააფილტვებას გაში, მოტონეირონის პასუხი ისრდება. შეხაბაშისად, „კლასიკური განხრობება“, რაც „პროექტურული“ მეხიერების საფუძველზე ხდება, პრეხინაფსურ, და ამავე დროს, „სეროტონინერგულ“ ფენომენს წარმოადგენს.



სურათი X.8. ადლისიის დაქუჩის რეაქციის „სენსიტივაიზაცია“ პასუხისმგებელი ნერვული წრის სქემატური გამოსახულება.

კუდიელში და მხის კოლეგებში ასევე, რამ ადლისიის სენსორული ნეირონის ტერმინალური ბუტონებიდან გათავისუფლებული ნეიროტრანსმიტერის რაოდენობის მატება, ტერმინალურ ბუტონებში შედგენილი კალციუმის იონ-


ბის რაოდენობის ზრდით არის გამოწვეული. ცნობილია, რომ ტერმინალური ტერმინიდან ნეოსორგულატორის გათავისუფლებას კალციუმის იონები განსაზღვრავს, მოდულატორულ აქსოპლასმურ სინაფსებში მოქმედი სეროტონინის მოდულატორების რეცეპტორებთან დაკავშირების შემდეგ, ადენილატციკლასის გააქტივება ხდება. ამ უკანასკნელის გააქტივება ციკლურად ადენოსინმოსეფოსფატის (ცამფ) რაოდენობის მატებას, პროტეინკინაზას გააქტივებას და შესაბამისად, კალიუმის იონური არხების დახურვას იწვევს (სურ. X.9). კალიუმის იონური არხების დახურვის გამო, ნეოსორტრანსმიტერების გათავისუფლება აღვივდება. იგი რატომ იწვევს კალიუმის იონური არხების დახურვას ნეოსორტრანსმიტერის გათავისუფლების გადავიღებას, ქვემოთ განვიხილავთ.



სურათი X.9. სეროტონინის „მოდულატორული“ გავლენით სენსორულ ნერვულ დაბოლოებაში K⁺-ის იონური არხების დახურვის და პროტენციოდეპრესიონიარე Ca²⁺-ის არხების გახსნის სქემატური გამოსახულება.

როგორც ცნობილია, მოქმედების პოტენციოდის ხწრაფ დამთავრებას (რემილარისაცა - მოხვჩების პოტენციოდის აღდგენა) კალიუმის იონების

უჯრედებიდან გამოხველა განაპირობებს, კალციუმის იონების უჯრედებიდან გამოხველა მხოლოდ კალციუმის არხების გახსნისას ხდება, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ. სეროტონინის მოლეკულების გავლენით, კალციუმის იონური არხები იხურება და ამიტომ, დადებითად დამუხტული კალციუმის იონები შედარებით ნაკლები რაოდენობით გამოდის უჯრედებიდან. ამის გამო, სენსორული ნეირონის აქსონის დაბოლოებაში აღმრული მოქმედების პოტენციალის ხანგრძლივობა იზრდება (ხურ. X.10). მეხსოვრული ნეირონის აქსონის დაბოლოებაში დეპოლარიზაციული ტალღის გახანგრძლივების გამო, უფრო მეტი პოტენციალმგზნობიარე კალციუმის იონური არხი იხსნება. შედეგად, კალციუმის იონები ჭარბი რაოდენობით შეადწევენ სენსორული ნეირონის ტერმინალურ ბუტონში. კალციუმის იონების კონცენტრაციის მატება კი, ნეიროტრანსმიტერის გათავისუფლების გაადვილებას იწვევს.




ხურათი X.10. K⁺-ის იონური არხების დახურვის შედეგად მოქმედების პოტენციალის გახანგრძლივება.

გამოირკვა, რომ აღწერილი მექანიზმით ხდება ე.წ. „ხანმოკლე სენსიტისაზიის“ რეალიზაცია, რაც ახალი ცილის სინთეზის გარეშე მიზნინარობს და მცირე ხნის განმავლობაში გრძელდება. ახეთი დასკენის მართებულობაზე მიუთითებს სეროტონინთან ერთად ცილის სინთეზის შემცავებელ ნივთიერებათა (ცოკლოპექსიმინი, ან ანიზომინი) გამოყენებით ხატარებული ცილების შედგები. კერძოდ, აღმოჩნდა, რომ ცილის სინთეზის შემცავებელი ნივთიერებები სეროტონინის ერთჯერადი დაწვევებით გამოწვეულ ხანმოკლე „სენსიტისაზიის“ გავლენას არ ახდენს. შესაბამისად, „ხანმოკლე სენსიტისაზიის“ მექანიზმი „კლასიკური განპირობების“ საწყის ეტაპზე ფუნქციონებს.

„სენსიტისაზიის“ ფუნქციონირების მექანიზმი, ფაქტურად, კლასიკური განპირობების საფუძველს წარმოადგენს. აღნიშნულ შემთხვევაში, სუსტი გალი-

ზიანება, რომელზედაც პსქოსის „სპირტუალა“ განვითარდა. შეიძლება განხილულ იქნას როგორც „ნეურტრალური“ გამღიზიანებლის საპასუხოდ „ხუტ“ ხინაფისი განვითარებული პროცესი, ხოლო კედის მტკიცეული ვადიზიანების საპასუხოდ აღბრული „ხენსტიზაციის“ პროცესი - როგორც პირდაპირი და უპირაბო გამღიზიანებლის თანადროული მოქმედების საპასუხოდ განვითარებული - ხინაფისის „გაბლიერების“ რეაქცია.



სურათი X.II. პოსტსინაფსურ ნეირონში კალციუმის იონების კონცენტრაციის ზრდის შედეგად აზოტის ნახვის (NO) სინთეზისა და პრეხინაფსურ ნერვულ დაბოლადებაზე მისი მოქმედების სქემატური გამოხახულება.

ამრიგად, ჩვენ გავეცანით „ხუტ“ („პოტენციური“) ხინაფისის „კლიერ“ („მომქმედ“) ხინაფსად გარდაქმნის მექანიზმს. რადგან ეს პროცესები ხენ-

ხორული ნეირონის აქსონის პრესინაფსურ ნაწილში ვითარდება, ირკვევა, რომ „პროცეკურული“ მეხნიერება, ძირითადად, პრესინაფსურ ფენომენს წარმო-



ხუბრაი X.12.
დონადე კუბი (1904-1985).

აღგენს. თუმცა, „რეტროგრადული მესენჯერების“ (მაგალითად, აზოტის ვანილი - NO) აღმოჩენის შემდეგ, გამოირკვა, რომ გლუტამატის მიმართ მგრძობიარე, პოსტსინაფსური NMDA იონური არხების საშუალებით შესული კალციუმის იონები, პოსტსინაფსური ნეირონიდან აზოტის ვანილის გათავისუფლების პროცესს აქტივებს (ხურ. X.11). ეს უკანასკნელი კი, ამ ნეირონზე განთავსებული ნერული შესავლების პრესინაფსურ დაბოლოებებზე უკუემოქმედებს და მათგან ნეიროტრეგულატორის გათავისუფლებას აადვილებს. აღსანიშნავია, რომ „რეტროგრადული მესენჯერების“ აღმოჩენით დადასტურდა დონადე კუბის (ხურ. X.12) მიერ, ჯერ კიდევ 1949 წელს ჩამოყალიბებული ჰიპოთეზა, რომ პოსტსინაფსური


ნეირონის აგზნების შედეგად, ამავე ნეირონის დენდრიტებსა და უჯრედის სხეულზე განთავსებული ყველა სინაფსის მოქმედების გაადვილება ხდება.

როგორც ცნობილია, „კლასიკური განპირობების“ საწყის ეტაპზე „პირობითი რეაქციას“, პოტენციური პირობითი გამღიზიანებლის მსგავსად, ხეია გარემო გამოღიზიანებლებიც აღძრავს. „რეჟელესი ნერული მოქმედების“ შესახებ მოძღვრების ტერმინებით, ამ მოვლენას, „რეჟელესის გენერალიზაციას“ უწოდებენ. „რეჟელესის გენერალიზაციას“ ფაქტს შემდეგნაირად ხსნიან: შუამდებარე ხეროტონინერული ნეირონები აქსოაქსონურ სინაფსებს ქმნის ყველა სენსორული ნეირონის ტერმინალურ ბუტონთან და, შესაბამისად, სეროტონინის გაღვებით, სენსორული ნეირონების ყველა ტერმინალურ ბუტონში კალციუმის იონური არხების დახურვას და მის თანმდევ პრესინაფსურ გაადვილებას იწვევს. „კლასიკური განპირობების“ ბოლო სტადიაზე, არუ გამოღიზიანებლთა მრავალჯერადი შეუღლების შემდეგ, „განპირობებულ რეაქციას“ მხოლოდ „პირობითი“ გამღიზიანებელი აღძრავს. ამ მოვლენას „რეჟელესის დოჟერენციაციას“ უწოდებენ. თუ რა მექანიზმი უღვეს საფუძვლად „რეჟელესის დოჟერენციაციას“, ქვემოთ განვიხილავთ.

ცნობილია, რომ „სუსტი“ სინაფსის გაძლიერებისათვის აუცილებელია აქსოაქსონური წვეტილის შემადგენელი ორივე ნაწილის* ერთდროული გააქტივება. ამასთან, „კლასიკური განპირობება“ იმ შემთხვევაში ხდება, თუ


* აქსოაქსონურ სინაფსში როგორც პრესინაფსურ, ასევე პოსტსინაფსურ ნაწილს აქსონის დაბოლოება წარმოადგენს.

„პირობითი“ გამდიზიანებელი წინ უსწრებს „უპირობოს“. პირობითი სიგნალით გააქტივებულ ხეირონში აღძრული მოქმედების პოტენციალის გაუღუნით მისი ნერვული დაბოლოების შემბრანაში არსებული პოტენციალმგრძნობიარე კალციუმის იონური არხები იხსნება. რის გამოც, კალციუმის იონები ჭარბ რაოდენობით შედის უჯრედში. გარდა იმისა, რომ ამის გამო, ნეირონგუ-ლატორის გათავისუფლება ხდება, იზრდება ხეიროტონინის მიმართ ადენი-ლატციკლასას მგრძნობელობა და ამ ფერმენტის მოლეკულა „შეშაადებული“ აღმოჩნდება შემდგომ გაუღუნებზე რეაგირებისათვის. თუ ამას დაუყოვნებლედ მოსყვება „უპირობო“ გაღიზიანება და, შესაბამისად, შუამდებარე ნეირონის აქსონის ტერმინალიდან გათავისუფლებული სეროტონინის გაუღუნა, ადვილად გააქტივდება ფერმენტი – ადენილატციკლაზა. შესაბამისად, წარმოიქმნება ნეულებრივზე მეტი რაოდენობით ცაპშ-ი. ცაპშ-ის მაღალი რაოდენობა, თავის მხრივ, ჩუქულებრივზე მეტი რაოდენობით პროტეინკინაზების გააქ-ტივებას გამოიწვევს და ამიტომ, სენსორული ნეირონის ტერმინალურ შემ-ბრანაში მეტი კალციუმის იონური არხი დაიხურება. ამას მოსყვება ჩუქუ-ლებრივზე მეტი რაოდენობით კალციუმის იონების უჯრედში შესვლა და ნეიროტრანსმიტერის გათავისუფლების გაადვილება. შედეგად, მოცემული შესაბამისი მოტონეიროზის გააქტივებას შეძლებს.



ხურათი X.13. სეროტონინის მოლე-კულებით გააქტივებული მეორად-მეხეხერული ხისტუმის ხაშუაღუ-ბით ცილის სინთეზას აღბერის სქემატური გამოსახულება.

ქნედლის მინაცემებთან, სეროტონინის მრავალჯერადი მოქმედების შედეგად, პრეხინაფსურ ნეირონში ცამშ-ის რაოდენობა თანდათანობით იმდენად იმატებს, რომ მისი გავლენით, ცამშ-დამოკიდებული პროტეინკინაზა A-ს ორი „რეგულატორი“ (შემაკავებელი) სუბერთული, დანარჩენ ორ „აქტიური C“ კომპონენტს სცილდება. გათავისუფლებული C კომპონენტები გადაადგილდება ზორთეში (სურ. X.13) და გუბების „ექსპრესიას“ (გააქტივებს) იწვევს, რაც ახალი ცილის სინთეზის პროცესს აღძრავს.



სურათი X.14. სეროტონინერეგულირებადი „მოდულატორი“ ნეირონის აქტივაციით განხაზღვრული, აბლიზის დაკეობის ჩამოყვების რეცედიების ხანმოკლე და ხანგრძლივი „სენსიტიზაცია“ გავითარების მოდულატორული მექანიზმის მოქმედების სქემატური გამოსახულება.

ამრიგად, ხეროტონისის მოღვაწელებით მრავალჯერადი სემოქმედების შედეგად, რაც პირობით და უპირობო გამაღიზიანებლათა განმეორებით სემოქმედების ანალოგად შეიძლება ჩაითვალოს, ხაზოვლით, ახალი ცილის ხინთუხი და ახალი პრესინაფსური „აქტიური ხანების“ წარმოქმნა ხდება (ხერ. X.14). ეს უკანასკნელი კი, ნეორინში სტადიურად – ხანგრძლივად მოქმედი სინაფსების წარმოქმნის საფუძველს წარმოადგენს. ამ მონაცემებით ირკვევა, რომ „საფელატორი“ ნეორინის აქსონის დაბოლოებულად გათავისუფლებული ხეროტონისი, რომელიც უმნიშვნელოვანეს ფუნქციას ასრულებს „დასწავლაში“, თრგვარად მოქმედებს: 1. ერთჯერადი მოქმედებისას, იგი სინაფსის ფუნქციონირებას შექცევდა, რამდენამე წუთის ხანგრძლივობით „აძლიერებს“ 2. მრავალჯერადი მოქმედებისას, იგი, თანდათანობით, ნეორინის სტრუქტურის შეცვლასა და სინაფსის მოქმედების შეუქცევადად „აძლიერებს“ იწყებს.

ამრიგად, „კლასიკური განპირობების“ საბოლოოდ ჩამოყალიბებას (განმტკიცებას) საფუძვლად უდევს „ხანგრძლივი ხენსიტიზაციის“ განვითარება, რაც ახალი ცილის სინთეზს საჭიროებს. ამასვე მოეთითებს „კლასიკური განპირობებისას“ ხენსორული ნეორინის პრესინაფსური დაბოლოების სტრუქტურის შეცვლისა და მასში სინაფსური ქსოვილების რაოდენობის მატების ფაქტი. მკვლევართა ერთი ჯგუფი „ხანგრძლივ ხენსიტიზაციას“ ხენსორულ ნეორინებზე ხეროტონისის მრავალჯერადი (20 წუთის ინტერვალით) დაწვევებით იწყებდა. აღმოჩნდა, რომ თუ ხეროტონისთან ერთად, ცილის სინთეზის შემსაჯავებელ ნეოთერებას დააწვევებენ, „ხანგრძლივი ხენსიტიზაცია“ არ ვითარდება. ამასთან, თუ ცილის სინთეზის შემსაჯავებელ ნეოთერებას ხეროტონისით სემოქმედებიდან ერთი საათის შემდეგ დააწვევებენ, იგი „ხენსიტიზაციაზე“ გავლენას ვეღარ ახდენს. ამრიგად, ირკვევა, რომ „ხანგრძლივი ხენსიტიზაციის“ განვითარებისათვის ცილის სინთეზი საჭიროა, რაც გენების ექსპრესიის შედეგად ხდება.

სემოთ განხილული მონაცემებით ირკვევა, რომ „პროცედურული“ მესხიერების საფუძველზე რეალიზებული „დასწავლა“, ანუ „ხანგრძლივი“ მესხიერების ორგანიზაცია, ძირითადად, სენსორულ და აღმასრულებელ (ეფექტორულ) ფუნქციებში ჩართულ ნერვულ წარმონაქმნებს შორის ხინაფსების გააქტივებით განისაზღვრება. ერთად, „პროცედურული“ მესხიერების განმისაზღვრელ მექანიზმს, მოტონეორინზე პროეცირებული სენსორული ნეორინის აქსონის დაბოლოებაში განვითარებული „ხანგრძლივი ხენსიტიზაციის“ ფუნქციონირება წარმოადგენს. „ხენსიტიზაციის“ განვითარებას, სენსორული ნეორინის აქსონის დაბოლოების შემობრუნებაში პოტენციალმდრძინობითარე კალციუმის იონური არხების ხანგრძლივად გახსნა, ხოლო მის ხანგრძლივად შენარჩუნებას – აქსონის დაბოლოებაში ახალი ცილის შექცევადი სინთეზი განაპირობებს. აღსანიშნავია, რომ სოციერთ შემთხვევაში, ასეთი მექანიზმი „ხანგრძლივი დეკლარაციული მესხიერების“ განმისაზღვრელ ნერვულ წიგებშიც ფუნქციონირებს.

ზემოთ, ზეჲ განვიხილეთ „პროცედურული“ მეხსიერების ორგანიზაციისას, მეხსიერების კვლის „კონსოლიდაციის“ („კვლის გამჯობების“) ნეოროფიზიოლოგიური და მოლეკულური მექანიზმები. მომდევნო ქვეთავები „დეკლარაციული“ მეხსიერების ორგანიზაციის კანონისმიერებების, მის ორგანიზაციაში ჩართული ნერვული სტრუქტურებისა და ხანგრძლივი „დეკლარაციული“ მეხსიერების განმსაზღვრელი ნეოროფიზიოლოგიური და მოლეკულური მექანიზმების განხილვას მივძღვნება.

„დეკლარაციული“ მეხსიერება

„დეკლარაციული“ მეხსიერება გაცნობიერებულ ინფორმაციის შენახვას გულისხმობს. აღნიშნული ინფორმაცია შეიძლება მოიცავდეს საგნების ფიზიკურ მახასიათებლებს, სიტყვების ხემატიკურ მნიშვნელობას, თანხმდევრულად განითარებული მოვლენების ეპიზოდებსა და მათთან დაკავშირებით განცდილ ემოციებს, სიერცემო ბიბექტებისა და სიბექტთა ურთიერთ განლაგებას და სხვა. შესაბამისად, შესაძლებელია ამ ინფორმაციის ევრბალიზაცია ან მხედველობითი ხატების სახით წარმოახსება. „დეკლარაციულ“ მეხსიერებაში არსებული ინფორმაციის გახსენებისას ადამიანის ქვეყა, ან მისი განხორციელებისაგან თავის შეკავება, გააზრებულად ხდება. შესაბამისად, ეს სწორედ ის მეხსიერებაა, რომელსაც, წიულებრივ, ცნებაში – „მეხსიერება“ ვიულისხმობთ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ „დეკლარაციული“ მეხსიერება შეიძლება იყოს რაციონლ „ხანმოკლე“, ასევე „ხანგრძლივი“.

„დეკლარაციული“ მეხსიერების არსის ღმონსტრაციისათვის შეიძლება მივიყვანოთ შემდეგი მაგალითი: თუ გაეფიქრებთ ნაცნობი ადამიანის სახელს, შეგიძლია გაიხსენოთ მისი სახის ცალკეული ნაკვთი და მოლიანობაში მისი სახე, ხისი ტემბრი, ნაცმულობა, მუტყველებისა და სიარულის მანერა, ადამიანებისა და საგნებთან მისი ურთიერთობის ნიუანსები, მისი მონათხრობის შინაარსი, წარმოვიდგინოთ კონკრეტულ გარემოში მისი ქვეყა და სხვა. ნათელია, რომ ასეთი რაციული კომპლექსური სურათების, ან დროში თანმხმდევრულად განითარებული სიუეტების აღქმისა და დამახსოვრებისათვის, ტვისში „ფუნქციური სისტემები“ იქმნება. „ფუნქციური სისტემის“ ცალკეული რგალი, მაგალითად, კომპლექსური სურათის აღქმის შემთხვევაში, სურათის კონკრეტული შემადგენლის აღქმასა და მის დამახსოვრებაზე არის პასუხისმგებელი. ასეთი „ფუნქციური სისტემების“ მოქმედება, სიუეტებრივ, გახსნეკებული ფუნქციის მატარებელი, ანუ რაციული კომპლექსური სურათის ცალკეული შემადგენლის დამახსოვრებაზე პასუხისმგებელი ნერვული წრეების ერთობლივ – შეთანხმებულ მოქმედებაზე და, შესაბამისად, ამ ნერვულ წრეების შორის ფუნქციური კავშირების შექმნაზე დაფუძნებული. „დეკლარაციული“ მეხსიერება სწორედ აღქმის პროცესში ჩამოყალიბებული, ასეთი ფუნქციური კავშირების შენარჩუნება-გამყარებას გულისხმობს. ნათელია, რომ

რადგან ნერვულ წრეებს შორისი კავშირი სინაფსების საშუალებით რეალიზდება, ამ კავშირების ხანგრძლივად შენარჩუნებას „*სინაფსური პლასტიკურობა*“ უნდა განახლებდეს.

კლინიკური მონაცემების ხეუბნულზე დადგინდა იქნა, რომ „*დეკლარაციული*“ მექანიზმების რეალიზაციისათვის აუცილებელია ნერვულ წრეებს შორისი კავშირების ხანგრძლივი დროით გამყარებას, *ჰიპოკამპის* ყურქცეობა უზრუნველყოფს. სხვა სიტყვებით, *ჰიპოკამპი* კრიტიკულია კომპლექსური მოვლენების აღქმის ორგანიზაციაში მონაწილე ნერვულ წრეებს შორისი კავშირების გამყარებისათვის ეს დებულება განმარტებას საჭიროებს: *კომპლექსური გამოსახატვების (კომპლექსური სურათი, დროში განყოფილებული მოვლენები და სხვა) აღქმის პროცესების რეალიზაციას სხვადასხვა ხორჯლის ნერვულ წრეებს შორის ფუნქციური კავშირების შექმნა უზრუნველყოფს. რაშიც ჰიპოკამპი არ მონაწილეობს. ჰიპოკამპის ფუნქციას წარმოადგენს განსხვავებული ფუნქციის ნერვულ წრეებს შორის, აღქმის პროცესში ჩამოყალიბებული ფუნქციური კავშირების გამყარება. ამასთან, ასეთი კავშირების გამყარების შემდეგ, მათ ფუნქციობაზე ჰიპოკამპი გავლენას აღარ ახდენს. შესაბამისად, ჰიპოკამპი, „დეკლარაციული“ მექანიზმების ორგანიზაციისათვის აუცილებელი ეტაპის რეალიზაციას უზრუნველყოფს და, მთლიანობაში, მექანიზმების ამ ფორმის ორგანიზაციაში მისი მონაწილეობა დროებითი ხასიათისაა.*

ამრიგად, „*დეკლარაციული*“ მექანიზმების რეალიზაციაში, სხვადასხვა სენსორულ და მოტორულ სისტემებთან ერთად, ჩართულია *ჰიპოკამპი*. სწორედ ამიტომ, ხერხემლიან ცხოველებს*, რომელთა მსხ-ში *ჰიპოკამპი* არსებობს, აქვთ როგორც „*პროცედურული*“, ასევე „*დეკლარაციული*“ მექანიზმები.

როდელი, კომპლექსური გამდინხინებლების შემთხვევაში, აღქმული ინფორმაციის დამახსოვრება შეიძლება ხანმოკლე დროით, ან ხანგრძლივად მოხდეს. შესაბამისად, „*დეკლარაციული*“ მექანიზმები შეიძლება იყოს როგორც „*ჩანმოკლე*“, ასევე „*ხანგრძლივი*“.

„*ჩანმოკლე*“ მექანიზმები

ყაროთ გაგებით, *ტერმინი* – „*ჩანმოკლე*“ მექანიზმები, ეულისხმობს აღქმული ინფორმაციის დროებით – დაიწყებად, ან მოკლედ დამახსოვრებად – შენახვას. კონკრეტურ ფსიქოლოგიაში განახსებებენ „*ჩანმოკლე*“ მექანიზმების ორ მთავარ სახეს: 1. „*პასიური*“ (*immediate*) მექანიზმები; 2. „*აქტიური*“** (*working*) მექ-

* ცხოველების „*დეკლარაციული*“ მექანიზმები ეულისხმობს მოვლენათა განყოფილებას და ხანგრძლივი ხანათა განლაგებას შორის კავშირებს შემოქმედო ინფორმაციის დამახსოვრებას.

** ტერმინი „*აქტიური*“ ხანმოკლე მექანიზმები, მისი შინაარსის გათვალისწინებით, თარგმნილია ინგლისურენოვან სამეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრებულ ტერმინიდან – „*immediate short-term memory*“, ხოლო ტერმინი „*აქტიური*“ ხანმოკლე მექანიზმები – ტერმინიდან „*working short-term memory*“.

სიერება. „პასიური“ ხანმოკლე მეხსიერება გულისხმობს, აქქმის მომენტის დასაწყისში, მნიშვნელოვანი ინფორმაციის დროებით დამახსოვრებას. ეს ინფორმაცია განსახდევრავს მოცემულ მომენტში უზრადლების კონცენტრაციას და მთლიანად იკავებს აზროვნებას. „პასიური“ მეხსიერების მოცულობა ძალზე შესწუღუღა და ხაშუღლოდ, შეიღი ერთუღლით განხახდევრება. ინფორმაციის გამიორების გარეშე იგი, დაახლოებით, 30 წამის განჩახლობაში გრძელღღება.

ამერიკელი ფსიქოლოგი, უღლიამ ჯეიბსი (სურ. X.15), რომელმაც უღღრესად დიდი წეღიღი შეიღრანა „ხანმოკლე“ მეხსიერების ფსიქოლოგიურ კანონ-



სურათი X.15.

უღლიამ ჯეიბსი (1841-1910).

და წარმატებით დახრუღდა „კონსოღღიღაღიის“ პროცესი, იგი მუღღმიუღად დადამახსოვრღება ადამიანს. შესაბამისად, ეს ინფორმაცია „ხანგრძლივ“ მეხსიერებაში „გადიანაღღღებს“ (სურ. X.16). აღსანიშნაღია, რომ რომელიღღე მოღღაღობის გამღღიზიანეღღღის პერცეფციის, ამ ინფორმაციის „პასიურ“ და, შემღღე, „ხანგრძლივ“ მეხსიერებაში შენახიღის განჩსახდევრუღღი ნეირონეღღი თუ ბიოქიმიური პროცესეღღი, ეტამობროღად, ერთი და იღღიე ზღღრუქტურეღღში მიმღღინარეღღს.

ტერმიინი „ხანმოკლე“ მეხსიერება, მიხოლოდ მოცუღღობაშეზღღუღელ „პასიურ“ მეხსიერებასა და „აქტიური“ მეხსიერების (ინფორმაციის გამიორების) სისტეღღებს არ გუღღისხმობს. ზოგადად, ეს ტერმიინი „ხანმოკლე“ მეხსიერების გეიან კომპონენტსაც ჩიორთავს, ანუ დროის მონაღღღეთს, რომღღის დროსაც „ხანმოკლე“ მეხსიერებაში არსეღღელი მეხსიერების კეიღღის „კონსოღღიღაღია“ და, შესაბამისად, „ხანგრძლივი“ მეხსიერების კეიღღის ჩამოკეიღღღება ხღღება. ამ

* ტერმიინი „კონსოღღიღაღია“ ჩიშნაღღს მეხსიერების კეიღღის გამიორებას, ანუ „ხანმოკლე“ მეხსიერებაში არსეღღელი ინფორმაციის მუღღმიუღად დამახსოვრებას.

ვაგებით, „ხანმოკლე“ მეხსიერება შეიძლება რამდენიმე წუთსაც, საათიც და მეტ ხანსაც გაგრძელდეს, ანუ იმდენ ხანს, ხანამ ინფორმაცია შენახულია ცნობიერებაში. თუ გავითვალისწინებთ უკანახკენელ წლებში ფსიქოლოგიური ფეროშენების ნეირობიოლოგიური საფუძვლების კვლევის საქართვების გამოკვლილ ტენდენციას, ნათელი გაჩდება, რომ „კონსოლიდაციის“ პროცესის მიკუთვნება „აქტიური ხანმოკლე“ ან „ხანგრძლივი“ მეხსიერების პროცესისათვის, გარკვეულ გაუგებრობებს გამოიწვევს.



სურათი X.16. „დახსენების“ პროცესის გამარტივებული მოდელი.

„აქტიურ“ ხანმოკლე მეხსიერებას მიაკუთვნებენ, აგრეთვე, ე.წ. „გარდამავალ“ („reference“) მეხსიერებას. იგი, ახლად აღქმული ინფორმაციის ვადაშუშავების პროცესში, „ხანგრძლივი“ მეხსიერებაში უკვე არსებული ინფორმაციის გამოყენებას გულისხმობს. მაგალითად, თუ ცდილობთ ტელეფონის ნომრის დამახსოვრებას, ამ პროცესში შეიძლება „ხანგრძლივი“ მეხსიერებაში არსებული ინფორმაციით ისარგებლოთ. თუ შეამჩნევთ, რომ მოცემული ტელეფონის ნომრის ციფრები თქვენთვის რომელიმე მნიშვნელოვან თარიღს ემთხვევა, მათ უფრო ადვილად დამახსოვრებთ. „გარდამავალი“ მეხსიერებას ხაშუალებით მეტ შეგვიძლია ახლად აღქმული ინფორმაციის ხაშახსო აღკვეთური ქცევის რეალიზაციისათვის ინსტრუმენტული ქცევის, ქცევის ეთიკური ნორმების, აგრეთვე, იურიდიული კანონების შესახებ „ხანგრძლივი“ მეხსიერებაში არსებული ინფორმაცია გამოვიყენოთ. შესაბამისად, „გარდამავალ“ მეხსიერებაში ხდება ახლად აღქმული და „ხანგრძლივი“ მეხსიერებიდან „გამოძახებული“ ინფორმაციის ერთდროული დამუშავება, რაც შესაძლებელს ხდის, ამოცანის შესრულებისათვის მეტად ცოდნის გამოყენებას.

ცხოველებზე „გარდამავალი“ მეხსიერების შესასწავლად ცდებს ატარებენ, მაგალითად, 16 მკლავიან რადიოლოგ ლაბორინთში. ცხოველს წინასწარ ახწავლიან, რომ უკველ თანმიმდევრულ დღიურ სესიაში საკვების უღლეა მხოლოდ ლაბორინთის ერთი და იგივე 9 მკლავის „აქტივალური“ მკლავი) საკვებურში იქნება. დანარჩენი 7 მკლავის საკვებურში („ორაქტივალური“ მკლავი) საკვები არ თავსდება. ამასთან, დღიურ სესიაში თითოეულ „აქტივალურ“ მკლავში ცხოველი საკვებს მხოლოდ პირველი შეხედისას იღებს.

ამგვარად, ტექსტის წარმატებით შესრულებისათვის ცხოველმა უნდა დაისწავლოს „აქტუალური“ მკვლევების მდებარეობა, ანუ ეს ინფორმაცია „ხანგრძლივ“ მეხსიერებაში უნდა შეინახოს, ხოლო „ხანმოკლე“ მეხსიერებაში იმ „აქტუალური“ მკვლევების მდებარეობა, რომლებშიც იგი უკვე ერთხელ იყო მოცემულ სესიაში. ამ ტექტში, „ხანმოკლე“ მეხსიერებაში ინფორმაციის შენახვის ხანგრძლივობა, ხანდაშორისი ინტერვალის ხანგრძლივობით ისომეხა. ნათელია, რომ ტექსტის შესრულებისათვის ცხოველმა ერთდროულად უნდა დასტყავოს „ხანმოკლე“ და „ხანგრძლივ“ მეხსიერებაში არსებული ინფორმაცია.

აღსანიშნავია, რომ ამ ტექტით შესაძლებელია „ხანგრძლივი“ და „უარდაბიჯალო“ მეხსიერების განმხილველად შეფასება. მაგალითად, ახალი ქერქის ქოლინერგული შესავლის (ბახალური ბირთვი) დასიახების შემდეგ, უროთავა იწყებს ღაბირინთის „არააქტუალურ“ მკვლევებში შესვლას*, მაგრამ განმეორებით არ შედის მკვლავში, რომელშიც უკვე იყო**. ამ მონაცემებით ირკვევა, რომ ახალი ქერქის ქოლინერგული შესავლის დასიახების შემდეგ, შეუძლებელი ხდება „ხანგრძლივ“ მეხსიერებაში არსებული ინფორმაციით სარგებლობა. ხევა შემთხვევაში, მაგალითად, ცვათაშორის ინტერვალში ცხოველზე ძლიერი გარეგანი ზემოქმედების გაუღენით, ცხოველი იწყებს „აქტუალურ“ მკვლევებში განმეორებით შესვლას, მაგრამ არ შედის „არააქტუალურ“ მკვლავებში. ამ მონაცემებით ირკვევა, რომ დაყოჩების პერთოდში გარეგან - „მაინტერფერირებელ“ გაუღენათა გამო, აღინიშნება „ხანმოკლე“ და არა „ხანგრძლივი“ მეხსიერების დეფიციტი. ეს მონაცემები მიუთითებს, აგრეთვე, რომ „ხანმოკლე“ მეხსიერებას ისეთი „დინამიკური ნეორინული აქტიუობა“ განსაზღვრავს, რომელიც „მაინტერფერირებელ“ გაუღენათა მიმართ მგრძობობარე, ხოლო „ხანგრძლივ“ მეხსიერებას - ნერულ წრებში გაჩეთარებული ძლახტაკური ცვლილებები, რას გამოც, იგი „მაინტერფერირებელ“ გაუღენათა მიმართ მგრძობობარე არ არის.

„ხანმოკლე“ მეხსიერების მოცულობა $7(\pm 2)$ ერთეულით შემოფარგლება. ეს ნიშნავს, რომ „ხანმოკლე“ მეხსიერებაში ერთდროულად შეიძლება, ხაშუალოდ, მხოლოდ შეიდი რიცხვი, შეიდი ახო, შეიდი სიტყვა, შეიდი ტონი და ა.შ. დავიმახსოვროთ. თუ სვეტ მართლაც, ერთდროულად შეგუძლია დავიმახსოვროთ ან ვიციქროთ ინფორმაციის მხოლოდ შუდ ერთეულზე, როგორ ვახერხებთ დიტერატურული ნაწარმოების შექმნას, შენობის დაბროექტებას და სხვა ამგვარ, ცოდნაზე დაფუძნებულ, შემოქმედებით საქმიანობას? ამ კოხვაზე პახუნა იძლევა გმიღურის მიერ აღწერილი - ინფორმაციის კოდირების შეხაძლებლობა, რომელსაც ავტორმა „სტრუქტურება“ („chunking“) უწოდა.

* „ხანგრძლივი“ მეხსიერების დეფიციტი ან „ხანგრძლივი“ მეხსიერებიდან „ხანმოკლეში“ ინფორმაციის გადატანის შეუძლებლობა.

** „ხანმოკლე“ მეხსიერების ნერული შექმნილება ინტერტურია.

„სტრუქტურების“ საშუალებით, „ხანგრძლივი“ მეხსიერებიდან მიღებული ინფორმაციის გამოყენებით, ახლად აღქმული ინფორმაციის იმგვარად დამუშავება ხდება, რომ შეზღუდული მოცულობის ჩქორე „ხანმოკლე“ მეხსიერებაში, იგი რაც შეიძლება ნაკლებ ადგილს იკავებს. მაგალითად, თუ, ჩვეულებრივ, აღამაის შეუძლია საშუალოდ 7 ასო დაიმახსიოს, „სტრუქტურების“ შემდეგ (ამ ასოების დოგიკურ მწკრივში დაწყოთ - მითგან რაიმე სიტყვების შედგენით), მას შეუძლია „ხანმოკლე“ მეხსიერებაში ბევრად უფრო დიდი ინფორმაცია შეინახოს.

ამგვარად, „სტრუქტურების“ პროცესი „ხანგრძლივი“ მეხსიერებიდან „ხანმოკლე“ მეხსიერებაში ინფორმაციის გადატანაზე და, ამ გზით, „ხანმოკლე“ მეხსიერების მოცულობის გაზრდას უზრუნველყოფს. აღამაის, აღქმული ინფორმაციის „სტრუქტურების“, „გარდაბედი“ მეხსიერების საშუალებით აღდგენს, რაც მას ახალი იდეების გენერაციისა და რეალიზაციის საშუალებას აძლევს.

დაიწვევების ფსიქოფიზიოლოგიური მეტანიზმები. განსხვავებული თეორიები „ხანმოკლე“ მეხსიერებაში არსებული ინფორმაციის დაიწვევების ფსიქოლოგიური მეტანიზმების შესახებ, ჯერ კიდევ XIX საუკუნეში, ჰერმან ებინაუზმა, შემდეგ კი, ჯორჯ მიულერმა და ალფონს პილცეკერმა შექმნეს. ებინაუზის მიხედვით, დაიწვევა მეხსიერების კვალის დროში პასიურად ჩაქრობის შედეგად ხდება, ხოლო მიულერის და პილცეკერის მიხედვით, იმის გამო, რომ მეხსიერების კვალი შემაკავებელ გავლენას განიცდის მეხსიერებაში უკვე არსებული („პროაქტიური შეკავება“ ანუ „პროაქტიური ინტერფერენცია“) და მეხსიერების კვალის ფორმირების შემდეგ აღქმული ინფორმაციის („რეტროაქტიური შეკავება“ ანუ „რეტროაქტიური ინტერფერენცია“) გაქვებით.

დაიწვევების „ინტერფერენციული“ თეორიის განხილვისას, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ის გარემოება, რომ ფსიქოლოგიურ ლიტერატურაში განახლებებენ ორი სახის „რეტროაქტიურ ინტერფერენციას“ - „გამოდგენის ინტერფერენციას“ და „მხვავების მიხედვით ინტერფერენციას“. „გამოდგენის ინტერფერენცია“ დაიწვებულია იმ ფაქტზე, რომ „ხანმოკლე“ მეხსიერებაში ერთდროულად შეიძლება შენახულ იქნას მხოლოდ 7 (±2) ერთეული და უკვე შეეხებულ „ხანმოკლე“ მეხსიერებაში შემოსული ყოველი ახალი ინფორმაცია, მასში არსებულიდან ერთ-ერთს გამოდგენის. „მხვავების ინტერფერენცია“ კი გულისხმობს, რომ „ხანმოკლე“ მეხსიერებაში არსებული ინფორმაცია მით უფრო ეფექტურად გამოიდევენება, რაც უფრო მეტად პავს ერთმანეთს „ხანმოკლე“ მეხსიერებაში არსებული და ახლად აღქმული ინფორმაცია. აღამაისა, რომ თუმცა დაიწვევების „ინტერფერენციული“ თეორია მრავალი ექსპერიმენტით იქნა დადასტურებული, დღეც კი არ არის მოპოებული ისეთი მონაცემები, რომელთა საფუძველზეც ცალსახად იქნებოდა შეზღუდული მეხსიერების კვალის პასიურად ჩაქრობის თეორიის უარყოფა.

„დეკლარაციული“ მეხსიერების ნერვული მექანიზმები

მეხსიერების ნერვული მექანიზმების შესახებ პირველი შეხედულება რენე დეკარტმა (ხურ. X.17) გამოთქვა. დეკარტის ნერვული სისტემის „მოდერა-



ხურაი X.17.

რენე დეკარტი (1596-1650).

ლაკურსი მოხელის“ პიპოტის მიხედვით, ნერვები წარმოადგენს მილაკებს, რომელთა ხაშუღებით „სახიჯოცხლო ხედვების“ ხშირი გადანაცვლება მილაკების გაფართოებასა და, ამ ვით, მოძრაობის მიმართ წინააღმდეგობის შექცობას იწვევს. დეკარტის ასრით, ასეთი მექანიზმი ნევეების გამოშუშავებას უნდა ედოს ხაფუქვლად. ეს პიპოტუხა შეიძლება განხილულ იქნას, როგორც მეხსიერების ფენომენის ნეირობიოლოგიური მექანიზმების შექცობის პირველი მცდელობა. აღსანიშნავია, რომ დულისტური შეხედულების მოუხედავად, დეკარტის პიპოტუხა ძალზე ახლოს დგას, მეხსიერების ნერვული მექანიზმების ფუნქციობაში სი-

ნავსში მიმდინარე „პლასტიკურ ცვლილებებთან“ დაკავშირებით არსებულ შეხედულებებთან (იხ. ქვემოთ).

„ხანმოკლე“ მეხსიერების პროცესების დახასიათებისას, წინა ქვეთავში, ძირითადად, ფსიქოლოგიური ტერმინებით ვსარგებლობდით. აღსანიშნავია, რომ ფსიქოლოგიურ დონეზე, ამა თუ იმ ფსიქიკური ფენომენის განხილვა არ გულისხმობს არც მოცემული ფენომენის მატერიალურ, ნერვული ხეობტრატის განსახდვრას და არც მის ნეიროფიზიოლოგიურ ან ბიოქიმიურ მექანიზმებზე მხედლობას. არსებული ცოდნა, საშუალებას იძლევა ვიხედვოდ სოგადად „ხანმოკლე“ მეხსიერების, და არა ცალცალკე „პიპოტუ“, „აქტიური“ ან „გარდამავალი“ ხანმოკლე მეხსიერების ნერვულ მექანიზმებში ხართულ ხისტემებსა და მათში მიმდინარე ნეიროფიზიოლოგიურ პროცესებზე.

„დეკლარაციული“ მეხსიერების ნერვული ხაფუქვლების განხილვისას, გათვალისწინებული უნდა იქნას მისი ფუნქციური ორგანიზაციის კანონზომიერებანი. როგორც აღენიშნეთ, მეხსიერების ამ ფორმის ორგანიზაციას წინ უსწრებს აქმის – მერცხეფციის პროცესები, რომლებიც კონსტრუქციური გამოხიანების შემთხვევაში, ფუნქციურად განსხვავებული ნერვული წრეების ერთობლივი მოქმედებით რეალიზდება. „დეკლარაციული“ მეხსიერების ორგანიზაციისათვის კი აუცილებელია, აქმის პროცესში ხართული, განსხვავებული ფუნქციის ხერხედ წრეებსშირისი კავშირების შეხარხუება. ხათვლია, რომ ამ ორ განსხვავებულ ფუნქციას (ნერვულ წრეებსშირისი კავშირების ხამოყადნება და ამ კავშირების გამყარება) სხეადახხეა ნერვული მექანიზმის ფუნქციობა უნდა განსახდვრავდეს. „დეკლარაციული“ მეხსიერების ნერვული

შეკანახმის განსაზღვრისათვის აუცილებელია, პირველ რიგში, ამ ნერვულ წრეების გამოვლენა, რომლებიც პერცეფციის პროცესებში მონაწილეობს და შესაბამისად, რომელ სტრუქტურებში ხდება კომპლექსური გამდიობახებლების ცალკეული კომპონენტების „დაბახსოვრებასთან“ დაკავშირებული ცალიუბება, ხოლო შემდეგ, ამ სტრუქტურის გამოვლენა, რომელიც ცალკეულ ნერვულ წრეების შორის აღქმის პროცესში ჩამოყალიბებული კავშირების შენარჩუნებას უზრუნველყოფს.


ინფორმაციის აღქმის პროცესში ნართული ნერვული წრეების ფუნქციონის კანონზომიერებებს მხედველობითი აღქმის მაგალითზე განვიხილავთ, ყოფილისწინებით რა იმ გარემოებას, რომ ძუძუმწოვრები, რომლებსაც დიდი ხანის თავის ტვინი აქვთ, ობიექტებს, ძირითადად, ვიზუალურად აღიქვამენ. თუკცა, უნდა აღვნიშნათ, რომ სხვადასხვა მოვადლობის გამდიობახებულთა დამახსოვრების განსაზღვრელი „დეკლარაციული მეხსიერების“ სიტყვები ერთმანეთისაგან, მხოლოდ სხვადასხვა მოვადლობის ინფორმაციის აღქმის პროცესში ნართული ანალიზატორული ხისტემებით განსხვავდება.

პრიმატებში, ბადურაში წარმოქმნილი იმპულსაცია მიეწოდება მხედველობითი ქერქის VI მიდამოს, ხოლო აქედან იმპულსაცია „ეენტრალური“ მიმართულებით ვრცელდება და ხაბდლოად, საფუძვლის წილის ინფერორტემორალურ ქერქს მიაღწევს. ამ უბანში ობიექტების ფორმისა და მისი ფიზიკური მახასიათებლების ანალიზი ხდება. VI მიდამოდან აღმრული იმპულსაცია ვრცელდება, აგრეთვე, „ფორსალური“ მიმართულებით და გადაიცვება თხემის ქერქის ერთ-ერთ (PG) მიდამოს, ხადაც ხაგნის ხივრცეში დოკალისაციის, ობიექტებს შორის ხივრცითი კავშირებისა და ხივრცეში საკუთარი დოკალისაციის ანალიზი ხდება. გარდა ამისა, ქერქის სხვადასხვა უბნები ფერის, მოძრაობის მიმართულების და ობიექტის ხიღრმის განსაზღვრაში მონაწილეობს. ვინაიდან, ზემონაშთავილი მახასიათებლები ერთი და ოგივე ობიექტს შეიძლება უკავშირდებოდეს, ნათელია, რომ მხედველობითი პერცეფციისას, ქერქის ამ უბნების ნერვული წრეები ერთობლივად მოქმედებს, რახაც მათ შორის ჩამოყალიბებული ნერვული კავშირები უზრუნველყოფს.


„დეკლარაციული“ მეხსიერებისათვის, ვიზუალურად აღქმული ინფორმაციის მიმართებაში, ინფერორტემორალური ქერქის მხიშხვლობა შემდეგი ცდის შედეგებით დატურდება: მაიმუნებს ასწავლიან „დაყოვნებული არანიშნის მიხედვით არსების“ ტესტის (სურ. X.18) შეხორულებას. ამ ტესტის წარმატებით შესრულებისათვის აუცილებელია ობიექტის ფიზიკური მახასიათებლების დამახსოვრება. პირველ ვტაპზე მაიმუნს ორი მცირე ზომის სამგანსიმიღლებიანი ობიექტიდან ერთ-ერთს წარუდგენენ. თუ მაიმუნი გვერდზე გადახსწებს ამ ობიექტს, საკვების უღლუფას აღმოაჩენს. რამდენიმე წამის გაკლის შემდეგ, უკვე ნაცნობ ობიექტთან ერთად ახალ ობიექტს წარუდგენენ, რომლის ქვეშაც საკვები არის მოთავსებული. თუ ოგი ხელს შეახებს ახლად წარდგენილ

თბიქტს, საკვებს შიიდებს. ნორმალური მამიუნი ამ ტესტის შესრულებას ადვილად სწავლობენ. ინფეროტემპორალური ქერქის ორმხრივი მოცილების შემდეგ კი, ამ ტესტის შესრულებისათვის 1500-ზე მეტი სინჯის ნატარება გახდა საჭირო. თუმცა, შესრულების კრიტერიუმი (90%) მაინც ვერ იქნა მიღწეული. აღიხიდა, რომ დაყოფების პერიოდის (დროის მონაკვეთი ხაზების პირველ და მეორე წარდგენას შორის) გახანგრძლივებასთან ერთად, სწორად შესრულებულ სინჯთა რაოდენობა იკლებს. ამრიგად, ირკვევა, რომ მამიუნი, ინფეროტემპორალური ქერქი თბიქტის ფიზიკური მახასიათებლების დამახსოვრებაში მონაწილეობს.


მოდრავი ქერანი



ნიმუშის წარდგენის პერიოდი



დაყოფების პერიოდი




ნიმუშის არჩევის (შესრულების) პერიოდი

სურათი X.18. „არანიმუშის მახველით დაყოფილებული არჩევის“ ტესტის მიზანრიობის ამსახველი სქემა. ნიმუშის წარდგენისა და არჩევის პერიოდში მოდრავი ქერანი აწიულია.

ტეინის ექსტრაქციის (ქირურგიული მოცდლება) ჩეთოდით შესრულებულ ცდის შედეგებზე დაყოფილებული დასკვნის მართებულობა ელექტროფიზიოლოგიური ცდების შედეგებით დადასტურდა: ინფეროტემპორალური ქერქის ცალკეული ნეირონების ელექტრულ აქტივობაში, წარდგენილი გამძლიხანებლის ფიზიკური მახასიათებლების დამახსოვრების ასექტები იხსახება.

„ნიმუშის მახველით დაყოფილებული არჩევის“ ტესტში, მამიუნი, გამკვირვალე დისკოს უკანა მხრიდან წარუდგენენ (წარდგენის პერიოდი) ფერად განათებას (მაგალითად, წითელს ან მწვანეს) (სურ. X.19ა), შემდეგ გამოირთავენ მას და დაყოფების პერიოდის გასუდის შემდეგ, ორი სხვადსხვა დისკოდან ურთაროდად წარუდგენენ წითელ და მწვანე განათებას (შესრულების ან არჩევის პერიოდი) (სურ. X. 19ბ). თუ მამიუნი შეეხება დისკოს, რომელიც წარდგენის პერიოდში ართებული ხინათლის ფერს ასხივებს, იგი მათებს საკვებს. ტესტის შესრულების პერიოდში ინფეროტემპორალური ქერქის ცალკეული ნეირონების ელექტრული აქტივობის რეგისტრაციის შედეგად აღმოჩნდა, რომ სოციურთი ნეირონის განმეხტეათა ხიშირე შერწყითად იმატებს ერთი რომელიმე ფერის წარდგენის საპსეხოდ და, რაც განსაკუთრებით

მნიშვნელოვანია, ასეთი გახშირებული განმეხტევები დაყოვნების პერიოდში შენარჩუნებულია (სურ. X.19).




სურათი X.19. ინფორმაცემორადური ქერქის ნეირონის აქტიუობის ცვლადება „ნამუშის მიხედვით დაყოვნებული არსების“ ტექსტის შესრულების დროს.

„ნამუშის მიხედვით დაყოვნებული არსების“ ტექსტის შესრულებისას, ნეირონული აქტიუობის ასეთივე სურათი მოხდება პრეფრონტალურ ქერქსა და ქერქის სხვა, გამლიზიანებლის მოვადლობის შეხატვის სენსორულ მოვამოებში. ამასთან, თუკი ტექსტი გაუთვადისწინებელი, რომელიმე მხედვლობათა გამლიზიანებლის გავლენით, პრეფრონტალური ქერქის ნეირონების აღმარებული აქტიუობა ტექსტის დაყოვნების პერიოდში იორგუნება, აღინიშნება ტექსტის შესრულების გაუარესება. თუ ასეთი გავლენებით, დაყოვნების პერიოდში, ნეირონული აქტიუობის დაორგუნვა მხოლოდ სენსორულ ქერქში ხდება, იგი ტექსტის შესრულებაზე არ მოქმედებს. ამ მოხატვების საფუძველზე ვარადობენ, რომ პრეფრონტალური ქერქი უსრუნედელოყს ქერქის სენსორულ მოვამოებში „დაბამიკური ნეირონული აქტიუობის“ მოხდინარლობას და, ამ გზით, სეკვიოვიკურად არის წართული „აქტიუობა“ მეხიორების მექანამებში, ხელით ინფორმაცემორადური ქერქი და სხვა სენსორული მოვამოებში, სენსორული ინფორმაციის აღქმასა და ამ ინფორმაციის კვადის შენახვას. როგორც წახს, პრეფრონტალური ქერქი, „უკვიკეშობის“ პრინციპით, უსრუნ-

ველიოყის ხენსორული ქერქის ნერვულ წრეებში ქვევის წარმმართველი ინფორმაციის „ხანმოკლე“ მეხსიერებაში შეხარწყებას. ამრიგად, პრეფორნტალური ქერქი და ქერქის ხენსორული უბნები ერთობლივად ფუნქციონობს, რათა უზრუნველყოფდეს იქნას ინფორმაციის აღქმა (ხენსორული ქერქის ფუნქცია) და შენახვა, მისი დროებითი გამოქვეყნებისათვის, „აქტიური“ მეხსიერების მექანიზმების ხელშეწყობით (პრეფორნტალური ქერქის ფუნქცია), ხენსორულ ქერქში შენახვა. „აქტიური“ მეხსიერებაში პრეფორნტალური ქერქის მონაწილეობასე მოეთითებს ის ფაქტიც, რომ მისი ორმხრივი დაზიანებისას, მაიმუნები ეერ ახრულდებიან ტესტს, რომელსაც „ხანმოკლე“ მეხსიერების ამ ფორმას აფასებს.

ამრიგად, პრეფორნტალური ქერქისა და სხვადასხვა ხენსორული ქერქული უბნების მოცილებლობითა და ნეორონული აქტივობის რევისტრაციით მიღებული მონაცემები ერთი მხრივ მოუთითებს, რომ ახალი ქერქის ეს უბნები ჩართულია მეხსიერების ნერვულ მექანიზმებში, ხოლო მეორე მხრივ, რომ „ხანმოკლე“ მეხსიერებას ხავერდულად უდევს აღქმული ინფორმაციის მოდავლობის შესაბამისი ანალიზატორის სტრუქტურებში განვითარებული „დინამიკური ნეორონული აქტივობა“.



ხურათი X.20. აგზნების იმპულსების „რევერბერაციის“ უზრუნველყოფილი ნერვული წრის სქემატური გამოსახულება.

ფორმაციის დავიწყება ხდება, ანუ „დინამიკური ნეორონული აქტივობა“ ელექტრონოსისადმი მგრძნობიარეა, თუ აგზნების იმპულსების „რევერბერაციამ“ მოცემული ნერვული წრის სინაფსურ აპარატში „პლასტიკურ ცვლილებათა“ განვითარებას მისცა დახაბაში, აღქმული ინფორმაცია ხანგრძლივად იქნება დამახსოვრებული. ამ შემთხვევაში, ელექტრონოსი გააღებინებს ევლარ ახდენს მეხსიერების კვალსე, ანუ „პლასტიკურ ცვლილებათა“ განვითარების შესწავლა, მეხსიერების მექანიზმები ელექტრონოსის მიმართ მგრძნობიარეობას აღარ ამჟღავნებს (სურ. X.21).

მთლიანობაში, ამ მონაცემებით ირკვევა, რომ „ხანმოკლე“ მეხსიერების განმსაზღვრელი „დინამიკური ნეორონული აქტივობა“ ნერვულ წრეებში „პლასტიკური“ ცვლილებების გარეშე ხდება.

„დინამიკური ნეორონული აქტივობა“ გულისხმობს ნერვული წრის ხანმოკლე, ძლიერ გააქტივებას, ან დორენტე და ნოს მიერ ზურგის ტვინის მონაროქაში აღწერილი ჩაკეტილი ნერვული წრეების მსგავსი სუბსტრატის (სურ. X.20) არსებობას თავის ტვინში, რომელშიც გარკვეული დროის განმავლობაში აგზნების იმპულსების ცირკულაცია ანუ „რევერბერაცია“ ხდება.

ფორნტალურ ქერქში ამ პროცესის რაიმე ზეგავლენით (მაგალითად, ელექტროკონვულსორი შოკით) შეფერხებისას აღქმული ინფორმაცია ანუ „რევერბერაცია“ ხდება.

ტაქურ ცელოფებათა“ განვითარების წინაპირობას წარმოადგენს. ნათელია, რომ „პლასტიკურ ცელოფებათა“ განვითარებას, რაც „ხანგრძლივი“ მეხსიერების და, შესაბამისად, „დასწავლის“ საფუძველს წარმოადგენს, დრო ხვდებოდა.



სურათი X.21. „ხანმოკლე“ და „ხანგრძლივი“ მეხსიერების ნერეული მექანიზმების მგრძობიანობა ელექტროკოანულსიური შოკის (საქმ) მიზარი.

ზემოთ, ჩვენ განვიხილეთ ერთი, რაზელითვე კონკრეტულ ნერეულ წრეში მიმდინარე „ხანმოკლე“ მეხსიერების განმსაზღვრელი პროცესები. როგორც აღვნიშნეთ, „დეკლარაციული“ მეხსიერება აღქმის პროცესში წარსული, სხვადასხვა ფუნქციის ნერეული წრეების ხანგრძლივი ერთობლივი ფუნქციონირების, რაც მათ შორის კავშირების არსებობით განისაზღვრება. ახეთი კავშირების გამყარებისათვის კონტიკულ სტრუქტურას *პიოკამპი* წარმოადგენს, თუ ადამიანს, ან სხვა ცხოველს *პიოკამპი* ორმხრივად დაეწინააღმდეგება, თუ კავშირების გამყარება არ მოხდება და, შესაბამისად, ადამიანი (ან ცხოველი) „დეკლარაციული“ მეხსიერების საშუალებით „დასწავლის“ უნარს დაკარგავს, რაც „ანტეროგრადული ამნეზიის“ სახელით არის ცნობილი. ქვემოთ, ამ დარღვევის არსს, „ანტეროგრადული ამნეზია“ დაავადებული ადამიანის ქცევის მაგალითზე განვიხილავთ.

„ანტეროგრადული ამნეზია“

„ანტეროგრადული ამნეზია“ – ახალი ინფორმაციის დამახსოვრების უნარის დაკარგვის ნიშანია. „ანტეროგრადული ამნეზია“ დაავადებულ ადამიანებს ახსოვთ ტყინის დაზიანებამდე აღქმული, ანუ წარსულში განვითარებული მოვლენები, მაგრამ არ შეუძლიათ იმ მოვლენათა დამახსოვრება, რომლებიც თანამედროვეს შემდეგ განვითარდა. როგორც ვნახეთ, სრული, აბსოლუტური – „ანტეროგრადული ამნეზია“ შეუძლებელია. თუკი ითქმის, აგრეთვე, „ანტეროგრადული ამნეზიის“ მიზართაც, რაც ტყინის დაზიანებამდე მსოფლიო მოვლენების გასწავლების შეუძლებლობას ნიშნავს.

1889 წელს, სერჯი კორსაკოვმა პირველმა აღწერა მეხსიერების დარღვევის ფაქტი, რომელიც ტყინის დაზიანების შედეგად აღინიშნება. ამიტომ, ამ დარღვევის მისი სახელი, ანუ „*კორსაკოვის ხანგრძლივი*“ ეწოდა. „*კორსაკოვის ხანგრძლივი*“ უმნიშვნელოვანესი სიმპტომი იყო „ანტეროგრადული ამნეზია“ წარმოადგენს. ავადმყოფს შეუძლია სიმბოლოებზე დაკარგვის და კარგად

ახსოვს ტვინის დაზიანებაზე, დიდი ხნით ადრე მომხდარი მოვლენები, მაგრამ არ შეუძლია მოხდინარე მოვლენების დამახსოვრება.

„კორსაკოვის სინდრომი“ ქრონიკული ალკოჰოლიზმის შედეგად ვითარდება. დადგენილია, რომ აღნიშნული დარღვევა ალკოჰოლიზმით გამოწვეული თია-მინის (ეიტაზიი B₁) დეფიციტის გამო აღიძვრება. რადგან ალკოჰოლისტები კალორიებს ალკოჰოლის დიდი რაოდენობის მიღების გზით ითვისებენ და, ნეურობრთვ, ძალზე მცირე რაოდენობით საკვებს იღებენ, ამიტომ, ისინი ეიტა-მინებს ხაგრძობა დეფიციტს განიცდიან. გარდა ამისა, ალკოჰოლი აკავებს ნაწლავებში თიამინის შეწოვას და ამის შედეგად აღსრული თიამინის დე-ფიციტი, ტვინის დაზიანებას იწვევს. ქვემოთ განვიხილავთ ტვინის სტრუქ-ტურებს, რომელთა დაზიანებაც „ანტეროგრადულ ამნეზიას“ იწვევს.

უფროსი სკოილმსა და ბრენდა მილნერმა (სურ. X22) აჩვენეს, რომ საფეთქლის წილის მკვლევარი მიდამოს ორმხრივი მოცილებლა ადამიანებში მესხიერების ისეთ



სურათი X.22.

ბრენდა მილნერი (1918 -).

დეფიციტს იწვევს, როგორც „კორსაკოვის სინ-დრომით“ დაავადებულ პაციენტებს აქვთ. ეს ოპერაცია, გონებრივი დარღვევების შესწუბუქების მიზნით, 30 ფსიქიკურად დაავადებულ პაციენტზე ჩატარდა. თუმცა, ყველანაე საინტერესო შეისხე-ვა, აღწერილია პაციენტ H.M.-ზე ეს პირობეზა ინტელექტუალ და არა აქვს ფსიქიკური დარღვე-ვა. გარდა ამისა, ამ პაციენტზე მოხტ-ოპერაციული დარღვევები ოპერაციის სატარე-ბისთანავე იქნა აღწერილი. H.M.-ს ოპერაცია 27 წლის ასაკში იმის გამო ჩატარეს, რომ მან, 9 წლის ასაკში, ექლსიბუდიდან გადმოფარდნისას ტვინის ტრავმა მიიღო და ეპილეფსიით დაავადდა. მას იმეხად მღიერი გუფერები (ეპილეფსიური კრუნჩხვა) აღიძვრებოდა, რომ მისი დაორტუნვა

ანტიკონფულსიური პრეპარატების დიდი დოსეებითაც კი შეუძლებელი იყო.

ოპერაციის შედეგად პაციენტი H.M. გუფერებისხვან გაჩიურხა, მაგრამ შე-აშინია, რომ მეხსიერების უჩარი მნიშვნელოვნად დაუქციითდა. ამის შემდეგ, სკოილმსა და მილნერმა ეს საკითხი ფსიქიკურად დაავადებულ პაციენტებსზე შეისწავლეს. აღმოჩნდა, რომ ასეთ პაციენტებსაც აღწერიშნებათ „ანტეროგრა-დული ამნეზია“. ამასთან, გაირკვა, რომ „ანტეროგრადული ამნეზია“ ისეთ პა-ციენტებს უვითარდებათ, რომელთაც პიპოკამპი პიონდათ დაზიანებულა. ამ და-ხვე მონაცემების საფუძველზე, მილნერმა ჩამოაყალიბა დებულება, რომ სქოლდნიშნული ოპერაციის (საფეთქლის წილის მკვლევარი მიდამოს მო-ცილება) შედეგად „დეკლარაციული“ მეხსიერების დეფიციტის მსესს პიპო-კამპის დაზიანება წარმოადგენს.

დამატებული მონაცემები იმის შესახებ, რომ „ანტეროგრადული ამნეზია“ ხწორედ პიპოკამპის დაზიანების შედეგად აღიჭრება, მოხივებულ იქნა 1986 წელს, გულის განჭრების გამო გარდაცვლილი 52 წლის მამაკაცის (პაციენტი R.B.) ტვინის გასოკვლევით. თუმცა გულის პირველი შეტყვისას ავადმყოფს ხწრაფად გაუწიეს დაზიანება, ტვინის დროებითმა ანოქსიამ მისი დაზიანება გამოსწავა. ტვინის დასიანების პირველად სიმპტომი „ანტეროგრადული ამნეზია“ წარსიოდაკენდა. ამნეზიის დაწყებიდან 5 წლის შემდეგ, R.B. გულის შეტყვისაგან გარდაიცვალდა. მისი ოჯახი ტვინის მიტოლოგიურ ანალიზზე დათანხმდა. R.B.-ს ტვინის შესწავლისას აღმოჩნდა, რომ სრულად იყო გადაჭარბებული მხოლოდ პიპოკამპის CA1 ელას პირანთეული უჯრედები. ეს ერთეული შემთხვევა აჩვენებს, რომ პიპოკამპის დასიანება „ანტეროგრადულ ამნეზიას“ იწყებს.

იმისათვის, რომ კარგად გავერკვეთ „ანტეროგრადული ამნეზიის“ არსში, უფრო დაწყროდებით განვიხილავთ პაციენტ H.M.-ის შემთხვევას. ეს პაციენტი კარგად არის შესწავლილი, რადგანაც მისი ამნეზია შედარებით სრულია. მისი ინტელექტუალური შესაძლებლობანი და „ხანმოკლე“ მეხსიერება ნორმალურია. მას არ აღენიშნება პიროვნული დარღვევები, თავისიანი და კარგი მიანერებით ხსიათდება, შეუძლია გასიყროს შეიდი რიცხვი, მიანიწილეობა მიიღის დიალოგში, გადააწყოს წინადადებები და შეახრელის მათემატიკური გასოთვლები. მას „ანტეროგრადული ამნეზია“ ოპერაციიდან რამდენიმე წლის წინანდელ მოეღენებზე აქვს, მაგრამ კარგად ახსოვს დიდი ხნის წინ მოსხდარი მოეღენები და შენარწუნებული აქვს „პროცედურული“ მეხსიერება. „პროცედურული“ მეხსიერების ხერეული მექანიზმების ინტექტურობასზე შეტყვევებს ის ფაქტი, რომ როგორც H.M.-ს, ასევე პიპოკამპიაზიანებულ ხხვა პაციენტებს, „სტიმულ-რეკციის ტიპის დაწყავლის“ და ხხვა, მარტივი სახის „დაწყავლის“ უნარი შენარწუნებული აქვთ.

ოპერაციის შემდეგ H.M.-ს არ შეუძლია იმ ადამიანების სახელების მიხედული გარწყვა, რომლებიც ოპერაციის შემდეგ გაიცნო (ოპერაცია ნაუტარდა 1953 წელს და იგი დღესაც ცოცხალია), არ შეუძლია ხახლის მიტყება, სადაც იგი ამჟამად ცხოვრობს (მისმა ოჯახმა ოპერაციის შემდეგ საცხოვრებელი ადგილი შეიცვალდა). შეცხობილი აქვს თავისი დარღვევები და ხშირად, თავის განცდაებს შემდეგნაირად აღწყრს:

„ყოველი დღე თავისთვის არის, არავითარი კმიყოფილება და არავითარი დარდი, როგორც ეხლა. მე გაკვირებული ვარ. გააკეთებ ან ეთქვი რაიმე ცული? აკოი, ამ მომენტში ნეპოვის ევლადყური ვახეგებია, მაგრამ რა მოხდა სულ ცოტა ხნის წინ? აი, რა მაწყებებს მე ეს მყავს ხისმრიდან ვადეიდებას. მე ხელს არაფერი მიხხეობს“.

H.M.-ს ცოტა ხნით შეუძლია დამახსოვროს ყვრბალური ინყირმაცია, ხსირო გამეორების შემთხვევაში, საკმაოდ დიდი ხნით შეუძლია ინყორმაციის

„ხანმოკლე“ მეხსიერებაში შენახვა, თუმიცა, გამოირება ხანგრძლივ კვიპტს არ იხდევა. მას შეუძლია დაუსრულებლად იკითხოს ერთი და იგივე გაიხეთი, ან უხმინოს ერთი და იგივე მათხოხრობს და ყოველთვის მისთვის ახალი ინფორმაცია აღმოაჩინოს. ძირითადად, იგი კრისკორდების ამოხხნახა და ტელევიზორის ვერებაში ატარებს დროს.

ამ მონაცემების საფუძველზე, მიდუნრში და მისმა კოდეგებმა იუარაუდეს:

1. პიპოკამში არ წარმოადგენს „ხანგრძლივი“ მეხსიერების ან „ხანგრძლივი“ მეხსიერებიდან გახსენებისათვის აუცილებელ სტრუქტურას. ასეთი დასკვნის სახარგებლოდ მერყველებს ის ფაქტი, რომ H.M.-ს კარგად ახსოვს ადრეულ ასაკში აღქმული ფაქტები და მოვლენები, აქის ჩაცმის კულტურა და ა.შ.

2. პიპოკამში არ წარმოადგენს „ხანმოკლე“ მეხსიერების სუბსტრატს. ამაზე მერყველებს ის ფაქტი, რომ H.M.-ს აქის დიალოგის წარმართვის უნარი. შესაბამისად, იგი იმახსოვრებს სხვის ნათქვამს და შეუძლია იფიქროს პასუხზე.

3. პიპოკამში წართულია „ხანმოკლე“ მეხსიერების „ხანგრძლივი“ მეხსიერებად გარდაქმნის პროცესში. ეს დასკვნა დაფუძნებულია პიპოთეზაზე, რომ „ხანმოკლე“ მეხსიერება – „დინამიკური ნეოსანული აქტიუობა“, ხოლო „ხანგრძლივი“ მეხსიერება – სინაფსის მიმდინარე „პლასტიკური ცვლილებით“ განიხასღვრება. ამ შეხედულებით კარგად აიხსნება ის ფაქტი, რომ H.M. ახად ინფორმაციას აღიქვამს და იმახსოვრებს მხოლოდ იმდენ ხანს, რამდენ ხანსაც იმეორებს მას.

